# დილა

№ 4 აპრილი 1964


ეროვნული ბიბლიოთეკა

619
1964



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი საქართველოში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ცისკარი

№ 4 (153) აპრილი, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი

933

# ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განვითარებაში, ლენინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დიდი სამამულო ომის დროს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 16 აპრილი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# სად დაეშვებიან ჩვენ ხომალდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ტრადიციულ დღესასწაულებს 1961 წლის 12 აპრილს კიდევ ერთი სასიხარულო დღე მიემატა. იმ დღეს კოსმოსურმა ხომალდმა „აღმოსავლეთი—1“, რომელშიც იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქე, მაიორი იური გაგარინი, მოახდინა თავისი უბადლო გაფრენა შორეული ვარსკვლავეთისაკენ.

ადამიანი კოსმოსში — უკვე აღარ წარმოადგენს ფანტაზიას. საბჭოთა კოსმონავტების მთელი პლეადა: ი. გაგარინი, გ. ტიტოვი, ა. ნიკოლაევი, პ. პოპოვიჩი, ხოლო შემდეგ ვ. ბიკოვსკი და მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი ვ. ტერეშკოვა-ნიკოლაევა უკვე იყვნენ იქ, ატმოსფეროს თვალუწვდენელი ოკეანის მიღმა, კოსმოსის სივრცეებში, სადაც გაიარეს მრავალი მილიონი კილომეტრი გზა და მშვიდობით დაუბრუნდნენ მშობლიურ დედამიწას.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი კ. ციოლკოვსკი წერდა: „დედამიწა გონების აკვანია. მაგრამ არ შეიძლება მუდამ აკვანში ცხოვრება. კაცობრიობა სამუდამოდ როდი იქნება მიჯაჭვული დედამიწაზე. სინათლისა და სივრცის დევნაში ის ჯერ გაუბედავად გაიჭრება ატმოსფეროს საზღვრებს გადაღმა, ხოლო შემდეგ მთელს მზის ახლო სივრცესაც დაიპყრობს“.

ადამიანმა უკვე გადადგა ეს პირველი ნაბიჯი და ახლა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების, საპლანეტთაშორისო სადგურებისა და კოსმოსური ლაბორატორიების მეოხებით სულ უფრო შორს იჭრება, სულ უფრო დაჟინებით ზვერავს უსაზღვროებათა დაუსრულებელ და უცნობ გზებს. შორს არ არის ის დღე, როცა მამაცი კოსმონავტები გარს შემოუფრენენ ჩვენს განუყრელ თანამგზავრს — მთვარეს, დასვამენ მის ზედაპირზე კოსმოსურ ხომალდს და, ვინ იცის, იქნებ იპოვნონ კიდეც ჩვენი ქვეყნის ღერბით დამშვენებული ფოლადის ვიმპელიც, რომელიც საბჭოთა რაკეტამ მიიტანა იქ.

ამის შემდეგ ადამიანი ესტუმრება დედამიწის კარის მეზობლებსაც — მარსს, ვენერას. მაგრამ ადამიანის მაძიებელი, შემოქმედი აზრი ვერ დარჩება განვითარების ერთ დონეზე. მას ვერ დააკმაყოფილებს ვერც მზის ახლო სივრცეების დაპყრობა. იგი, ადრე თუ გვიან, გადალახავს მის საზღვრებსაც და წავა დაუსრულებელი, უცნობი გზებით შორეული ვარსკვლავებისა და გალაქტიკებისაკენ.

ამჟამად მეცნიერები ფიქრობენ შექმნან ისეთი რაკეტული ძრავები შორეულ პლანეტებზე მოგზაურობისათვის, რომლებიც ელექტრობის დახმარებით უდიდესი სიჩქარით გამოსტყორცნიან რეაქტიულ საქშენიდან დამუხტულ ნაწილაკებს — იონებს. მაგრამ ეს ელექტრული ანუ იონური ძრავები ვერ იმუშავებენ, თუ მათ ელექტროენერგიის მძლავრი წყაროები არ ექნებათ. ასეთ წყაროებად გათვალისწინებულია მზის ბატარიები, რომლებიც მზის სითბურ ენერგიას ელექტროენერგიად გადააქცევენ. მსგავსი ბატარიები უკვე დადგმული იყო დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე, თუმცა მათ არ ჰქონდათ ისეთი სიმძლავრე, როგორიც საჭირო იქნება იონური ძრავებისათვის.

თუ ერთ დროს მზემ სასტიკად დასაჯა იკაროსი თამამი განზრახვისათვის — აფრენილიყო ცაში, დაუდნო ცვილის ფრთები და მიწაზე დაანარცხა, ახლა იგი ველარ ბედავს ადამიანთან შებმას და თანდათან ემორჩილება ამ დაუდეგარი არსების ნება-სურვილს.

მაგრამ მზე არა მარტო ენერგიით მოამარაგებს მომავალ კოსმოსურ ხომალდებს, არამედ მათი ეკიპაჟებისათვის საჭირო საკვებითაც.

ადამიანის ხანგრძლივი კოსმოსური გაფრენები, განსაკუთრებით საპლანეტთაშორისო მოგზაურობანი ბიოლოგიური მეცნიერების წინაშე მეტად რთულ ამოცანებს აყენებს. მომავალი კოსმონავტების ჰერმეტულად დახურულ, საკმაოდ მცირე მოცულობის კაბინაში უნდა შეიქმნას ადამიანისათვის ჩვეული გარემო, ცხოვრების ისეთივე პირობები, როგორიც მას დედამიწაზე ჰქონდა. ამ პირობების შექმნის გზებს მეცნიერებს კარნახობს ჩვენივე პლანეტის ბუნება. როგორც ჩანს, მომავალ კოსმოსურ გაფრენებში ადამიანის უცილობელი თანამგზავრები მწვანე მცენარეები იქნებიან. განა ეს მცენარეები არ ქმნიან დედამიწაზე სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებს? ქმნიან ორგანიულ ნივთიერებებს — ადამიანებისა და ცხოველების საკვებს, ფოტოსინთეზის პროცესში გამოყოფენ ჟანგბადს და სხვ. ერთ-ერთ ასეთ მცენარედ შეიძლება იყოს ერთუჯრედიანი მიკროსკოპული მწვანე წყალმცენარე ქლორელა, რომელიც ფანტასტიკური სისწრაფით მრავლდება, დიდი რაოდენობის ცილებს შეიცავს და უამრავ ჟანგბადს გამოჰყოფს. თუმცა ეს არ გამორიცხავს ცხოველთა გამოყენებას კოსმონავტთა საკვებ რაციონში და, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში, ისევე როგორც დედამიწაზე, მზის სითბოსა და სინათლეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

მაინც რამდენ ხანს შეუძლია საპლანეტთაშორისო ხომალდს დაჰყოს კოსმოსურ უსაზღვროებაში? თვეები, წლები. ეს დამოკიდებულია ხომალდის სისწრაფესა და იმ მანძილზე, რომელიც აშორებს დედამიწასა და ხომალდის მგზავრობის „ობიექტს“ ერთიმეორისაგან.

თუ გავიხსენებთ, რომ სინათლის სხივი წამში სამას ათას კილომეტრს გადის, ხოლო ზოგიერთ ვარსკვლავებს შორის მანძილის დაფარვას იგი თვეობითა და წლობით უნდება, ადვილი წარმოსადგენია, რა მანძილის გავლაც მოუხდებათ მომავალ კოსმონავტებს. მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ ზოგიერთ ვარსკვლავს, ჩვენი მზის მსგავსად, პლანეტების საკუთარი სისტემები აქვთ. მომავალში, როცა მზის სისტემაში ფრენა ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა, ადამიანი მოინდომებს ამ პლანეტებისაკენ გაფრენას და მათი ცხოვრების გაცნობას. ამისათვის კი საჭირო გახდება ისეთი რაკეტული ძრავების შექმნა, რომლებიც საჭირო სისწრაფეს მისცემენ შორეული ფრენის კოსმოსურ ხომალდებს.

მეცნიერები დღეს უკვე ლაპარაკობენ ასეთი ძრავების შექმნის პრინციპზე. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს ის პროცესები, რომელთა დროსაც ნივთიერება თითქმის მთლიანად „ქრება“; ამ პროცესებს ანიჰილაციის რეაქციებს უწოდებენ. ანიჰილაციის რეაქციის დროს ნივთიერების ერთი სახე იცვლება მეორე სახედ — ელექტრომაგნიტურ გამოსხივებად, რაც უდიდესი ძალის ენერგიას წარმოადგენს. ეს ელექტრომაგნიტური, კერძოდ, შუქური გამოსხივება გამოიყოფა ატომებად, რომლებსაც კვანტები ანუ ფოტონები ეწოდება. სწორედ ამ ელექტრომაგნიტური გამოსხივების წნევით წარმოიქმნება ფოტონური ძრავის წევის ისეთი ბუმბერაზული ძალა, რომლითაც მომავალი ვარსკვლავმფრენები განავითარებენ 100-150 ათასჯერ მეტ სიჩქარეს, ვიდრე ავითარებენ თანამედროვე კოსმოსური რაკეტები — 800 ათას კილომეტრამდე წამში. ეს კი საშუალებას მისცემს ადამიანს მიაღწიოს ვარსკვლავთა სხვა სამყაროებს, სხვა გალაქტიკებს, დაეშვას რომელიმე მათგანის პლანეტაზე და დაბრუნდეს უკან.

თავისთავად დგება საკითხი: გაუძლებს თუ არა კოსმონავტი ფოტონური ვარსკვლავმფრენის სტარტის ალებას, რის დროსაც, უდიდესი დაწოლის გამო, შესაძლებელია მისი გასრესა? და როგორ განხორციელდება კავშირი შორეულ კოსმოსურ სივრცეებში წასულ ხომალდთან?

მეცნიერების ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ალბათ ფოტონური ვარსკვლავმფრენის სტარტის წინ კოსმონავტის უსაფრთხოებისათვის საჭირო გახდება მისი მოთავსება სპეციალურ აუზში, სადაც სითხე, თავისი უკუმშვადობის გამო, დაიცავს მას სასიკვდილო დაწოლისაგან. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ასეთი ზომების მიღება საჭირო არ იქნება, რადგან ვარსკვლავმფრენი სტარტის მომენტში განავითარებს დაახლოებით ისეთივე სიჩქარეს, როგორსაც ავითარებენ თანამედროვე რაკეტები.

რაც შეეხება რადიოკავშირს, ეს საკითხი შედარებით უფრო დამუშავებულია და, ალბათ, სულ მალე საბოლოოდ გადაიჭრება. საქმე ის არის, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, ახალგაზრდა საბჭოთა ფიზიკოსებმა ა. პროხოროვმა და ნ. ბასოვმა აღმოაჩინეს პაწაწინა „ატომური რადიოსადგურების“ შექმნის აუცილებლობა, რასაც შეუძლია სრული გადატრიალება მოახდინოს კავშირგაბმულობის ტექნიკაში. ამ სადგურების დახმარებით შეიძლება მოხერხდეს ელექტრომაგნიტური ტალღების ნემსივით წვრილი და, ამასთან, ერთობ მძლავრი კონების შექმნა, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გადავცეთ რადიოსიგნალები მრავალი მილიარდი კილომეტრის მანძილზე შორს მზის სისტემის ფარგლებიდან.

ყოველივე ეს ახლა მეტად შორეულ მომავლად გვეჩვენება, მაგრამ სრულიად შესაძლებელია ახლანდელი თაობა მოწმე გახდეს კაცობრიობის ამ გრანდიოზულ მისწრაფებათა განხორციელებისა.

ცხოვრება ხომ ხანდახან წინ უსწრებს ყველაზე მგზნებარე ფანტაზიასაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისიდან რომ გახვალთ და კახეთის გზას დაადგებით, რამდენიმე კილომეტრზე, სოფ. ლილოს მახლობლად, თქვენს ყურადღებას ბეტონის ნაგებობები მიიპყრობს. მათ ათობით ჰექტარი უჭირავთ. თუ გზიდან მხარმარჯვნივ გადაუხვევთ და ამ ნაგებობებს გასცდებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას მიადგებით, მიადგებით და უკითხავადაც მიხვდებით, რომ ბეტონის ეს ვეება სვეტები და თაღები ამ ქარხნის ახალი კორპუსების ფუძეს წარმოადგენენ. გაივლის რამდენიმე წელი და ქარხანა ერთ-ერთ უდიდეს საწარმოდ გადაიქცევა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს ამიერკავკასიაშიც.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა ძირითადად უშვებს ჩაის ბუჩქების სასხლავ, საკულტივაციო, პლანტაციაში სასუქის შესატან და ჩაის საკრეფ მანქანებს. მაგრამ მისი მთავარი პროდუქცია მაინც ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოა", რომელმაც უკვე გაითქვა სახელი ქართველ მეჩაიეთა შორის.

დღითი დღე იზრდება ქარხნის სიმძლავრე, დიდდება მისი პროდუქციაც. თუ გასულ წელს ქარხანამ გამოუშვა 100 ცალი ჩაის საკრეფი მანქანა, წელს 300 ცალს გამოუშვებს, შემდეგ — 500 ცალს და ა. შ. ეს მანქანები გათვალისწინებულია როგორც განიერი, ისე ვიწრო ბუჩქებისათვის, რაც მეჩაიეებს თავიდან აცილებს პლანტაციების ზოგიერთ უბანზე ჩაის ბუჩქების გადარგვა-გადმორგვის საჭიროებას.

ქარხნის კოლექტივი თავდაუზოგავად იბრძვის იმისათვის, რომ რაც შეიძლება ზუსტი, უტყუარი და „მუშა" მანქანები მიაწოდონ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს.

ჩაის საკრეფი მანქანის ყველაზე საპასუხისმგებლო კვანძი საკრეფ-სავარცხნი რკალია. ამიტომაც არის, რომ ზეინკლები — ტ. ტერეჩენკო, ი. ბოსკაკოვი და ა. ციხისელი (ფოტო № 1), ასე გაფაციცებით ჩაჰკირკიტებენ მას. სულ მცირე უზუსტობა და შეიძლება მანქანამ „უღალატოს" საქმეს.

შეხედეთ ამ მანქანებს (ფოტო № 2), სწორედ ესენი გახლავთ ჩაის საკრეფი აგრეგატები „საქართველო". სულ მალე ეს მანქანები ჩვენი რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში გაიგზავნება.

აქ ქარხნის ახალი კორპუსები შენდება (ფოტო № 3). გაივლის ცოტა ხანიც და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში დამზადებული პროდუქცია საერთო მოწონებას დაიმსახურებს არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენს უცხოელ მეგობრებს შორისაც.

# „საქართველო" პლანტაციებში შედის





ფოტო თ. არჩვაძისა





# ბურთები და ქალაქები



ნოდარ გურეშიძე



## ისე აუშენდეს ოჯახი...

მოსკოვში ერთი კვირის განმავლობაში ვიზის ლოდინმა ბევრ ჩვენთაგანს მოთმინება დაუკარგა. უკვე შინ წამოსვლაზე ვფიქრობდით, როცა შეგვატყობინეს ბელგიის საელჩომ ვიზები გააფორმაო; მეორე დილით ჩვენმა თვითმფრინავმა „ტუ-104-მა“ კურსი დასავლეთისაკენ აიღო. საბჭოთა კავშირის მწერალთა სპეციალიზებულ ტურისტულ დელეგაციაში, ახლა, გათვალისწინებული თოთხმეტი კაცის ნაცვლად, ცამეტიდა იყო. პოეტმა ხუტა ბერულავამ ამდენი ლოდინი ვერ აიტანა და ვიზის მიღებამდე ერთი დღით ადრე თბილისში გამოემგზავრა.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ესტონელი აადუ ჰინტი, ლენინგრადელი ვლადიმერ დრუჟინინი, მოსკოველები — კინოსცენარისტი ალექსეი კაპლერი, პოეტები იულია დრუნინა და მაქს ბრემენერი, მთარგმნელი მარია პეტროვსკაია და სხვები. ქართველი მწერლებიდან დელეგაციაში რევაზ მარგიანი, ვახტანგ ჭელიძე და მე ვიყავით.

ჩვენი თვითმფრინავი ერთი საათით დაჯდა ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში. ამსტერდამიდან ოცი-ოცდახუთი წუთის ფრენის შემდეგ ბრიუსელის აეროდრომზე დავეშვით. აეროდრომი სავსე იყო სხვადასხვა ქვეყნების ავიოკომპანიის თვითმფრინავებით. ჩვენი „ტუ-104“ ამ „საბენებს“, „ბოინგებსა“ თუ „კარაველებს“ შორის ისე გამოიყურებოდა... — ჩვენი „ტუ-104“ ამ „საბენებს“, „ბოინგებსა“ თუ „კარაველებს“ შორის ისე გარია, როგორც თავმომწონე ოქროსდეზებიანი მამალი ახალგამოჩეკილ წიწილებს შორის.

ბრიუსელის აეროპორტზე, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად, დაგვხვდნენ ბელგიის ტურისტული ფირმის „ჯენერალ-კარის“ ხელმძღვანელები და ჩვენი გიდი მუსიე მელგორნი, რომელიც შემდეგ თან გვახლდა მთელი მოგზაურობის მანძილზე. პატარა, მაგრამ კომფორტაბელურმა ავტობუსმა რომელიც შემდგომ ჩვენ გვემსახურებოდა, ბრიუსელის ცენტრში, პლას დე ბურსზე მიგვიყვანა და სასტუმრო „ცენტრალში“ დავბინავდით.

ორი კვირა დავყავით და ათას სამასი კილომეტრი გავიარეთ ბელგიისა და ლუქსემბურგის გზებზე. ჩემი წერილის მიზანი არ არის დაწვრილებითი საუბარი არც ამ ქალაქებისა და არც ამ ქვეყნების ეკონომიკასა და გეოგრაფიაზე. დაინტერესებულ მკითხველს ყველაფერი ეს იოლად შეუძლია სხვადასხვა ენციკლოპედიებში ამოიკითხოს. მე არც ფანქარმომარჯვებული დავდევდი გიდს და არც მის ნალაპარაკევს ვიწერდი. ქვეყანა ასე უმთავრესად გიდის მეშვეობით არის დანახული და ხშირად მისივე შთაბეჭდილებების და შეხედულებების გადმოცემაა. მე მახსენდება ჯერომ-ჯერომის მოთხრობა ტურისტების შესახებ. ისინი ყოველ ქალაქში თუ ისტორიული ძეგლის სანახავად მისვლისას კისრისტეხით გარბოდნენ სუვენირების მაღაზიებში, ყიდულობდნენ ათასგვარ სამახსოვროებს და ღია ბარათებს, სასწრაფოდ წერდნენ წერილებს ნაცნობ-მეგობრებს, გზავნიდნენ ბარათებს, ამ ქალაქისა თუ ძეგლის გამოსახულებით, თავს იწონებდნენ აქაო და ამა და ამ ადგილას ვართო და... მაშინვე მიემგზავრებოდნენ იმ ადგილებიდან, რადგან დასათვალიერებელი დრო უკვე აღარ რჩებოდათ. შემდეგ სახლში დაბრუნებისას დამშვიდებით ათვალიერებდნენ ხედებს და სუვენირებს იმ მიდამოებისას, რომლებშიაც ისინი იყვნენ, მაგრამ რომლებიც მათ არ უნახავთ...

ამიტომ ზოგადად მოგითხრობთ იმ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც მე განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

ბრიუსელში სამი დღე დავყავით. პირველი, რაც აქ თვალში მოგხვდებათ, რეკლამაა. რეკლამა შინ თუ გარეთ, რეკლამა დღისით თუ ღამით, რეკლამა რადიოში თუ გაზეთში, რესტორანში თუ კინოში. ყველგან, საითაც შეიძლება გახედვა, დაჯდომა თუ გავლა. ამ მხრივ მარტინის მაინც ვერავინ შეედრება. აპერეტივისა და კონიაკის ამ მრეწველს, ალბათ, მილიონები ეხარჯება რეკლამაზე. თითქმის ყველა რესტორანში, დანსინგში თუ კაბარეში არის საფერფლეები მარტინის რეკლამით. ქუჩებში, შარაგზებზე, სახლებზე ისევ და ისევ მარტინი, მარტინი, მარტინი. ასევე დიდი რეკლამა აქვს კოკა-კოლას და ამერიკის ბენზინის კომპანიებს „ესსოს“ და „შელს“. ბენზინისას ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ გავსინჯე მარტინის აპერეტივიცა და კონიაკიც. აპერეტივი დიდი ვერაფერი შვილია, კონიაკი უფრო ხარისხიანია. რაც შეეხება კოკა-კოლას, გემოთი ჩვენს კარგად შემზადებულ ლაღიძის წყალს ვერ სჯობია, მაგრამ წყურვილს მშვენივრად ჰკლავს.

ბელგია ტიპიური ბურჟუაზიული ქვეყანაა, ბრიუსელის მაღაზიებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საქონელს შეხვდებით. აქაა ქსოვილები და მზა ტანსაცმელი ამერიკიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან; იტალიიდან შემოაქვთ ხილეული; აქ შეხვდებით სამუშაოს საძებნელად ჩამოსულებს იტალიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან... თუ მათ ბედი გაუღიმებთ და სამუშაოს იშოვნიან, რა თქმა უნდა, მათი ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე ბელგიის მკვიდრთა.

ამავე დროს, არ შეიძლება მაღაზიებში არ შეამჩნიოთ მყიდველთა სიმცირე. ბელგიელი მუშის ხელფასის მეოთხედი ბინის ქირას მიაქვს, ახლა იკითხეთ სხვადასხვა სადაზღვევო გადასახადები და ა. შ.

ბრიუსელი „ევროპის ბაზრის“ ფაქტიური ცენტრია. რომელი მარკისა და ქვეყნის ავტომანქანას არ ნახავთ აქ! ქუჩები სავსეა მანქანებით. დაჰქრიან „ფიატები“, „სიტროენები“, „კადილაკები“, „შევროლეტები“, „როილს-როისები“, „შკოდები“, „რეკორდები“, „ოპელ-კაპიტნები“, ჩვენი „ვოლგები“, „ჩაიკები“, „მოსკვიჩები“ და სხვა ათასი ჯურისა და წარმოშობის მანქანები.

რაკიდა შეუძლებელია ამდენი გარაჟის აგება, მანქანები დღისითაც და ღამითაც ქუჩებში დგანან. გარდა ამისა, ბელგიაში გზებზე ბევრგან შეხვდებით მანქანების სასაფლაოებს. აქ ხშირია ავარიები. ბელგია ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საჭიროა არ არის მართვის უფლება. მანქანები კი სატანისებური სისწრაფით დაშლიგინებენ ასფალტიან და ბეტონიან გზებზე. ამერიკის კომპანიები არც ამ შესაძლებლობებს უშვებენ ხელიდან. ბელგიისა და ლუქსემბურგის გზების თითქმის ყოველ კილომეტრზე დგას ამერიკული ფირმების — „ესსოს“, „შელის“ და „კინზანოს“ ბენზინჩამოსასხამი პუნქტები. „ისარგებლეთ ჩვენი ფირმის ბენზინით და თქვენი მანქანის მოტორში ვეფხვი დაიბუდებს“, გვაუწყებს ერთი ფირმის რეკლამა. „მას, ვინც ჩვენს ბენზინს ხმარობს, არასოდეს არ მოუვა ავარია“ — გვანუგეშებს მეორე ფირმა. ისე აუშენდეს ოჯახი ამ ფირმის პატრონს, როგორც ეს მართალი იყოს! ბევრი დალეწილი და დაფშვნილი მანქანა ვნახე გზებზე და არა მგონია რომელიმეში მაინც არ უოფილიყოს ამ ფირმის ბენზინი.



## ურუშაძე კუთხურს იღებს

ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს, როცა ბრიუსელში ვიყავით, შევიტყვე, რომ იმ საღამოს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ლიეჟში ეთამაშებოდა ადგილობრივ გუნდს. მაშინვე ჩვენი საელჩოსაკენ გავექანე. საელჩოს თანამშრომელმა ბორის ივანოვმა დიდი პატივი მცა და მანქანით ლიეჟში წამიყვანა. ლიეჟი ბრიუსელიდან ასამდე კილომეტრით არის დაცილებული. გზა კარგი და ლამაზია. უდიდესი სისწრაფით მიჰქროდნენ მანქანები.

საათზე ცოტა მეტი მოგვინდა ლიეჟის სტადიონამდე. სტადიონზე ცოტაა დასაჯდომი ადგილი. ფეხზე დასადგომი ადგილები ბევრად მეტია. სილამაზით დიდი ვერაფერი შვილია. რა თქმა უნდა, ჩვენს „დინამოს“ სტადიონთან ახლოს ვერ მოვა. თამაშის დაწყებამდე ბარე ოცამდე მანქანამ შემოიარა სტადიონის წრე. სხვადასხვა ფირმები რეკლამას უწევდნენ თავიანთ საქონელს. მაყურებლები საყვირებით და ზანზალაკებით შეიარაღებულიყვნენ.

და აი, დაიწყო თამაში. პირველი ტაიმი ჩვენებმა ორით ნოლზე მოიგეს. საბჭოთა საელჩოს და საკონსულოს თანამშრომლებთან ერთად კიდევ მოვითხოვდი ბურთის გატანას და ვამხნევებდი ჩვენს ფეხბურთელებს. „შაიბუ!“, „შაიბუ“—ვყვიროდით ჩვენ.

მეორე ტაიმში იაშინი ქუთაისელმა ურუშაძემ შეცვალა. ბელგიელებიც უფრო გამოცოცხლდნენ და შეუტიეს ჩვენს კარს. პირველივე წუთზე ლიეჟის ფეხბურთელებმა კუთხური მოაწოდეს. ჩვენს კართან ატყდა ჰაერში ხტომა და ორომტრიალი. ურუშაძემ არავის ყურადღება არ მიაქცია და სრულიად აუღელვებლად, ისე რომ ფეხის წვერებზეც არ აწეულა, თითქოს ხიდან ვაშლი მოწყვიტაო, ისე „ჩამოხსნა“ ბურთი. ამას მაყურებელთა აღტაცება და ერიამული მოჰყვა. გაისმა ტაშისცემა. მე ვერ მოვითმინე და ქართულად გავძახე: — არიქა, ბიჭო, არ მოგვჭრა თავი-მეთქი.

არ ვიცი გაიგონა თუ არა მან ჩემი შეძახილი, მაგრამ ეს კი იყო, რომ ვეფხვივით ტრიალებდა საჯარიმო მოედანზე. ბურთი ცალ ხელში ეჭირა და ისე აწოდებდა პარტნიორებს. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გადაარჩინა ჩვენი კარი აშკარა გოლს. საბოლოო ანგარიში სამით ნოლზე დამთავრდა ჩვენს სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, ექვსით ან შვიდით ნოლი რომ მოეგოთ, უფრო გამიხარდებოდა, მაგრამ გამოტეხით უნდა ვთქვა, მინდოდა ბელგიელებს ერთი ბურთი მაინც გაეტანათ: თამაში ისე დამთავრდა, რომ იმ საყვირებისა და ზანზალაკების ხმა არ გამიგია. იცოცხლე ხელი დაელლებოდა ურუშაძეს ავტოგრაფების გაცემით — იმდენი ხალხი შემოესია ირგვლივ.

თამაშის დამთავრების შემდეგ იქვე სტადიონზე ერთ-ერთ შენობაში ლიეჟის ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობამ მიღება გამართა. მიღებაზე იყვნენ საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, ჟურნალისტები და, რა თქმა უნდა, მასპინძლები, ლიეჟის ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელები. ყველა მოხიბლული იყო ჩვენი გუნდის თამაშით. განსაკუთრებით აქებდნენ ვორონინს, პონედელნიკსა და ურუშაძეს. იაშინის ბრწყინვალე ოსტატობა ხომ ყველგან ცნობილია და ახლა ურუშაძის გამოჩენა საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ბელგიელებისათვის დიდ ინტერესს იწვევდა. საუბრის დროს ჩვენი საელჩოს ერთ-ერთი წარმომადგენელი მომიახლოვდა და გაკვირვებით მკითხა:

— მუსიე, თქვენ სად ისწავლეთ რუსული ენა?

— თბილისში-მეთქი, — ვუთხარი და გამეცინა.

— აა! თქვენ ალბათ ქართველი პოეტი გურეშიძე ხართ! — გაეღიმა მასაც. როგორც შემდეგ გაირკვა, მას შეეტყო, რომ ფეხბურთს ვესწრებოდი, მაგრამ სახით, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო და ბელგიელად ჩამთვალა.

მარტინის კონიაკის რამდენიმე ულუპის დალევისა (აქ კონიაკის ულუფას ისე ასხამენ, რომ ჭიქის ფსკერს ძლივს ფარავს) და ტკბილი ნამცხვრის გასინჯვის შემდეგ გასასვლელში ჩავედით,

ძლივს გავარღვიეთ უამრავი ხალხი და ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვება მივულოცეთ.

ბრიუსელში დაბრუნებისას ჩვენს დელეგაციას დაწვრილებით ვუამბე თამაშის მსვლელობაზე. თან რაღაც-რაღაცეები დავუმატე და გავალამაზე ჩემი მგზავრობა, რომ უფრო მეტად ენანათ რევაზ მარგიანსა და ვახტანგ ჭელიძეს, რომლებიც ისედაც გულდაწყვეტილი იყვნენ იმ თამაშის უნახაობით.



## ექვსასი წლის ბიჭუნა

ბრიუსელის ქუჩები ღამით ძლიერ ლამაზია, ათასგვარი რეკლამების შუქით და ილუმინაციებით განათებული ქალაქი ფეერიულ შთაბეჭდილებას ახდენს.

ბრიუსელში ყურადღებას კიდევ ის იქცევს, რომ აქ არ შეგხვდებათ ორი სავსებით ერთნაირი სახლი. ყოველ მათგანს აქვს რაღაც თავისი, ორიგინალური და განუმეორებელი. ეს არ შეეხება ახალ, მოდერნისტული სტილის შენობებს, რომელთა ავტორებს თავი მაინცდამაინც არ დაუღლიათ ორიგინალურობის ძიებით. ბრიუსელში მრავალი ღირსშესანიშნავი, ლამაზი და მომხიბლავი ადგილია, რომლებიც დაკავშირებულია ნაპოლეონის, გოეთეს, მეფე ალბერტის თუ სხვა ისტორიულ პიროვნებათა სახელებთან. მაგრამ ამ ქალაქში ჩასულმა არ შეიძლება არ ინახულოს ბრიუსელის უძველესი მოქალაქე „მანეკენ-პისი" — პატარა ბიჭი, რომლის ქანდაკება ექვსასი წელია, რაც მოედანზე დგას და ქალაქის მკვიდრთა სიყვარულის და სიამაყის საგანია.

ამ ბიჭზე სხვადასხვაგვარი ლეგენდებია შეთხზული. ერთი მათგანი ამბობს, რომ ეს იყო უფლისწული. თურმე ბიჭუნა იმ ასაკში იყო, როცა ბავშვები აღარ ასველებენ თავის ლოგინს; ამიტომ ერთხელ, ღამით წამომხტარა, მაგრამ გარეთ გამოსულს მტრები შეუმჩნევია, შეშინებულა, ატირებულა და დედა გამოუღვიძებია. ყიჟინს აქაური მკვიდრნი ფეხზე დაუყენებია, ჰკვეთებიან ისინი შემოსეულ მტრებს და გაუძევებიათ. ასე გადაურჩენია ქალაქი პატარა ბიჭს. ახლა დგას ეს პატარა, დედიშობილა ბიჭი ქალაქის მოედანზე, დგას იმავე პიკანტურ პოზაში, როგორც იმ ღამეს იდგა. დგას და გადმოჩქეფს წყალი პატარა მილიდან. რა გეთქმის კაცს — ორიგინალური წყაროა! ბიჭის სიმაღლე ორმოცი სანტიმეტრი იქნება, ფიგურა ნიშშია მოთავსებული. სპეციალურ მუზეუმში მისი ორასამდე კოსტიუმი ინახება. ტრადიციის მიხედვით, ეს საჩუქარი მისთვის ამ ქალაქის სტუმრებს მოაქვთ.

ამ ბიჭის გამო ბრიუსელელებს ორიოდე წლის წინათ დიდი გულისხეთქვა გადაუტანიათ. ერთ დილით მოედანზე ჩამვლელებს შეუმჩნევიათ, რომ ბიჭი ადგილზე არ იდგა. ატეხილა დიდი წრიალი და აურზაური. ფეხზე დამდგარა პოლიცია, აყვირებულა რადიო, ტელევიზია და პრესა, გაჩაღებულა მითქმა-მოთქმა. ჩხრეკდნენ მატარებლებს და მანქანებს. ბოლოს ბოროტგანმზრახველებისათვის მიუკვლევიათ. მართლაც, ან სხვაგან სად უნდა ეძებნათ თუ არა ანტვერპენში! ბრიუსელელები და ანტვერპენელები ხომ ყველაფერში ეჯიბრებიან ერთმანეთს და დახეთ, ანტვერპენელ სტუდენტებს ამ ბიჭის გადაბირება მოუნდომებიათ, ესათ და პატარაათ. ვერ მიართვეს. ბიჭი ზარზეიმით დაუბრუნებიათ ბრიუსელში. მაგრამ კვლავ რომ არავინ მოიპაროს, ან თვითონ არ იცელქოს, მუზეუმში ჩაუკეტავთ. ახლა კი მოედანზე ამ ბიჭის მაგივრად მისი ასლი დგას. ბრიუსელში უამრავი სხვადასხვანაირი სუვენირი იყიდება ამ პატარა ბიჭის გამოსახულებით.



## მოიჩხრიკეთ ჯიბეები

ფული ყველგან ფულია, მაგრამ თუ რა არის ფული კაპიტალისტურ ქვეყანაში, ამას ბრიუსელში ჩასვლის პირველსავე დღეს მივხვდით. აქ ყველგან და ყველაფერში ფული უნდა გადაიხადო. შვეიცარმა კარები გაგიღოთ — ფული უნდა მისცეთ, მელიფტემ ლიფტით აგიყვანათ — ფული უნდა გადაიხადოთ, კინოში დასაჯდომი ადგილი მიგასწავლეს — აქაც ფულია საჭირო, ტუალეტი დაგჭირდათ — ჯერ ჯიბე მოიჩხრიკეთ და შემდეგ შედით. ეს საჩუქარი კი არ არის, აქ მოურიდებლად თხოულობენ ფულს. ფული, ფული და ფული, ყველგან და ყველაფერში ფული. ამიტომაც არის, ალბათ, რომ ბელგიელები მაინცდამაინც თავს არ იკლავენ განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით და საკმაოდ ხელმოჭერილები არიან.

ბრიუსელში ყოფნისას, სამწუხაროდ, ვერ ვნახეთ, „კონგოს მუზეუმი". ეს მუზეუმი ბრიუსელის გარეუბანშია და გვითხრეს ძალიან საინტერესო სანახავიაო. აქ გამოფენილი ყოფილა ყველაფერი ის, რაც კონგოში მოდის და რასაც დიდი ხნის მანძილზე ეზიდებოდნენ ბელგიელი კოლონიზატორები.

სხვათა შორის, ჩვენი დელეგაციის ბრიუსელში ყოფნისას იქ სტუმრად იყო ჩამოსული მარიონეტი ჩომბე. თვითონ ჩომბე ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ შავ-შავი, პატარ-პატარა ჩომბეები კი დაძვრებოდნენ ბრიუსელის ქუჩებში. იქნებ ესეც იყო მიზეზი, რომ „ჯენერალ-კარის" მესვეურებმა „კონგოს მუზეუმის" დათვალიერება არ შეიტანეს ჩვენს პროგრამაში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# შექსპირის სონეტები

აპრილში, მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს გადაწყვეტილებით ფართოდ აღინიშნება გენიალური ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის (1564-1616) დაბადების ოთხასი წლისთავი.

„შექსპირი — მას არ უწერია დასასრული"—ასეთი სათაური მისცა დიდმა გოეთემ თავის წერილს შექსპირზე. და მართლაც, შექსპირი მუდამ ახალი იქნება, მუდამ ცოცხალი; ის მუდამ გაიტაცებს ადამიანს თავისი მაღალი ჰუმანიზმით, კაცთმოყვარეობით, სიბრძნისა და სილამაზისადმი ტრფიალით. საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ეს სახელი დიდი ხანია შეიყვარა მკითხველმა და მაყურებელმა. ივანე მაჩაბლის უბადლო თარგმანებმა ქართველ მკითხველს მთელი ძალით აგრძნობინა ამ მწერლის ქმნილებათა სიდიადე და სიძლიერე. შექსპირის სახელი განუყრელია ჩვენი თეატრის ისტორიისაგან. როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა ეპოქის ქართველმა მსახიობებმა ბრწყინვალედ განახორციელეს სცენაზე შექსპირის უკვდავი სახეები.

როგორც მკვლევარები ფიქრობენ, შექსპირის სონეტები დაწერილია 1592-1598 წლებს შორის. ლექსის ამ ფორმით შექსპირი დიდად გატაცებული იყო. მკვლევარები მიუთითებენ იმ მსგავსებაზე, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, სონეტების, და, მეორე მხრივ, იმავე ხანებში დაწერილი პიესების — „ორი ვერონელის", „სიყვარულის ამაოების", „რომეო და ჯულიეტას" პოეტურ სახეებსა, გამოთქმებსა და შედარებებს შორის. ამას გარდა, სონეტების თემები და მოტივები ეხმაურება ცალკე სტროფებს შექსპირის პოემებიდან „ვენერა და ადონისი" (1593) და „ლუკრეცია" (1594 წ.).

შექსპირის სონეტები — ელიზაბეთის ეპოქის ინგლისური ლირიკის მწვერვალია. ამ სონეტების შესანიშნავ ქართულ თარგმანებს მკითხველები პირველად გაეცნენ 1953 წელს (მთარგმნელი გივი გაჩეჩილაძე).

ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ შექსპირის სონეტების ახალ თარგმანებს, რომლებიც შესრულებულია რევაზ თაბუკაშვილის მიერ.

* * *

ვაღიარებ, რომ, მართლაც, სად არა ვარ ნაწანწალები,
ხან ლაზღანდარა და მასხარა ვიყავ საწყალი,
სიმდიდრე ვფლანგე, შემძენილი დიდის წვალებით
და ძველი ტრფობა ახალ გრძნობით შეურაცხყავი.
ჭეშმარიტება არ მიყვარდა შმაგბუნებიანს,
ჭეშმარიტება არ მინდოდა ნათლად მენახა,
მაგრამ გულს ისევ სიჭაბუკე დაბრუნებია
და უკვე ვიცი ჩემი სატრფო მხოლოდ შენა ხარ.
უკვე დასრულდა ჩემი გზები სახეტიალო,
აღარ დავეძებ ტრფიალებას გაუთავებლად,
ვერას დამაკლებ, ცდუნებათა მახევ ტიალო,
რადგან ვიპოვნე სიყვარულის წმინდა ღვთაება.

კარგო შენი ვარ, შეისმინე ჩემი მუდარა,
შენი ნათელი მკერდი მინდა ნავსაყუდარად.

* * *

როცა საათის ხმა მომესმის, მარად უცვლელი,
და მზეს შევხედავ, ბინდებში რომ თავი დახარა,
როცა შევნიშნავ, როგორ დაჭკნენ იის ფურცლები
და ნაწნავებში ჩაქსოვილა ვერცხლის ჭაღარა;
როს ქვითინებენ ხეივნები ფოთოლმოცლილი,
სადაც მეცხვარეს იფარავდნენ ჩრდილები ხეთა,
და როცა ბალახს, შემოდგომის ცელით მოცელილს,
ზაფხულის ბალახს სასაფლაოს ფორანზე ვხედავ;
მე ჩამაფიქრებს ბედილბალი შენი მშვენების,
დროის უდაბნო კიდევ ბევრჯერ მოსავლელია,
ხენი კვდებიან, როს ყვავიან ახალშენები,
როცა სხივები ენძელების მოსვლას ელიან.

ძვირფასო, ჟამის ულმობელი ცელი არ ცხრება,
მაგრამ დასტოვე მოდგმა დროის დასამარცხებლად.

* * *

ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი
დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.

ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

# ნიკო ფიროსმანაშვილი

## ნიკო ჰყვება თავის ცხოვრებაზე

ჩვენი ლაპარაკი გრძელდებოდა.

— აი, ასე, ეს არის ჩემი ოთახი, როგორც ხედავთ. თქვენი სახელი ლადოა. არა, დიახ, ლადო!

ცდილობდა ესიამოვნებინა ჩემთვის და ჭიქით წყალი შემომთავაზა; გარეთ საშინელი სიცხე იყო, მაგრამ მე წყალზე უარი ვუთხარი, მან კი ბოდიში მოიხადა — ლიმონათი არა მაქვსო. უცებ მკითხა:

— თქვენ იცნობთ ძმებს ზდანევიჩებს? მათ ბევრი სურათები აქვთ ჩემი, მე ხომ ბევრს ვმუშაობდი. თბილისის სარდაფები ჩემი მოხატულია. ამით ვცხოვრობ — შემომჩივლა ნიკალამ.

მერე კიდევ სცადა ჩემი გულის მოგება:

— შეიძლება მიირთვათ რამე?! იქნებ პური... აი, გთხოვთ! — და გამოიღო თაროდან ხმელი პურის ნატეხი. — მადლობელი ვარ მეთქი, ვუთხარი უარი.

— ასე, ასე, ჩემო ძმობილო, ძვირფასო ლადო. როგორ გეძახიან თქვენ, ლადო არა? ჰო, ლადო!... — გაჩერდა, ჩაფიქრდა, უეცრად აღელდა, დაიწყო რაღაცის ძებნა. იქვე კუთხეში მდგარ ტახტზე გადაფარებული საბნის ქვეშიდან ამოიღო გაქონილი ქაღალდების ნაჭრები;

— ხედავთ — გაშალა „სახალხო ფურცლის“ ნომერი, სადაც მისი სურათი იყო მოთავსებული — ეს ჩემი პორტრეტია. ვიღაც გოგოლაშვილმა გადამიღო და შემდეგ გაზეთში მოათავსა. მე ვუთხარი, რომ სურათი ნახული მქონდა. გაზეთი სათუთად დაკეცა და ისევ იმავე ადგილას შეინახა.

— ახლა რაზე მუშაობთ? — შევეკითხე მე.

— არაფერზე არ ვმუშაობ. ვასრულებ მხოლოდ პატარა დაკვეთებს, რაც ამ ჩემს ოთახში დაეტევა — „კრუხწიწილი“, „კალოობა“. ვხატავ ირმებს, დათვებს, მელიებს, — თანაც დაურთო—მიყვარს ცხოველების ხატვა, ისინი ჩემი გულის მეგობრები არიან, — და გადაუსვა დახატულ შველს ხელი.

შემდეგ ამოიოხრა და თქვა:

— ჰო, ვასრულებ მხოლოდ დაკვეთებს რესტორანში, სიღარიბეში ვცხოვრობ, ხან მატყუებენ, ფულს არ მაძლევენ, ასე ულმერთოდ მექცევიან, ჩემო ძმაო, ერთს რომ ხათრით იაფად დავუხატავ, მეორესაც უნდა თავისი სარდაფი უსასყიდლოდ მომახატვინოს, ჩვენი ნიკალა ხარო, მეუბნებიან, გაგვიკეთეო. ერთი კერძის ფასად რჩებათ ჩემი სურათები.

მცირე ფიქრის შემდეგ დააყოლა:

— საღებავებისა და მუშამბის ხარჯსაც არ მაძლევენ, ასე შეეჩვიენ და თავზედაც დამასხდნენ.

ამის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი გარკვეული იყო, ვიცოდი მისი ტანჯული ცხოვრების მთელი საშინელება და აღარ მინდოდა დამეღალა საცოდავი ნიკალა.

ამოვიღე ფული, გადავეცი, ისიც ვუთხარი, ვისგანაც იყო. შეჩერდა და გაოცებული გაქვავდა. სიტყვა ვეღარ დასძრა, არ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა.

— მართალია ცოტაა — ვუთხარი მე, — მაგრამ როგორმე იოლად გადით, ამ ფულით შეიძლება პატარა ხანს ცხოვრება. იყიდეთ საღებავები და ყველაფერი, რაც საჭიროა მუშაობისათვის.

ავდექი, მოვემზადე წასასვლელად, კუთხეში რაღაცამ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

— ეს რა აწყვია აქ? — შევეკითხე.

— საღებავებია, ჩემო ძმაო! — მიპასუხა ნიკომ, — გინდა გაჩვენო როგორ უნდა იმუშაოთ; თქვენ გოლოვინსკის პროსპექტის მხატვრები, კოსტიუმებში და ჰალსტუკებში გამოწყობილნი დასეირნობთ და გეშინიათ მტვრის ერთი ნამცეცი მოგეცხოთ. არა, ასე არ შეიძლება, უნდა გაიკეთო ძველი წინსაფარი, აანთო ნავთის ლამფა, მოაგროვო ჭვარტლი, უნდა დაფქვა ფეხით ცარცი და გააკეთო უმარილი, აიღო დიდი ფუნჯი და შელებო კედლები თეთრი, ან შავი ფერით ძირიდან თავამდე. ო, ასე უნდა... ეს დაიხსომე. მაშ, როგორ მოვიქცეთ ახლა ჩვენ? ავაშენოთ სახლი თუ არა? გახსოვთ, კრების დროს გითხარით, ავაშენოთ და შევიკრიბოთ ხოლმე იქ. ვიქნებით ერთად, თორემ რა არის ახლა? დახატავ სურათს, წაიღებ სარდაფში, გაჭმევს მედუქნე, დაგალევინებს ერთ ჭიქას და სურათს კი დაიტოვებს და ასე ყოველთვის... — ხელი ჩაიქნია და დაჩუმდა.

აბეზარმა ცნობისმოყვარეობამ მაინც მაიძულა შევკითხოდი თუ ამ ბოლო დროს რით არის გატაცებული და რაზე მუშაობს.

მიტრიალდა და იქვე მიყუდებული მუყაოს ფურცლების ჯგუფიდან ამოიღო ორი სურათი, ერთი „თამარ დედოფალი“ იყო, მეორე კი „შოთა რუსთაველი“.

— მაგათ პორტრეტებს ხშირად ხატავ, ბევრჯერ შემხვედრია სარდაფებში — ვუთხარი ნიკალას.

მან თავი მიანება სურათების ძებნას, სწრაფად შემობრუნდა და მითხრა:

— რათ გიკვირს ძმაო ლადო, ეს ხომ ჩემი სამშობლოს ხატებია... თამარი ხომ საქართველოს დედაა და რუსთაველიც საქართველოს დიდებაა... ამიტომ არ ვაშორებ იმათ ერთი-მეორეს.

თქვა და ისევ ფიქრებში წავიდა ნიკალა.

დავეთანხმე და თანაც სურათები შევუქე. გახალისდა ნიკო, მუყაოს ორი ფურცელი კიდევ შემოატრიალა და მიჩვენა. ერთზე ლომი ეხატა, მეორეზე ჟირაფი. ორივე სურათმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

საოცარია, რომ ორი-სამი ფერით, უბრალო მუყაოზე მხატვარმა ასეთ შთამაგონებელ ეფექტს მიაღწია, ადამიანის თვალებივით მეტყველი გახდა ცხოველთა თვალები. ორივე სურათში დიდი ექსპრესია იგრძნობოდა.

უცებ რატომღაც გამიელვა ერთმა აზრმა — ნეტავი ნიკალამ დამხატოსმეთქი. მაგრამ თავი შევიკავე, არ მინდოდა მისი გაწვალება, კარისაკენ გავიწიე წასასვლელად.

— მაშ მიდიხარ, — მითხრა მან წყენით და უცებ. თითქოს გულში ჩამხედაო. წარმოთქვა —იცი, რა ლადოჯან, მოდი თათარიახნად შენს პორტრეტს დავხატავ...

გამიხარდა ეს რომ გავიგონე, მაგრამ უცებ ისიც გავიფიქრე — როგორ შევაწუხო, დავახარჯინო უკანასკნელი ფერი და მუყაო. თანაც პორტრეტი საჩუქრად შემომთავაზა, სწორედ ამან მათქმევინა საბოლოო უარი. შემდეგ რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად ვნანობდი ჩემს ასეთ საქციელს.

ნიკალა კვლავ უჩიოდა თავის მძიმე ცხოვრებას:

— აქ ბავშვები მიშლიან ხელს, ყვირიან და ქვებს ისვრიან ფანჯარაში, ულმერთოდ მაწვალებენ... მაშ, თქვენ მიდიხართ?.. წავიდეთ... იცით, რა? — თქვა მან ჩუმად, — წავიდეთ სარდაფში, დავლიოთ...

მე ვუთხარი, რომ ღვინოს არა ვსვამ...

— მაშინ ლიმონათი მაინც დალიეთ.

ამ ლაპარაკში ერთად გავუდექით გზას. ის კვლავ თავის დუხჭირ ცხოვრებაზე მომითხრობდა, მირჩევდა ფირნიშების მხატვარი არ გამოვსულიყავი: — ძალიან ჭუჭყიანი სამუშაოა და ბნელ ხალხთან საქმის დაჭერა ღმერთმა გაშოროსო, აი თუ ზაზიაშვილისთანა ხატვას ისწავლი, მაშინ დაე, ხატეო; სხვანაირად კი, ხომ ხედავ მე როგორ მტანჯავენ და არაფრად მაგდებენო. მერე ფერების შეზავებაზე ვილაპარაკეთ, შავი მუშამბის შესახებ, ეს ხომ იაფი ტილოა, გრუნტი მას არ უნდა და პრიალაც არის, ამასთან, ჩაფიქრებული სურათი ადვილად გამოდის, ღამის სურათების ხატვა მიყვარს, ღამე ხომ ბნელეთია, ჩემი ცხოვრებაც ჩაბნელებულია და ნახატი უფრო ადვილად გამომდისო.

— ცხოვრებაში ნათელი და მხიარული წუთებიც არის, რატომ გნებავთ, რომ ცხოვრება ბნელეთად გეჩვენებოდეს — ვუთხარი მე.

— ჰო, აგრეა, — მიპასუხა, — აი ძმაო, მზე, რომ ამოდის, რატომღაც მიხარიან და კარგ გუნებაზე მაყენებს, მთვარე კი თავის მიმკრთალებული სხივებით სევდასა მგვრის. ასე, რომ დღეცა და ღამეც და-ძმანი არიან. მე კი მარტოკა ვარ და არავინაც არ მპატრონობს და არც ჩემი ნახელავი ესმით.

მისი ლაპარაკი გულში მხვდებოდა და მინდოდა მისი სასოწარკვეთილება გამექარვებინა ალერსიანი საუბრით, როგორც შევძელი დავამშვიდე.

ის იყო ვაგზლის მოედანზე აღმოვჩნდით, გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს, მე იქვე ახლოს ბოძს ამოვეფარე, ნიკალამ კი სარდაფის კიბეები სწრაფად ჩაირბინა და თვალს მიეფარა. გულმა ვერ გამიძლო და მალულად ჩავიხედე სარდაფის სიღრმეში, იქიდან არღნის ხმა ისმოდა. თამბაქოს კვამლი მიშლიდა გამერჩია რას იზამდა ჩვენი ნიკალა, ერთი კი შევნიშნე — რაღაცას სთხოვდა დახლის იქით მდგომ ღიპიან მედუქნეს; დაღონებული მოვტრიალდი და დაფიქრებულმა გამოვწიე სახლისაკენ.

## მხატვრის ფუნჯის ძალა

მას შემდეგ ნიკალას ვეღარსად შევხვდი, ვეძებდი, ვიყავი ძველ ბინაშიც, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მივუსწარი. ვეძებდი სარდაფებში, დუქნებში მაგრამ ამაოდ — ვეღარ ვიპოვნე საწყალი ნიკალა.

იმ შეხვედრის შემდეგ თითქმის მთელი წელიწადი გავიდა, მხატვართა საზოგადოებამ კიდევ გადასდო გარკვეული თანხა ღარიბ მხატვართა სასარგებლოდ. ფიროსმანისათვის გადმომცეს დაახლოებით 300 მანეთი. წაველი მასთან, მაგრამ ძველი ბინიდან სადღაც გადასულიყო. იმ ოთახში კი პატარა საწვრილმანო დუქანი იყო მოთავსებული და იქ წინანდელი მობინადრის შესახებ არაფერი იცოდნენ.

რამდენიმე ბავშვმა იკისრა ფიროსმანაშვილის მოძებნა, გავყევი მათ, შემოვიარეთ დიდუბე, ვაგზლის და მალაკნების ქუჩებზე მდებარე სარდაფები, და ეზოები, მაგრამ პასუხი ყველგან ერთი იყო — დიდი ხანია არ გვინახავსო, გვეუბნებოდნენ მედუქნეები და რესტორნების პატრონები. ვერაფერი გვითხრეს სამისამართო მაგიდაშიც, ვაგზლის საავადმყოფოშიც. მას შემდეგ ნიკო ფიროსმანაშვილი სამუდამოდ დაიკარგა.

ნიკომ თავისი წუთისოფელი ტანჯვაში გაატარა, სადღაც, მივარდნილ ადგილას დალია სული. მისი სიკვდილის თარიღი 1918 წელია. მაგრამ დანამდვილებით არ ვიცით რა დღეს მოკვდა, რა პირობებში, ან ვინ დამარხა, ეს ყველაფერი გაურკვეველი დარჩა.

განვლილი წლების მანძილზე ფიროსმანაშვილზე ბევრი კარგი რამ დაიწერა, მაგრამ ბევრი საეჭვო „თეორიაც“ შეიქმნა მის ირგვლივ. დროა, საბოლოოდ გაიფანტოს ეს მცდარი მოსაზრებანი. ფიროსმანაშვილი იყო დიდი რეალისტი და მისი სახელის დაკავშირება მეოცე საუკუნის რაიმე მავნე მიმდინარეობებთან — მკრეხელობაა და მეტი არაფერი.

მე მინდა ჩამოვთვალო მხატვართა გვარები, რომლებიც რაღაცით ჰგვანან ერთი-მეორეს. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ნ. ფიროსმანაშვილი, შემდეგ ფრანგი ანრი რუსო, უტრილიო, მოდილიანი, დიეგო რრვიერა, ყინწვისის ანგელოზის ავტორი და მრავალი სხვები — გულმართალი შემოქმედნი, ცხოვრების სიმართლისათვის მებრძოლნი.

სოკრატი ამბობდა, მხატვრები მაღალ პატივს იმსახურებენ, ისინი არიან ბრძენნი, თუმცა არ ჰგვანან ასეთებს, მაგრამ ამაზე მათი საქმიანობა მეტყველებსო.

ეს სწორედ ნიკალა ფიროსმანაშვილზე ითქმის. ხალხის პირმშო შვილი. ბუნების მესაიდუმლე, ფერების ჯადოქარი, შთაგონებული ოსტატი ის კვლავ მოხიბლავს მომავალ თაობებს თავისი უკვდავი ქმნილებებით, რომლებშიაც ესოდენ ნათლად აისახა სულიერი სამყარო ჩვენი ხალხის.

ლადო გუდიაშვილი,
საქართველოს სახალხო მხატვარი.

---

ოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს არქიტექტორთა კავშირი დაარსდა. გადახედეთ საბჭოთა საქართველოს აყვავებულ ქალაქებსა და სოფლებს და ნათლად დაინახავთ ჩვენი ღვაწლმოსილი ხუროთმოძღვრების ნაამაგარს. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტებმა ო. თურქიამ და ე. პესოვმა ფოტოფირზე აღბეჭდეს ერთი ჯგუფი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აქტიური მოღვაწეებისა. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: ბ. ლორთქიფანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ქ. სოლოვიოვა-ფორაქიშვილი, ლ. სუმბაძე, ა. ნიკოლაიშვილი, ი. ზაალიშვილი, მ. შავიშვილი, ვ. კედია, ა. ინწკირველი და ვ. ბერიძე.

---

დასასრული. იხ. ჟურნ. „დროშა“ № 3.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბუა მოიწყინა

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე**

**მხატვარი დინარა ნოდია**

ანუკა მარანში პურის ცომს აგუნდავებს. გიორგი თხას ატყავებს გუდის ამოსაღებად. ეს ვეება ვაცი წუხელ მიმინოს ხევში კლდიდან გადავარდა. გიორგიმ ჯერ კიდევ ცოცხალს მიუსწრო, ყელში დანა გამოუსვა და მანქანაზე დააგდო. ამ დილით საჩეხში ჩანგალზე ჩამოჰკიდა და კარგად გასინჯა, — ტყავი მთელი იყო, ერთი პატარა ნასკდომი ვერსად იპოვნა. ერბოქვა გამოიტანა და დანას პირი აუწყო, მერე თხას ორი ღერი ბეწვი ამოსწიწკნა, დანისპირს დაადო და სული შეუბერა. შუაზე გადაჭრილი ბეწვები ნიავმა მაღლა აიტაცა. გიორგიმ ჩაიღიმა, გაუხარდა, რომ დანა ასეთი ფხიანი იყო. გუდის ამოღება შეიძლებოდა.

ზემოდან კი ისევ ისმოდა იატაკის ჭრაჭუნი და სკამების ხრიგინი; მერე, როგორც იყო, სკამებმა მოისვენეს და ჯერი ტახტზე მიდგა. გააჩოჩეს, გამოაჩოჩეს, მერე ისევ კედელს მიადგეს...

„სულ დამიფხაჭნის ახლად შეღებილ იატაკს!“ — გაიფიქრა ანუკამ.

ხმაური თანდათან მისწყდა. შუშაბანდიდან ზაქარიას გაჯავრებული ხმა მოისმა.

— ანუკა!

ანუკამ ხმა არ გასცა. იგი მაშინვე მიხვდა, მოხუცი ქალამნებს ეძებდა. წელან ძეწნას ბიჭმა ჩამოიარა და ზაქარიას შემოსძახა, ჩოხელი გიბარებსო.

— დედაკაცო, ჩემი ქალამნები მომიტანე, თორემ...

კიბის თავზე საგარეოდ გამოწყობილი ზაქარია გადმოდგა. ხელში მათრახი ეჭირა. ანუკამ ფეხებზე შეხედა. სიცილი წასკდა. მოხუცი წინდების ამარა იყო.

— დედაკაცო!

ანუკამ ისევ წაუყრუა. რა მისი ბრალია, რომ ბიჭები ახირებულ მოხუცს ქალამნებს უმალავენ. გათენებისას იმ დასაწვავ „ლორის ტყავს“ მოპარავენ და საწოლთან ახალთახალ ჩექმებს დაუწყობენ. გაგიგონია! ზაქარია იმ ჩექმებს ზედაც არ დახედავს. ანუკას შეეხვეწება ქალამნები მომიტანეო.

— თავი მოგვეჭრა, მამავ! ეზოში ავტომობილი გვიდგას, მინდორში კომბაინი დაგვიდის... შენ კი ისევ ქალამნებში დადიხარ! განა ყველამ იცის შენი გულის ამბავი! — ეუბნება გიორგი, მაგრამ ცხენისა და ქალამნის სიყვარული ვერ იქნა და ვერ მოაშლევინეს ზაქარია ნადიბაიძეს.

„თუში ცხენზე იბადება და ცხენზე უნდა მოკვდესო!“ — ამბობს იგი და თუმცა გამგეობის ეზოში შინდისფერი ავტომობილი უდგას, ქორისას უნაგირი რომელი მანქანის რბილ სავარძელს არ ურჩევნია გაუგონარ მოხუცს.

კალოობის დროს ხარიპარიას გაკრთომამდე წამოდგება ზაქარია, ხელდახელ ჩაიცვამს, კვერცხისებრ ჩარგვალებულ ულაყს შეკაზმავს და კომბაინებს ჩამოუვლის. როგორც კი ქორისა გზას გაივაკებს და თოხარიკს გააბამს, ზაქარიას მაშინვე თვლემა მოერევა და უნაგირზე ისე ტკბილად გამოშუშდება, მერე ღმერთმა შეარცხვინოს ნამჯაზე გაშლილი ნაბადი.

ერთხელ მოხუცს კბილის ტკივილმა ძილი გაუტეხა. ვერც არაყმა უშველა და ვერც დასაძინებელმა წამალმა. ჩუმად კვნესოდა, რომ შინაურები არ შეეწუხებინა.

— ქორისა ხომ არ შეგიკმაზო, მამავ! — გამოსძახა გიორგიმ პატარა ოთახიდან.

— ამ შუაღამისას ექიმი როგორ შევაწუხო, ბიჭო!

— არა, მამავ! — ჩაიცინა გიორგიმ: — განა ექიმთან გიშვებ! ცხენზე რომ შეჯდები, იქნებ დაგეძინოს!

ზაქარია ნადიბაიძის შინდისფერი ავტომობილი მთელი შირაქის გაჭირვების ტალკვესი იყო. მისი დაუღლელი მანქანა ხან შირვანის საზამთრო საძოვრებზე მიაქროლებდა ალმასკომის თავმჯდომარეს, ხან კიდევ ექიმი დაჰყავდა ახლომახლო სოფლებში. ცხენს არ გათხოვებდა ზაქარია ნადიბაიძე, თორემ ავტომობილს როგორ დაგიკავებდა!

ქალამანიც ასევე უყვარდა. მაგრამ ქალამანიც არის და ქალამანიც. ზაქარია ნადიბაიძე ლორის ტყავს რომ გამოქნიდა, მერე შოლტებად დასჭრიდა და ფეხზე ამოისხამდა, თვალი ზედ დაგრჩებოდა. მაშინ იორლა ვერ დაეწეოდა ზაქარია ნადიბაიძეს, ეგრე ჯეელად მიჰქონდა მხარბეჭი ტარიბანას აღმართზე.

სწორედ ამის გამო იყო ერთი გაუთავებელი დავა და ბუზღუნი ნადიბაიძეების ოჯახში...

— დედაკაცო!

ცომზე ხელის ტყაპუნი შეწყდა. მარნიდან ანუკამ გამოიხედა.

— თონე გამიცივდება, კაცო!

— იცოდე, ანუკა, ქორისას უნაგირს მოვხდი და ეზოდან ფეხს არ მოვიცვლი! მერე შენ გაეცი პასუხი სიმონ ჩოხელს! — მოხუცმა მათრახი რქაზე ჩამოჰკიდა და ქუდი მოიხადა.

— რა ვქნათ? — წასჩურჩულა ანუკამ მარნის კართან მომდგარ გიორგის.

—მართლა ჩოხელი ეძახის? — ჰკითხა გიორგიმ.

ანუკამ თავი დაუქნია.

გიორგიმ ამოიოხრა, მერე მიტრიალდა და პირმომტვრეულ კოკასთან მივიდა. ეს კოკა საწვიმარ ღართან იდგა. ანუკა შიგ ხანდახან წვიმის წყალს აგროვებდა თავის დასაბანად. კოდის წყალი ძალიან მარილიანი იყო და საპონს ცუდად აშორებდა. გიორგიმ კოკაში ხელი ჩაჰყო და ერთმანეთზე დაკრული ქალამნები ამოიღო.

— მიუტანე.

ზაქარია ისევ კიბის თავზე იდგა.

— რა გაყვირებდა, შე კაცო! — უთხრა ანუკამ: —ძაღლს ჩაუტანია ეზოში.

— მოვკლავ იმ სამგლეს! — სთქვა ზაქარიამ.

ვითომ ვერ ხედავდა, რომ ბოლო დროს ცოლ-შვილი ძალიან შეუთამამდა ოჯახის უფროსს.

„გლეხის იმედის“ თავმჯდომარის მოლოდინში სიმონ ჩოხელი ფანჯარასთან შუბლშეკრული იდგა და ეზოს გასცქეროდა. მან დაინახა, როგორ აუჩქარებლად ჩამოხტა ცხენიდან ზაქარია და ასევე აუჩქარებლად კიბისაკენ წამოვიდა. ერთი პირფერი სიტყვა არ დასცდენია ამ ხნის მანძილზე ზაქარია ნადიბაიძეს, მის პირისახეზე ერთი ლაქუცა ღიმილი არ დაუნახავს სიმონ ჩოხელს... ყველაფერზე ეტყობოდა, კერპი, დაუყოლიებელი კაცი იყო „გლეხის იმედის“ თავმჯდომარე. შენს ჭკუაზე ეგრე ადვილად არ გაივლიდა. „ეს ყოველთვის უნდა მახსოვდეს“, გაიფიქრა ჩოხელმა.

კარი გაიღო.

— შეიძლება?

ჩოხელმა თავი დაუქნია.

— გამარჯობა ამხანაგო სიმონ!

— იცოცხლე, ზაქრო!

ხელი ჩამოართვა, სკამი მიაწოდა.

— სად დაუწყია მოზაიძეს მუშაობა?

— საქნავთში. საბარგო მანქანაზე.

— ხალხს მოვლა უნდა, ზაქარია... ყველამ თავ-თავის საქმეს უნდა მიხედოს, თორემ ერთი და ორი კაცი ყველაფერს როგორ გასწვდება!

— ამ ამბავმა მეც ძალიან გამაკვირვა, ამხანაგო სიმონ, წესიერი კაცი იყო, მუყაითი, ვერ გამიგია, ახლა რამ გადარია!

— წესიერი კი არა...

ჩოხელმა ხელი ჩაიქნია:

— ტრაქტორს თავი მიანება და საშოვარზე დაიწყო სიარული... ხვალ საღამოსვე საერთო კრება მოიწვიე და მოზაიძის საკითხი დააყენე! მეც ჩამოვალ.

— ჯერ იქნებ მოველაპარაკო...

— არავითარი ჯერ იქნებ... ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, სხვებიც ასე ფიქრობენ!

ცხელოდა. ჩოხელმა ფანჯარა გამოაღო. ზაქარიას ცხენი რომ დაინახა, ჩაიცინა და სთქვა:

— გამხდარა შენი ქორისა, ზაქარია! კაცს როგორ მოუვლიდი, ცხენისათვის ვერ მოგივლია!

ჩოხელმა თვალი ვერ მოატანა, როგორ შეუთამაშდა მარცხენა წარბი ზაქარია ნადიბაიძეს. მხოლოდ მისი მშვიდი პასუხი გაიგონა:

— გახდება, მა რა იქნება, ამხანაგო სიმონ! კვირაში სამჯერ, დილიდან საღამომდე, ცხენი რაიკომის ეზოში მიბია. სულ აქა ვარ, თათბირებზე! ან კაცს როგორღა მივხედო, ან პირუტყვს!

* ციკლიდან „ნატვრის თვალი“.



ნადიბაიძე კარგა ხანია წავიდა. ჩოხელი კი ისევ ფანჯარასთან იდგა და გულამღვრეული ფიქრობდა, ზაქარია ნადიბაიძეს თავს გაუვიდა, მუშაობას მიწუნებს, ყველაფერზე საკუთარი აზრი გაუჩნდაო. ფანჯრის მინაზე თითებს მოუთმენლად ათამაშებდა. მერე ჩაიცინა და გულში სთქვა: „ვაი ჩემი ბრალი! კაცმა სიმართლე მითხრა, მე კი ის კაცი შუაზე მინდა გავგლიჯო!"

მაგიდის უჯრიდან ქაღალდები ამოალაგა და წერა დაიწყო. გასულ კვირას ჩოხელს თბილისიდან ნაცნობმა რედაქტორმა დაურეკა და წერილი წაუკითხა საზაფხულო სამოვრების თაობაზე. ხუთგვერდიანი მასალა სულმოუთქმელად ჩამოფქვა ტელეფონის მილში და ბოლოს ჰკითხა, როგორი წერილიაო.

კარგიო, მიუგო ჩოხელმა.

შენი ხელმოწერით მინდა გაზეთში წავიდესო, უთხრა რედაქტორმა.

ჩოხელმა ხმა არ გასცა.

— მგონი, გაგვთიშეს, — ჩაილაპარაკა რედაქტორმა.

— ჯერ არა, — მაშინვე შეეხმიანა ჩოხელი: — ისე, კარგი კი იქნება, რომ გაგვთიშავდნენ!

— რათა, შე კაი-კაცო!

— ძალიან მაწყენინე, გურამ!

— რა მოხდა, სიმონ! ხომ არაფერი ჩაგძახეს!

— მეტი რაღა უნდა ჩამძახონ, კაცი უწიგნური გამომიყვანე!

— ჰოო, — გულს მოეშვა რედაქტორს: — მე რაღაც მეგონა... ამაზე რას მიწყრები, სიმონ! შენთვის გავაკეთე, ამ გახურებულ ალოობაზე საწერად სად მოიცლისმეთქი!

— არა, თუ ძმა ხარ, ჩემი სათქმელი მე თვითონ მათქმევინე. მოვახერხებ როგორმე!

— კი, ბატონო! იყოს ნება შენი! აბა კარგად იყავი. — რედაქტორმა კიდევ რაღაც წაიბურდღუნა და ტელეფონის მილი ორკაპზე დააგდო.

ახლა სწორედ ამ წერილს ამთავრებდა ჩოხელი. დაღამებამდე თავაუღებლად მუშაობდა. მერე სინათლე ჩააქრო და კაბინეტი დაკეტა. მოსაცდელ ოთახში, სადაც მდივანი-მემანქანე იჯდა, ერთხანს უაზროდ შეჰყურებდა ჯამისოდენა საფერფლეს. იგი პირამდე სავსე იყო ათასგვარად ნაღეჭი ნამწვავებითა და მზესუმზირას ჩენჩოთი. ერთ-ორ ნამწვავს ტუჩების სალებავის წითელი რკალი აჩნდა. „პატარა პელო ყოფილა", — გაიფიქრა ჩოხელმა და მაყვალას გულში მადლობა გადაუხადა, რომ დღესაც უჩხუბრად მოარიდა რაიკომის მდივანი დურგლის ცოლთან უსიამოვნო საუბარს.

„ეს ჯამი კი ეგრე არ უნდა დაეტოვებინა!" მაყვალას გულმავიწყობა არ მოუწონა და ოთახიდან გავიდა.

ახლახან გამართული ლამპიონები უგემურად ბჟუტავდნენ. ჩოხელმა ქუჩიდან გადაუხვია და ჭადრების ხეივანში მიმალულ ბილიკს გაჰყვა.

მისი შემხედვარე ვერ იტყოდი, ამ კაცმა იცის, სად მიდისო.

მარტო ცხოვრებამ თავი მოაბეზრა სიმონ ჩოხელს. დაღამება და შინ წასვლა ეზარება, როდესაც გაახსენდება მაგიდაზე გაზეთგადაფარებული ცივი სადილი (სასადილოდან მოტანილი), უმზეობისაგან დანესტიანებული კედლები და სიჩუმე, უსიამოვნო სიჩუმე მარტოხელა კაცის ბინისა.

და ვინ იცის, ამ დაუსრულებელ თათბირებსაც იქნებ იმიტომ დაეჩვია სიმონ ჩოხელი, რათა იმ გამოყრუებულ ბინაში რაც შეიძლება გვიან მივიდეს...

ვინ იცის!

არავითარი გართობა და თავშექცევა მან არ იცოდა. ხუთი წელიწადი შესრულდა, რაც ჩოხელი წითლისწყაროში ჩამოვიდა. იგი ერთხელაც არ გაჰყოლია სათევზაოდ ზაქარია ნადიბაიძეს. ალაზანში სავსე იყო ლოქო. ტინის ხიდიდან მკაფიოდ სჩანდა, კამკამა წყალში როგორ აქნევდნენ ბოლოებს ვეება შავი ლანდები.

კალოობას რომ მოათავებდნენ, არჩილ ყანჩაშვილი და მისი ამალა ყოველ შაბათკვირას დაღესტნის ტყეებისაკენ გაუტევდნენ გარეულ ღორზე სანადიროდ. სიმონ ჩოხელს გული არც ტყისაკენ ეძახდა. ალაზანზე მხოლოდ ორჯერ იყო ნამყოფი. ერთხელ — როდესაც შირვანიდან მოდენილ ცხვარს ყუთური დაემართა და სასწრაფოდ კრეოლინი უნდა ეშოვნა... მეორედ კი — ჩანკაანთ ხევთან გზა დაებნა და გათენებისას ალაზნის ხიდთან ამოჰყო თავი. არ ეცალა. პური კი შირაქში მაინც ცოტა მოდიოდა. მართალია, წლეულს გვალვა იყო, მაგრამ შარშან? შარშანწინ?

გასულ კვირას ჩოხელმა ძველ გუთნისდედებს დაუძახა და რჩევა ჰკითხა. ზაქარია ნადიბაიძემ პირდაპირ უთხრა, მიწას ძარღვი საიდან ექნება, მეექვსე წელიწადია, ნაპურალზე ისევ პური ითესებაო.





— აქაური კაცი ხარ, სიმონ. განა არ იცი, შირაქის ურწყავ მინდვრებს ანეული აცოცხლებს! ანეულს გვალვისა არ ეშინია. გინდ ხუთი წვიმა მოსულა, გინდ მიწა ხუთჯერ მოგიხნავს!

იცის, როგორ არ იცის შირაქში დაბადებულმა და გაზრდილმა ჩოხელმა, რომ ერთმინდვრიანობამ მიწას სული ამოხადა, მაგრამ რა ექნა. „საქართველომ თავისი პური უნდა იმყოფინოსო",—ასე განსაჯა აპრილის პლენუმმა. გამოფიტულ ნიადაგს იმდენი სასუქიც ველარ მისცეს, ცოტა ღონე და სიფიცხე მომატებოდა. შარშან ტარიბანაზე დიდი ტრაქტორები ახოებსა სტეხდნენ. ამიტომ პური გვიან დათესეს. ახლად გაღივებულ მარცვალს ყინვამ მოუსწრო და გაალაყა.

უჭირდა ჩოხელს ახალი გზით სიარული, თუმცა პარტიულ წრეებში ჯერ კიდევ კარგი მეთაურის სახელი ჰქონდა დავარდნილი.

საოცარია?!

არა, არ არის საოცარი, თუ გაიხსენებ, მკითხველო, რომ ჩოხელი უაღრესად პატიოსანი, უანგარო და პარტიის ერთგული კაცი იყო.

სწორედ ეს ადამიანური მადლი მადლავდა ჩოხელის მთავარ ნაკლს — რომ იგი არ იყო გამოჭედილი ხალხის მეთაურად, არ შეეძლო ერთსულად და ერთხორცად შეეკრა სხვადასხვა ზნისა და ხასიათის ადამიანები.

მალე ისევ შარაგზაზე გამოვიდა. ასფალტის დამგებ მანქანას პატარა ბიჭები დასეოდნენ და ზედ ოთურმას გადადიოდნენ. ხელმარცხნივ, პატარა ფერდობზე, ორი ახალი სახლი იდგა. გუშინ და გუშინწინ ოცდაშვიდი ოჯახი ჩაასახლეს ოროთახიან ბინებში. შეღამებულში ეს ახალი სახლები მეტისმეტად გამოირჩეოდნენ მთელი იმ ქუჩის დაყოლებაზე. იქიდან უფრო ხმამაღალი სიცილი მოისმოდა, რადიომიმღებსაც უფრო ხმამაღლა აყვირებდნენ, ვიდრე ძველ სახლებში და არც სინათლეს ზოგავდა გახარებული ხალხი. ფანჯრებს ჩახჩახი გაჰქონდა. ისინი იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ მათი პატარა აივნები სავსე იყო ათასგვარი ძველმანით, — ფეხმოტეხილი სკამებით, ბოცებით, თაროებით, წელებგადმოყრილი მუთაქებით... მათი მილაგება ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ მუმბარაქით გართულ დიასახლისებს. აგერ, განაპირა აივანზე, ვიღაც ქალმა უცბად თავი უკან გადააგდო და ისეთი გადაიკისკისა, მთელი ქუჩა მისკენ მიტრიალდა. ჩოხელს გაეღიმა. ამ უცნობი ქალის სიცილმა კარგ გუნებაზე დააყენა.

„კაცმა თავი როგორ უნდა დაზოგო, როცა შესაძლებელია, რომ მთელი ქვეყანა აი ასეთი ბედნიერი სიცილით გაივსოს! გახარებულ ადამიანზე უფრო ლამაზი ცხოვრებაში რა შეიძლება იყოს!" — ჰკითხა მან თავის თავს. ამ უცაბედმა ფიქრმა ჩოხელს გული გაუკეთა და ახლა სასაცილოდ არ ყოფნიდა წუხანდელი შიში და ეჭვი, გაისად მიწის მუშა სანთლით საძებარი გამიხდებაო. მაგრამ ხალისი ისევ წაუხდა, — როგორც კი ღვინის სარდაფთან შეუხვია და თავისი სახლის შესასვლელს მიადგა. მისი ოროთახიანი ბინის ფანჯრებიც ისე ბრდღვიალებდნენ, როგორც დიდი წვეულების დროს იციან ხოლმე. რამდენი თვეა, ის ფანჯრები განათებული არ დახვედრია სიმონ ჩოხელს, და ისიც ისე შეეჩვია ამ თვალებდათხრილ, ჩაბნელებულ ბინას, რომ ახლა უცბად ეგონა, შესასვლელი ამერიაო.

„ელისო ჩამოსულა!" — გაიფიქრა მან.

კაცს მუდამ უხარია, როდესაც შინ ღამიანად დაბრუნდება და წინ მისი სახლის განათებული ფანჯარა შეეგებება. ჩოხელს კი...

„ვიცი, როგორ შემხვდება, რას მეტყვის... შეღებილ ტუჩებს ლოყაზე ფრთხილად მომადებს და კი არ მაკოცებს, რაღაცნაირად დამყნოსავს, თითქოს სხვა რაღაც სუნი მოედინაო. მერე საწერი მაგიდისაკენ მიბრუნდება, დამტვრიანებულ რვეულებს ხელს დაჰკრავს და მკვახედ მომამავებს: — კიდევ არ დაგიწყია მუშაობა? სანამ პირველი მდივანი ხარ, მოასწარი და ხარისხი მიიღე, თორემ მერე შენმა დისერტაციამ ჩაილურის წყალი არ დალიოს!

— მდივნობა რა შუაშია! — გაცეცხლდება ჩოხელი... და ისევ ჩხუბი, შელაპარაკება, გადაკრული სიტყვა...

მათ ოჯახში უსიამოვნება იმ დღიდან დაიწყო, როდესაც სიმონ ჩოხელი სამუშაოდ წითლისწყაროში გაამწესეს. შირაქის სიცხემ და მტვერმა, ულამაზო და ჭუჭყიანმა დაბა-ქალაქმა, მოსაწყენმა, ერთფეროვანმა ბუნებამ ნაღველი გაუსივა ელისოს, როგორ უნდოდა წერეთლის ქალს, რომ სიმონს რაიკომის მდივნის მოუსვენარი ცხოვრება მყუდრო კაბინეტზე გაეცვალა, სამეცნიერო ხარისხი მიეღო და თბილისში დაეწყო მუშაობა. მეტადრე ახლა, როდესაც ჩოხელმა ახალი ბინა მიიღო ვარაზის ხევში. ეს იყო ელისოს ძილისპირული ოცნება... კარგი ხელფასი, საღამოს თეატრი ან წვეულება, — რატომ არ უნდა იცხოვროს ელისომ ადამიანურად, როგორც მისი მეგობარი ქალი თამუნია ჯაყელი ცხოვრობს. ენატრება ელისოს თბილისის რჩეულ საზოგადოებაში გამოჩენა, ახალიერზე შეკერილი კაბებისა და მაცდუნებლად დამრგვალებული თეძოების გამომზეურება.

ხშირად უსაყვედურებდა ქმარს:

— არ გებრალები, შე კაცო, უდროოდ დამაბერე ამ ჯურღმულში!

უდროოდ დამაბერეო! ჩოხელს გულში გაეცინება ამის გაგონებაზე. ოცდათვრამეტი წელი შეუსრულდა ელისოს, მაგრამ თვალტანად ბევრად უფრო ახალგაზრდა სჩანდა. ქუჩაზე გავლისას ლამაზად ჩაცმულ ქალს ბევრი თვალი ტანზე ხარბად შემოევლებოდა.

— მთელი დღე ჩემი მუხლი არ ჩაიხრება! ჯერ მარტო შენი შვილების გაკვეთილების სწავლამ და ოთახების დალაგებამ გამათავა. ერთი გოგო არ მიშოვნე. პირველი მდივანი ვარ და მოახლე როგორ დავიყენოთო! დაღამება მეზარება. ამ ჩაბნელებულ ქუჩებს რომ გავხედავ, აღარ ვიცი, რა წყალს მივცე თავი. მე შენ გეტყვი, კინოში წახვალ ან თეატრში, ცოტა გაერთო და ქვეყანაზე მთლად არ გამოყრუვდე! პირველი ვარო, იძახი და... რასა ჰგავს თქვენი კულტურის სახლი! ადამიანს იქ არ შეესვლება. ნასვამი ავარა ბიჭები იქაურობას იკლებენ, დარბაზში ყურთასმენა აღარ არის! არ იცი, ვინ მზესუმზირას ჩენჩოს გადმოგაყრის, ვინ პაპიროსის ნამწვავს მოგაგდებს. ჯურღმულია, სიმონ, შენი წითლისწყარო, ნამდვილი ჯურღმული!..

მზე რომ ჩავა, ასე გეგონება, სიცოცხლე თავდებაო. ხალხიც ამიტომაც სვამს, ლოთობს. საქართველოში სად არ მიცხოვრია, მამაჩემი ლექტორი იყო და ქალიშვილობისას ხშირად დავყავდი რაიონებში, მაგრამ აქ რომ სვამენ, შირაქში, ეს არსად მინახავს. სვამენ ოჯახში, დუქანში, მატარებელში, ალაზანზე! გუშინ ნავთის საწყობში ვიყავი, უთოს ნაზშირი მინდოდა. იქაც კი სვამდნენ. ყველგან სვამენ, სადაც კი წაეწევიან და მოასწრებენ. იცი, რა გითხრა, პირველო მდივანო?! სწორედ ამ მოწყენილობის ბრალია, რომ უბრალო ქელეხიც კი დროსტარებად აქციეს, წარმოდგენად გახადეს... მაშ რა ჰქნან? კაცის თვალს სანახავი უნდა! თუ გინდა სეირი

იყოს! ისიც უნდა! მშიერ სულს მაძღარი კუჭით ვერ დაამ!

— ერთი-ორი წელიწადი კიდევ გაიჭირვე, ჩემო ელისო, მერე ყველაფერი გვექნება! აქ მარტო ნუ დამტოვებ, — ეხვეწებოდა ჩოხელი, მაგრამ როდესაც ტყუპები სასკოლო ასაკში მოვიდნენ, ელისომ წიფლისწყაროში ცხოვრება აღარ მოისურვა.

დაიჩემა, მანანას მუსიკის ნიჭი გამოაჩნდაო (პირდაპირ გადარია პროფესორი!) და რადგან წიფლისწყაროში მუსიკალური სასწავლებელი არ იყო, შვილებს ხელი დაავლო და თბილისში გადაბარგდა. შირაქში იშვიათად ჩადიოდა, იქნებ სიმონს მარტო ცხოვრება მობეზრდეს და თბილისზე იფიქროსო.

ზარი დარეკა. გასაღები ჯიბეში ჰქონდა. მაინც დარეკა. ნუ წამეჩხუბებიო, სთხოვა ელისოს იმ ზარის წკრიალმა, მაგრამ თავგასულ ქალს ვინ მისცა ამდენი სიფაქიზე და გულისხმიერება. კარი გააღო თუ არა, ჩოხელს ზედაც არ შეხედა, ცივად მიბრუნდა და შუშაბანდში გავიდა, საიდანაც ახლად მორეცხილი იატაკის სუნი მოდიოდა.

„დაუკრიალებია ყველაფერი!"

სიმონმა ხალათი გაიხადა, თავპირზე ცივი წყალი შეისხა, მერე შუშაბანდში შეიხედა. ფანჯრის რაფაზე ელისო შემდგარიყო და გაზეთის ქაღალდს გამწარებული უსვამდა ფარუგის მინას. ის მინაც ისე წიოდა და კვნესოდა, რომ ჩოხელს გული ჩასწყდა, წერეთლის ქალს უჩხუბრად ვერ გადავურჩებიო.

ცხელოდა. ელისოს შილიფად ეცვა. თხელი კაბის კალთები წელში ჩაებნია და ლამაზად ჩამოსხმული სავსე ფეხები რაფაზე ისე ჩამოეწყო, სიმონს უეცრად გული აუფრიალდა, ძარღვებში ტკბილი ჟრიამული ჩაუდგა. მივიდა, ელისოს გრილ, გამოწკეპილ წვივებზე ხელი მოხვია, ქალი მაღლა აიტაცა...

— გამიშვი! — უთხრა ელისომ.

ფანჯრის ალათას მოებღაუჭა და სიმონს ხელი გააშვებინა. კაბის კალთა ჩაუშვა და ისევ ფანჯარას მიუბრუნდა, და ისევ გაისმა მინის ამაზრზენი წივილი.

— დამელაპარაკე, შე ქალო! მაგას ხვალაც მოესწრები. — სთქვა სიმონმა.

— ხვალ თბილისში მივდივარ. ბიჭს მამა აღარა ჰყავს და მეც აღარ მივხედო?!

— ასე უდროოდ მიწაში რატომ ჩამდე, ჩემო ელისო!

— ჩემი დეპეშა მიიღე?

— მივიღე.

— მერე?

— ვერ მოვიცალე. ხომ შემოგითვალე!

— რაიკომის მდივნები სხვებიც არიან, მაგრამ ცოლ-შვილი არავის მიუტოვებია.

— შენ მიმატოვე, ელისო!

— ბიჭს მალე გამოცდები დაეწყება. ტყუილა მაინც გამოვჩნდებოდი უნივერსიტეტში. დაგინახავდნენ და პატარა ხათრს მაინც დაგდებდნენ.

— მოცილდი ფანჯარას. მომკლა მაგის უაჟუამ. — სთქვა სიმონმა.

— კაცი დაბერდი და ხალხი ვერ შეგირჩევია. შენი არსენას შემხედვარე, ჩვენთვის საიდანღა მოიცლი?!

ბრაზისაგან ელისოს კისერზე ძარღვები დაებერა. ამ დაბერილმა ძარღვებმა და მინის უსიამოვნო წივილმა კაცი ერთბაშად ჩააქრო და წელანდელი მძაფრი სურვილი გაუნელა.

„ოღონდ რაიმე მაწყენინოს, გული გამიხეთქოს... მეტი არაფერი უნდა! მუდამ ასე კრიჭაში მიდგას!" — გაიფიქრა სიმონმა.

ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— მე აღარ მიკმარე და ახლა არსენას გადასწვდი?! იმან რაღა დაგიშავა.

— აღმასკომის თავმჯდომარეს მუცელზე ამოდენა ქონი რომ დაედება, მერე მისი აღარაფერი მწამს. იგი არაფრის გამკეთებელი არ არის. ეს უნდა იცოდე!

ელისომ ოფლისაგან შუბლზე მიკრულ კულულებს მკლავი აუსვა, ქაღალდის ნაგლეჯი ხელისგულში დაჭმუჭნა და ისევ ფანჯარას მიუბრუნდა.

„ეს კი გულში მომახვედრა!" — უსიამოვნოდ გაიფიქრა სიმონმა.

არსენა დეისაძე ცოტა ზარმაცი და პურის გემოს ამყოლი კაცი იყო. ეს კიდევ არაფერი. ბოლო დროს დეისაძემ ერთი რამ კიდევ აიჩემა: სოფლებზე თვალი და ყური რომ უფრო კარგად მიედევნებინა, ხვნა-თესვა იყო თუ კალოობა, დოლი, თიბვა თუ სესხზე ხელის მოწერა, ადგებოდა და ყოველ უბანს ცალკე კაცს მიუჩენდა ხოლმე, პასუხისმგებელ მუშაკს „მიამაგრებდა", როგორც რაიონში ამბობენ.

„ეგ საქმე უნდა წამოგვიწიო, ამხანაგო. წადი „გლეხის იმედში" და თავმჯდომარე ერთი მაგრად შეახურე! სული ამოართვი, მუხლი არ ჩახაროს, სანამ კალოობას არ მოათავებს!" — ეტყოდა იგი გამოძახებულ კაცს. და ისიც, ვიდრე პურს არ დააბინავებდა, იქიდან ფეხს ვერ მოიცვლიდა, ღამის გასათევად შინ ვერ მობრუნდებოდა. მთელი მისი ხელმძღვანელობა ამ „შემხურებლების" მხრებზე იყო გადატანილი. ისინი კი, დეისაძის თვალში პირშავად რომ არ გამოსულიყვნენ, საქმეს მუდამ თეთრად აჩვენებდნენ. ესეც იყო, — ალოობის დროს დეისაძეს საიდან გაეჩინა იმდენი პასუხისმგებელი მუშაკი, რომ ყველა მინდორსა და ფარას გასწვდენოდა. მაშინ იგი დაბალ თაროებს ჩამოუვლიდა და იქ ეძებდა შემხურებლებს... და როცა მოძებნიდა და ამ შუაკაცებს ყველგან დაგზავნიდა, მერე მოგეცა ლხენა, იმ ღამეს დეისაძე ლუკმასაც შეირგებდა, ღვინოსაც მადლი მიეცემოდა და ძილიც უმანკო ყრმასავით უშფოთველი ჰქონდა.

ერთხელ წიფლისწყაროს სასადილოს გამგეს სანდრიკა ბერიშვილს აღმასკომიდან დაურეკეს, დეისაძე გეძახისო.

სანდრიკა აფორიაქდა.

— ალბათ თბილისიდან ვინმე ტუზი ჩამოვიდა, თორემ თავმჯდომარე თვითონ არ დამიძახებდა! — სთქვა მან და მზარეულს გასძახა, ერთი სუკი შეინახეო. მერე საწყობის გამგეს უთხრა, „გლეხის იმედში" ჩაირბინე, ზალიკოს უთხარი, ათი-თორმეტი ლიტრა ჩვენი თეთრი გამომიგზავნეო. მაცივარში შუშა კიტრები და სასალათე პომიდორები შეჰყარა, ქუდი დაიხურა და დეისაძეს ეახლა. აღმასკომის კიბეზე ფეხს რომ შედგამდა, მუდამ რაღაც შიში და მოკრძალება შეიპყრობდა სანდრიკა ბერიშვილს. ისე არ უყვარდა ამ შენობაში შესვლა, როგორც ცოდვილს ეკლესიაში შესვლა ეზარება.

— როგორაა საქმე, ამხანაგო ბერიშვილო? — შესვლისთანავე ჰკითხა დეისაძემ კარებთან ატუზულ სანდრიკას.

— არა უშავს, ბატონო!

კაცმა არ იცოდა, რა როგორ იყო და რას არა უშავდა. ასეთი ცარიელი კითხვაპასუხი ჩვეულებრივი ამბავი იყო დეისაძის კაბინეტში.

— ერთი დავალება უნდა მოგცე, ამხანაგო ბერიშვილო!

— მიბრძანე, შენი ჭირიმე. აქამდე არ შემირცხვენია პირი და ახლა რა ღმერთი გამიწყრება!

— „მეთვრამეტე პარტყრილობაში" უნდა წახვიდე...

— სადაც მიბრძანებ!

— ხალხი სამუშაოზე გვიან გამოდის, და აბა შენ იცი, თავმჯდომარე ჭკუაზე მოიყვანე!

ყველაფერს წარმოიდგენდა სანდრიკა ბერიშვილი, მაგრამ თუ ისიც ოდესმე მიმაგრებული ამხანაგი გახდებოდა, ეს კი აღარ ეგონა. ამიტომ ახლა არ იცოდა, გახარებოდა თუ სწყენოდა ამ მაღალ თაროზე წამოსკუპება.

— ვეცდები, ბატონო არსენ! — მხრედ მიუგო სანდრიკამ და იმავე საღამოს ზემოქედისაკენ მიმავალ მანქანას გაჰყვა.

იმ ღამეს შირაქში დიდმა ავდარმა გადაიარა. გათენებისას წვიმამ გადაიღო თუ არა, სანდრიკა კოლექტივის კანტორაში გამოცხადდა. თავმჯდომარე იქ არ დაუხვდა — მინდორში არისო. სანდრიკამაც მინდორს მიაშურა. წუხანდელ ჭარწვიმას პური ალაგ-ალაგ ერთმანეთში ჩაეხვია და მიწაზე დაეწვინა. ყანა ჯერ კიდევ სველი იყო და ბილიკზე მიმავალი სანდრიკა წელამდე ისე გაილუმპა, შარვალი გასაწურავად მოექცა. ყანის პირას თვითმავალი კომბაინი იდგა. სანდრიკამ ბევრი უტრიალა მანქანას — კაცი არსად სჩანდა. მხოლოდ ყანის ბოლოში ერთი პატარა ბიჭი ცხენს დასდევდა დასაჭერად.

სანდრიკამ ბიჭს დაუძახა და ჰკითხა, ეს კომბაინი ვისი არისო.

— დუბოვის არის.

— თვითონ სად არის.

— ვაგონში იქნება.

— აბა კუჭი, გაიქე და უთხარი, აქ მოვიდეს!

ბიჭი გაიქცა. არ გასულა დიდი ხანი, დუბოვიც გამოჩნდა. ეტყობა, ნამძინარევი იყო, თვალები დაბერილი ჰქონდა, ნასესხები თმა გვერდზე სასაცილოდ ჩამოშლოდა.

— სანდრიკას ვახლავარ! — შორიდანვე დაუძახა დუბოვმა.



— გაგიმარჯოს! — მოღუშული მიესალმა სანდრიკა.

—სად ყოფილხარ, კაცო! ე, როგორ დასველებულხარ!

— თავმჯდომარეს ვეძებდი! — სანდრიკამ შარვლის ტოტზე მოკიდებულ ბირკას ხელი ჩაჰკრა: — ეს კომბაინი გზის პირას რომ დაგიყენებია, რას ფიქრობ, კაცო, ჩოხელმა რომ ჩამოიაროს!

— ჩამოიაროს, მერე რა?!

— შუადღე მოვიდა ჩემო ძმაო, მუშაობა არ უნდა დაიწყო?! — უთხრა სანდრიკამ.

დუბოვი მოიღუშა და როგორც გაჯავრების დროს იცოდა, ნიკაპი მაგრად მოისრისა. მერე უცბად ჩუმად გაიღიმა. სანდრიკას ეგონა, დანაშაულზე, რომ მივუსწარი, იმიტომ გაიღიმაო. ცოტა გაიბღინძა და თავში მაგრად ჩაუკენჭა:

— სირცხვილია, კოლია! ქედელებს სწორედ ამას გესაყვედურებიან, მინდორში გვიან გამოდიანო!

— რა ვქნა, სანდრო-ჩემო! დღეს რაღაც გული მეხურება და მუშაობის გუნებაზე არა ვარ! — უთხრა დუბოვმა და პატარა ბიჭს გადახედა.

ის პატარა ბიჭი სანდრიკას თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა და სახელოში ჩუმად ფრუტუნებდა.

—რას ამბობ, კაცო! — სანდრიკამ წარბები შეჰყარა და იმგვარად ჩაიცინა, კაცი ურიგოდ ნათქვამ სიტყვაზე რომ ჩაიცინებს ხოლმე! — ყანა შენს გუნებას მოუცდის?!

— რა ვიცი, ეს ოხერი, ხანდახან ასე რაღაც მომივლის... მომკალი და იმ დღეს მამუშავე. — მშვიდად მიუგო დუბოვმა.

მისი არხეინი ხმა ცეცხლად შემოენთო სანდრიკა ბერიშვილს.

„ ეს ხალხი მართლა წასულა ხელიდან". — გაიფიქრა მან.

სუსხიანად უთხრა დუბოვს:

—-შენ რა ძალიან აგიწყვეტია თავი, ამხანაგო! კომბაინი დასძარი, თორემ კაცი არ ვიყო, თუ ახლავე ჩოხელს არ დავურეკო!

— მე ჯერ უნდა გამოვიძინო ძმაო, მერე ვნახოთ, რა გუნებაზე ავდგები!

პირისახეზე ერთი ხაზი მაინც შერხეოდა, ამას რომ ამბობდა. სთქვა და ზანტად გატრიალდა. ოღონდ მანამდე კი პატარა ბიჭს თვალი ჩაუკრა.

გამოვიძინოო!

სანდრიკა კინაღამ გაგიჟდა, ეს რომ გაიგონა, და უეცრად ისეთი ქოშინი აუვარდა, პატარა ბიჭმა შიშისაგან პირი დამუწა და სერზე ზანტად მიმავალ დუბოვს გახედა.

— შენ რას იკრიჭები, შე მაიმუნო! — ახლა იმას მივარდა პირკატანაცემი ბერიშვილი: — ეს არის თქვენი ნაქები ბრიგადირი! დილას აქეთ ერთი კვალი არ გაუტანია!

— ყანა სველია, ბიძია! — დინჯად მიუგო ბიჭმა, თავთავის ღერო თითზე დაიხვია და სანდრიკას გაუშვირა! — სანამ კარგად არ გაშრება, პური არ გაიჭრება!

მაშინ კი მიხვდა სანდრიკა ბერიშვილი, რომ იგი ტყემლის ხეზე იჯდა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. საღამოს მთელმა სოფელმა იცოდა მისი გაპამპულების ამბავი. დაღამებულში, ხვავებთან, დიდხანს ისმოდა მეკალოე გოგო-ბიჭების ხარხარი. პატარა არველოდი დიდი მონდომებით ატლიკინებდა ენას.

„— მერე მე მომვარდა, რატომ დროზე არ გამაფრთხილეო! რა ჩემი თქმა უნდოდა! აკი თვითონაც, ქათამივით იყო ამოწკუმპლული"...

ამ ფათერაკმა ჩოხელის ყურამდეც მიაღწია. ბრიყვი სანდრიკა სოფელს იმ დღესვე მოაშორეს.

დეისაძე კი...

— რამდენჯერ ვუთხარი, ამ შუაკაცებს მოეშვი-მეთქი! — შეეჩივლა ჩოხელმა თადია რაინაულს.

—ან ეს ხალხი ისე მაინც შეარჩიოს, ვინ სად გამოდგება და არა ისე, ვის სად კარგი მასპინძელი ეგულება! — უთხრა რაინაულმა. შეეძლო მეტიც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. „ჩოხელმა არ იფიქროს, მისი ადგილი უნდა და ბერაში ატარებსო!"

„ვერ ივარგა არსენამ, სხვაგან უნდა გადავიყვანო!" — გაიფიქრა ჩოხელმა და მაშინვე თვალწინ დაუდგა გუთნის კუდზე წახრილი მანუჩარ უგრეხელიძე... მოაგონდა ტრაქტორისტი ნინია მოზაიძე. მისი მანქანა ახლაც ყანაში გდია უპატრონოდ. „დღევანდელმა დღემ საბოლოოდ დამარწმუნა, თუ მინდორს ერთბაშად არ უშველე, საქმე ძალიან ცუდად წამივა... არსენა დეისაძის ადგილას ერთი მარჯვე კაცი სულზე მომისწრებდა, მაგრამ ვინ?!" ჩოხელს თვალი ვერავისზე დაუდგამს. ხან არჩილ ყანჩაშვილი წამოელანდება თვალწინ, ხან კიდევ თადია რაინაული გულში ჩაუჯდება და ყველა ჰო იმის მხარეზე გადადის.

(დასასრული იქნება)

# ႣႠႫႧႠႥႰႣႠ ႫႤႭႰႤ ႫႱႭႴႪႨႭ ႭႫႨ?

სერჟანტი როლფ კლეი ჩინებულ ხასიათზე გახლდათ, დილით შინიდან, მოულოდნელად, ამანათი მიიღო; მასში, სხვათა შორის, მოხალოცი ბარათი და ჩვილის სურათიც იყო. ბარათში ახლობლები ულოცავდნენ ვაჟიშვილის შეძენას და უსურვებდნენ შინ მალე საღსალამათად დაბრუნებას.

— აი დავბრუნდები შინ და უეჭველად ვასწავლი ბიჭს ხის ტოტებში მაიმუნივით ხტომას, — იცინოდა სერჟანტი, — ეს იმ მიზნით, რომ ჩემსავით ბარდებში ძრომით არ გაიტანჯოს, თუ ისიც ოდესმე ასეთ ღვთისგან დაწყევლილ ადგილზე მოხვდება!

სერჟანტს მუზარადი მოეხადა და თავის შვიდ ჯარისკაცთან ერთად აუჩქარებლად მიაბიჯებდა კუნძულ გუამის ჯუნგლებში. ეს იყო ჩვეულებრივი ყოველდღიური პატრული, რაც, როლფ კლეისთვის რომ გეკითხათ, სრულიად ზედმეტი იყო წყნარი ოკეანის ამ მიყრუებულ კუნძულისათვის.

უცებ იმ ხეს; რომელსაც ჯარისკაცებმა ჩაუარეს, ისარი დაერჭო. სერჟანტმა ძლივს მოასწრო მუზარადის დახურვა, რომ მეორე ისარმა ახლა მის საფეთქელთან გაირაკუნა. ამერიკელები ჯერ საფარს ეცნენ, შემდეგ კი რამდენიმე საათის განმავლობაში მისდევდნენ ორ გაბანჯგვლულ, ნახევრად შიშველ კაცს, სანამ არ დაიჭირეს ისინი.

რაოდენ დიდი იყო სერჟანტის გაოცება, როცა ეს შვილდისრით შეიარაღებული ველურები აღმოჩნდნენ იაპონელები კუნძულ გუამის მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გარნიზონიდან. იაპონელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ომი უკვე დიდი ხანია დამთავრდა...

დიახ, ომი თითქმის ორი ათეული წელია, რაც დამთავრდა, ამაში დღემდე ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ აი, აღმოჩნდა, რომ იგი კვლავ გრძელდება წყნარი ოკეანის ათასობით დიდსა და პატარა კუნძულზე, რომლებიც ორმოციან წლებში გადაქცეული იყვნენ დიდი ბრძოლების ასპარეზად. ამ კუნძულებზე იმალებიან იაპონელი სამხედრო პირები, რომლებსაც დღემდე იარაღი არ დაუყრიათ.

ამას წინათ, ტოკიოში შეიქმნა სპეციალური ბიურო, რომლის მიზანია ასეთი „ჯიუტი მებრძოლების" მოძებნა და მათი დაბრუნება ნორმალური ცხოვრებისაკენ. წყნარი ოკეანის კუნძულებზე განლაგებული ექვსი მილიონი იაპონელი ჯარისკაციდან დღემდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება რამდენიმე ათეული ათასი კაცი. თურმე ბევრი მათგანი გადაქცეულა „მებრძოლ რობინზონებად". მრავალი ასეთი „რობინზონი" უკვე გამოიტირეს ნათესავებმა და მათ, როგორც „დაცემულ გმირებს", ძეგლიც კი დაუდგეს. ერთ-ერთი ასეთი „გმირი" გახლდათ კაპრალი იტოც, რომელიც სერჟანტ როლფ კლეის ჯარისკაცებმა დაიჭირეს კუნძულ გუამის ჯუნგლებში თავის გაველურებულ ამხანაგთან ერთად. როცა იტო იაპონიაში დაბრუნდა, მას გული აუჩუყა საკუთარ სასაფლაოზე ძეგლის დანახვამ. ახლა ყოველი თვის ბოლოს იგი ყვავილებით რთავს თავის საფლავს, რომელსაც „სამხედრო ბედის აკლდამა" შეარქვა. „ჩვენ იძულებული ვიყავით თაგვებითა და მწერებით გამოგვეკვება თავი, — მოუთხრობდა ახლობლებს იტო, — წლების მანძილზე გვენატრებოდა ადამიანთან შეხვედრა". თვრამეტი წლის, შვიდი თვისა და თერთმეტი დღის შიმშილისა და გაჭირვების შემდეგ იტომ და მისმა ამხანაგმა უღალატეს თავიანთ იმპერატორს და დანებდნენ ამერიკელებს.

იაპონელმა მინაგავამ თექვსმეტი წელიწადი გაატარა ახალი გვინეის ჯუნგლებში და იმდენად გაველურდა, რომ ავსტრალიელმა ექიმებმა ექვსი თვის მანძილზე ვერ მოახერხეს ესწავლებინათ მისთვის მაგიდასთან ჯდომა.

არა ნაკლებ საინტერესოა სერჟანტ კაკუო შიმადას თავგადასავალი. შიმადა რამდენიმე ამხანაგთან ერთად თავს აფარებდა ახალი გვინეის მიუვალ ადგილებს. ათი წლის განმავლობაში იგი ახერხებდა დისციპლინის დამყარებას პატარა პარკის მეოხებით, რომელშიც მოთავსებული იყო ერთი კილო მარილი.

— ეს მარილი უნდა ვიკმაროთ ათი წლის განმავლობაში,—ეუბნებოდა იგი ამხანაგებს.—მართალია, ამერიკელებმა კუნძული დაიპყრეს, მაგრამ იმპერატორის შეიარაღებული ძალები, ეჭვი არ არის, კვლავ დაიბრუნებენ მას. ამიტომ ჩვენ უეჭველად უნდა შევინარჩუნოთ ძალღონე, რომ საჭირო შემთხვევაში მივეხმაროთ ჩვენს ჯარებს.

შიმადა, ამხანაგებთან ერთად, ჩეხავდა ტყეს, ასუფთავებდა მიწის ნაკვეთს და მოჰყავდა მასზე კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და შაქრის ლერწამი. როცა მარილი გაუთავდათ, სერჟანტმა გადაწყვიტა ოკეანის ნაპირისაკენ წასვლა, სადაც ის და მისი თანამებრძოლნი ამერიკელთა პატრულს წააწყდნენ. აქ მათ პატრულისაგან შეიტყეს გამაოგნებელი ამბავი: ომი თურმე უკვე დამთავრებულიყო ასოცდახუთი თვის წინათ.

კიდევ მრავალი იაპონელი „რობინზონია" დარჩენილი წყნარი ოკეანის კუნძულებზე, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას თავიანთი იმპერატორისათვის. ზოგმა მათგანმა არც იცის, რომ მეორე მსოფლიო ომი დამთავრებულია, სხვებს ყური აქვთ მოკრული ამბისათვის იაპონიის კაპიტულაციის შესახებ, მაგრამ ამ აქტს თვლიან „ამომავალი მზის იმპერიის" მეომრის ღირსების შემლახველად. სამურაების კანონის — ბუშიდის მიხედვით ისინი მოვალენი არიან ბოლომდე იბრძოლონ. და აი, ისინიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ჯერაც არ აპირებენ. მათ რიცხვს ეკუთვნის პორუჩიკი კოსუკო, რომლის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი, მაგრამ რომლის დანით ამოჭრილი წარწერა უკვე იპოვეს ხეზე ახალი გვინეის ჯუნგლებში: „სიკვდილი იანკებს! იაპონია გაიმარჯვებს! პორუჩიკი კოსუკო".

ასეა თუ ისე, მეორე მსოფლიო ომი წყნარი ოკეანის კუნძულებზე გრძელდება.



# კატუნიას ქალები

ოთარ დემეტრაშვილი

ნამდვილი ამბავი    მხატვარი თ. სამსონაძე

თბილისიდან გამოგზავნილ ანონიმურ წერილში გაკრული ხელით ეწერა, რომ ყვარლის რაიონის პროკურორის თანაშემწეს არასწორად მიჰყავს ძიება, რომ საბუელი ბიჭები შეცდომით არიან დაპატიმრებულები, ნოდარ ბერიაშვილის ნამდვილი მკვლელი კი თავისუფლად დასეირნობს მეზობელ სოფელში.

ივანე ქრისტესიაშვილმა თავიდანვე აიღო ეჭვი, რომ ეს წერილი შეიძლება იორამაშვილების ხელით ყოფილიყო დაწერილი.

მართლაც, კატუნიას ქალებს თუკი რაიმე დანაშაული მიუძღვოდათ ბერიაშვილის მკვლელობაში, ზურაბ ზუროშვილის, ოთარ ოსიაშვილისა და ტოლიკას მოულოდნელ დაპატიმრებას შიშის ზარი უნდა დაეცა მათთვის.

ადვილი საფიქრებელი იყო, რომ გაოგნებული ქალები ახლა წყალწაღებულებივით ცდილობდნენ მოჰკიდებოდნენ ხავსს. ანონიმური წერილის საშუალებით მათ, ალბათ, იმედი ჰქონდათ რომ ეჭვის ქვეშ დააყენებდნენ ძიებას და როგორმე მიაღწევდნენ დაპატიმრებული ბიჭების განთავისუფლებას.

... ღამის სამი საათი სრულდებოდა, როცა ივანე ქრისტესიაშვილმა იორამაშვილების ბინის ჩხრეკა დაამთავრა.

მანქანის საჭეზე ჩამოძინებულ შოფერს პროკურორის თანაშემწემ მხარზე ფრთხილად მოუთათუნა ხელი და რაღაც უჩვეული, თითქოს დამნაშავე კაცის ხმით გადაულაპარაკა:

— წავიდეთ, ავთანდილ... ამაღამ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი...

ყვითელი „მოსკვიჩი" თუხთუხით გასცილდა იორამაშვილების ქვიტკირის მესერს, მჭიდროდ დასახლებულ უბანს აუქცია გვერდი და რაიონის ცენტრისაკენ მიმავალ გზაზე გასრიალდა.

ის-ის იყო მანქანა ყვარელში უნდა შესულიყო, რომ პროკურორის თანაშემწე ისევ დამნაშავე კაცის ღიმილით მოუბრუნდა შოფერს:

— ბენზინის საქმე როგორა გვაქვს, ავთანდილ?

— ქალაქში ხომ არ აპირებთ წასვლას?

— ჰო, ასე მოითხოვს საქმე!..

ორიოდე საათის შემდეგ, როდესაც სართიჭალა გაიარეს და შორს თბილისის აეროდრომის წითლად მოციაგე ილუმინაციები გამოჩნდა, საჭესთან დაძაბული ავთანდილი ყრუ ხმით შეეკითხა ივანეს:

— ქალაქში რომელ ადგილზე უნდა გავჩერდეთ?

— ანიკო იორამაშვილთან... კატუნიას ქალთან!

— კატუნიას ქალთან? — მხრები აიჩეჩა ავთანდილმა, — დღემდე არც კი ვიცოდი, რომ იორამაშვილის ქალებს მეოთხე დაცა ჰყავდათ...

— ჰყოლიათ, ავთანდილ, ჰყოლიათ... ეს მეოთხე და თბილისში ყოფილა გათხოვილი და ამიტომ, ალბათ, ჩვენი მახსოვრობიდან იქნება...

პროკურორის თანაშემწემ ხმის ამოღება აღარ დააცადა გაოცებულ შოფერს და თვითონვე განაგრძელა სიტყვა:

— კატუნიას ქალებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვასწრონ თბილისში ამბის ჩატანა და თავიანთი დის გაფრთხილება... გესმის, ავთანდილ, როგორც წყლის გათხარი, ყველაფერი ახლა შეიძლება მხოლოდ შენს სიჩქარეზე იყოს დამოკიდებული...

ფიქრებში წასულმა ივანემ გულის ჯიბეში ფრთხილად შეაცურა ხელი ოთხად მოკეცილ ანონიმურ წერილს, რომლის კვალს რამდენიმე საათი დაეძებდნენ იორამაშვილების ბინაში.

ამ გულმოდგინე ჩხრეკას, მართალია, არავითარი შედეგი არ მოუტანია, მაგრამ პირველი მარცხი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ყველაფერი უკვე დაკარგული იყო.

ივანე ქრისტესიაშვილმა კარგად იცოდა, რომ კატუნიას ქალებს თბილისში და და სიძე ჰყავდათ, რომლებთანაც ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ თავზარდაცემულმა ქალებმა სწორედ ისინი გამოიყენეს ამ საქმის მოსაგვარებლად, შეიძლება მათ სწორედ მოყვრებს დააწერინეს ეს ანონიმური წერილი და პროკურატურის მუშაკების თვალის ასახვევად შემდეგ საბუედან გაგზავნეს იგი.

... ყვითელი „მოსკვიჩი" უკვე თბილისის გარეუბანში მისრიალებდა. ცოტა ხნის შემდეგ ნათელი გახდებოდა, რამდენად სწორი იყო პროკურორის თანაშემწის ეს ვარაუდი. ცოტა კიდევ და, ივანესათვის საბოლოოდ გაირკვეოდა შესძლებდა თუ არა იგი ანონიმური ბარათის დამწერის ვინაობის დადგენას...

* * *

პროკურორის თანაშემწე იმავე დილით დაბრუნდა ყვარელში.

ანონიმური წერილის ზუსტი ასლი, რომელიც მან რესპუბლიკური მილიციის მუშაკებთან ერთად ანიკო იორამაშვილის ბინაში აღმოაჩინა, ნათლად ადასტურებდა, რომ კატუნიას ქალებს მართლაც რაღაც დანაშაული მიუძღვოდათ ბერიაშვილის მკვლელობაში.

პროკურატურაში მისვლისთანავე ივანე ქრისტესიაშვილმა არქივიდან გამოითხოვა 1960 წელს ძიებით მოსპობილი საქმე, რომელიც იორამაშვილების მემკვიდრის — ნანი კაპანაძის თვითმკვლელობის გამო იყო აღძრული.

ამ საქმის ღრმა და საფუძვლიან შესწავლას შეიძლება ახლა მცირედიდენი სიცხადე მაინც შეეტანა ძიებაში, შეიძლება შორეულად მაინც რაიმე მიენიშნებინა პროკურორის თანაშემწისათვის.

* * *

ნანი კაპანაძემ და გივი ჩახტაურმა ვერც კი შენიშნეს მათი ბავშვური, სკოლის მერხიდან დაწყებული მეგობრობა თანდათან როგორ გადაიზარდა იმ დიდსა და კეთილშობილურ გრძნობაში, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

მაგრამ ახალგაზრდების ამ წმინდა სიყვარულს, მათ ტკბილ ოცნებას მომავალ ბედნიერ ცხოვრებაზე მალე ურჩხულივით გადაუდგა წინ ნანის დედისა და შინაბერა დეიდების გამწარებული წინააღმდეგობა.

გაიგეს თუ არა დებმა გივი ჩახტაურისა და ნანის დამოკიდებულების ამბავი, ისეთი ჩხუბი და აურზაური ატეხეს ქალიშვილს, რომ ლამის იყო მთელი სოფელი დაეხვიათ თავზე.

— მორჩა!.. გათავდა!.. დღეის შემდეგ შენ ჩემი შვილი აღარა ხარ... ერთხელ კიდევ დაგინახავ იმ გაფბატონთან და საკუთარი ხელით გამოგჭრი ყელს!... — გაანჩხლებული გაიძახოდა მარიამი და თან ჯოხშემართული მიიწევდა კედელთან ატუზული შვილისაკენ.

შეძლებითა და ოჯახიშვილობით სახელგანთქმულმა კატუნიას ქალებმა ასე საოცრად, ხელისგულზე ტარებით განა იმიტომ გამოზარდეს თავიანთი მემკვიდრე, რომ ბოლოს ვიღაც ტლუ ბიჭზე გასათხოვებლად გაემეტებინათ?

რა ვუყოთ მერე, თუკი ჩახტაური სოფელში მეტად გამრჯე და პატიოსანი ადამიანის სახელი რომ ჰქონდა გავარდნილი. იორამაშვილების ქალების სასიძო მაინც სულ სხვა წრისა და გარეგნობის ადამიანი უნდა ყოფილიყო, სულ სხვა ლაზათი და შეძლება უნდა ჰქონოდა მას.

დედისა და დეიდების ასეთმა მტკიცე გადაწყვეტილებამ ნანის გული მაინც ვერ შეარყია. ახალგაზრდა შეყვარებულები ახლა უფრო იშვიათად, მაგრამ ჩუმ-ჩუმად მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს და ისევ იმედის თვალით შესცქეროდნენ თავიანთ მომავალს.

* * *

იმ დღეს ნანი და მისი მეგობარი ლამარა ბერიაშვილი გივი ჩახტაურს მეზობელ სოფელში გამართულ ტრადიციულ დღესასწაულზე შეხვდნენ. ცეკვა-თამაშსა და ბალისის სიმღერაში ისე შეუმჩნევლად გაიარა დრო, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ წამოეპარათ ბინდი.

უკვე კარგად იყო შეღამებული, როცა სწრაფი ნაბიჯით მომავალმა გივიმ და ნანიმ ფერდობზე წამოსული მოკლე გზა ჩამოათავეს და თავიანთი სოფლის დასაწყისთან გამოვიდნენ.

— გაიქეცი, ნანი, თორემ ამაღამ, ალბათ, სახლში აღარ შეგიშვებენ...

ნანიმ თანდათან შეანელა ნაბიჯი, ერთ ადგილზე შეჩერდა და სევდანარევი ხმით გაეპასუხა გივის:

— უკვე არავითარი აზრი აღარა აქვს გაქცევას... ამაღამ მაინც აღარ შეიძლება ჩემი სახლში მისვლა...

— როგორ თუ აღარ შეიძლება?

— ჰო, აღარ შეიძლება... ჩვენები მაშინვე აიღებენ ეჭვს, რომ ერთად ვიყავით წასულები შილდაში.

— მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ, ნანი?

— როგორ უნდა მოვიქცეთ და... იცი როგორ? მოდი ამაღამ შენს ვენახში დავრჩეთ, ხვალ დილით კი მოგვიანებით მივალ სახლში და ჩვენებს ვეტყვი, ნათესავებმა ღამე აღარ გამომიშვეს-მეთქი...

— რას ამბობ, ნანი?..

— რას უნდა ვამბობდე? დამიჯერე, გივი... ასე უფრო იოლად გადავრჩებით!..

მთელი ღამე ხელგადახვეულები ისხდნენ უზარმაზარი მუხის ძირში, ისხდნენ და ბედნიერები იყვნენ, რომ ცაზე დარის მაუწყებელი მთვარე ილიმებოდა, რომ ასე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ბევრს, ძალიან ბევრს ოცნებობდნენ და უსიტყვოდ მაინც ყველაფერს უგებდნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს შინ მისულმა ნანიმ მტკიცედ გადაწყვიტა, თუკი ახლობლები მისი და გივის ერთად ყოფნის ამბავს გაიგებდნენ და კვლავ ლანძღვა-მუქარით შეეცდებოდნენ მათ საბოლოო დაშორებას — თავი აღარ ეცოცხლა.

რამდენიმე დღე ყველაფერი მშვიდად მიდიოდა. ერთ საღამოს კი დებმა შილდელი ნათესავებისაგან შემთხვევით გაიგეს, რომ ნანის მათთან არც ერთი ღამე არ გაუთევნებია.

საკინძჩამოხეულმა ქალიშვილმა ძლივს გამოაღწია ოთახიდან წივილ-კივილით შემოხვეულ ახლობლებს, სწრაფად გაირბინა აივანი და გარე კიბეზე დაეშვა.

ის-ის იყო ნანი მარანში შევარდა, თაროდან წინასწარ მომზადებული საწამლავი ჩამოიღო, რომ დებმა წყევლა-კრულვით ჩამოათავეს კიბე, მარნის კარებს მოაწყდნენ და... მაშინვე თავზარდაცემულები ერთ ადგილზე გაქვავდნენ...

დასასრული. იხ. ჟურნ. „დროშა" № 2, 3.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ქრისტესიაშვილი განსაკუთრებით დააინტერესა იმ ამბავმა, რომ ნანის სიკვდილის შემდეგ მარიამ იორამაშვილს საჩივარი აღუძრავს გივი ჩახტაურისა და ლამარა ბერიაშვილის მიმართ.

როგორც საქმიდან ჩანდა, მარიამი დაჟინებით ცდილობდა დაერწმუნებინა გამომძიებელი, რომ ნანის მეგობარმა ლამარა ბერიაშვილმა მისი ქალიშვილი შილდაში წინასწარი ბოროტი განზრახვით შეახვედრა გივი ჩახტაურს, ამ უკანასკნელმა კი ალგზნებადი წამალი შეასმა ნანის და გააუპატიურა იგი.

გვამის გაკვეთის შემდეგ სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნანი კაპანაძე ქალიშვილი იყო; მიუხედავად ამისა, მწუხარებისაგან გონებადაკარგულ ქალებს შეიძლება მაინც რაღაც მტრობა და შურისძიება ჰქონდათ ჩადებული გულში.

მაგრამ საკითხავი იყო: კატუნიას ქალებმა თუკი მართლაც რაიმე მტრობა ჩაიდეს გულში და ვინმეს მოკვლა განიზრახეს, მაშინ პირველ რიგში გივი ჩახტაური, ან ლამარა ბერიაშვილი უნდა მოეკლათ. რაღა შუაში შეიძლება ყოფილიყო უდანაშაულო ნოდარი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ნანი კაპანაძის თვითმკვლელობის საქმესთან?..

* * *

მარიამ იორამაშვილის დაპატიმრებამ შიშის ზარი დასცა ბიჭებს. ხაფანგში მოქცეული თეიმურაზ სისაური, ოთარ ოსიაშვილი და ზურაბ ზუროშვილი მალე იძულებული გახდნენ თავის გადარჩენის მიზნით ნამდვილი მკვლელის ვინაობა დაესახელებინათ.

ოთარ ოსიაშვილი პირველი იყო, რომელმაც პროკურორის თანაშემწეს აცნობა, რომ დიდმარხვის თავშესაყართან ნოდარ ბერიაშვილს ტოლიკამ ესროლა თოფი. პატიმარი ხაზს უსვამდა იმას, რომ მან წინასწარ თითქოს არაფერი არ იცოდა მკვლელობის განზრახვის შესახებ და გზაზე შემთხვევით შეხვედრილმა ბიჭებმა მოტყუებით მიიყვანეს დანაშაულის ადგილზე.

რამდენიმე დღის შემდეგ თეიმურაზ სისაურმაც აღიარა, რომ ბერიაშვილი ნამდვილად ტოლიკამ მოკლა ლულებგადაჭრილი თოფით. შეშფოთებული სისაური, ოსიაშვილის მსგავსად, ცდილობდა როგორმე დაერწმუნებინა პროკურორის თანაშემწე, რომ წინასწარ არც მან იცოდა რაიმე ამ მუხანათური დანაშაულის მომზადების თაობაზე.

ივანე ქრისტესიაშვილმა პატიმრების ცალ-ცალკე დაკითხვით დაადგინა, რომ მკვლელობის ჩადენის დროს ტოლიკას მხრებზე მამინაცვლის მუქი ფერის ლაბადა ჰქონდა წამოსხმული, თავზე კი ზურაბ ზუროშვილის მიერ სამხედრო სამსახურიდან ჩამოტანილი ბეწვით გაწყობილი ყურებიანი ქუდი ეხურა.

სისაურისა და ოსიაშვილის ჩვენებიდან გამოირკვა ისიც, რომ ნოდარ ბერიაშვილის მიწაზე დაცემის შემდეგ ტოლიკამ სწრაფად მიირბინა დაჭრილთან, ფეხით გადმოაბრუნა იგი და მომაკვდავის ხელიდან ბალახებში გადმოვარდნილი ჩინური ფანარი ჩაიდო ჯიბეში.

პატიმრების ბინების ხელმეორედ გაჩხრეკის დროს პროკურატურის მუშაკებმა ზუროშვილის სარდაფში მართლაც აღმოაჩინეს ბეწვმოვლებული ყურებიანი ქუდი, ტოლიკას ბინიდან კი მუქი ფერის ლაბადა და გვერდშეჭყლეტილი ჩინური ფანარი წამოიღეს.

ეს ქუდი და ფანარი, რომლებიც პროკურორის თანაშემწემ სხვა მსგავს ნივთებში აურია, დანახვისთანავე იცნეს სისაურმა და ოსიაშვილმა; ასევე შეუცდომლად ამოიცნეს ფანარი ბერიაშვილის ახლობლებმა და რამდენიმე მოწმემ.

ძიებაში კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა ზურაბ ზუროშვილის აღიარებამ, რომელმაც გადაჭრით განაცხადა, რომ ეს დანაშაული მათ კატუნიას ქალების დავალებითა და ხელშეწყობით ჩაიდინეს.

პატიმრების თანდასწრებით ზუროშვილმა აღიარა, რომ კენჭისყრის შემდეგ ბერიაშვილს ტოლიკამ ესროლა თოფი, სისაურმა და ოსიაშვილმა კი თავიდანვე იცოდნენ ამ მკვლელობის მომზადების ამბავი...

პროკურორის თანაშემწის წინაშე ახლა კიდევ ერთი ძირითადი საკითხი რჩებოდა გასარკვევი: მას უნდა დაედგინა, რა მიზეზმა აიძულა კატუნიას ქალები ასეთი მძიმე დანაშაული ჩაედინათ, რატომ დასჭირდათ მათ რამდენიმე კაცის მოსყიდვა და ნოდარ ბერიაშვილის მოკვლა?

პატიმრების დაკითხვით, ერთმანეთთან დაპირისპირებითა და მამხილებელი საბუთების დაგროვებით მალე თანდათან აეხადა ფარდა საიდუმლოს. მალე ნათელი გახდა იმ ამბის მთელი ისტორია, რომლის ფინალი დიდმარხვის თავშესაყართან ნოდარ ბერიაშვილის მკვლელობა იყო.

* * *

კატუნიას ქალებმა ნანის, ძველი ტრადიციის მიხედვით, ორმოცი გადაუხადეს და იმავე ღამეს თავიანთი სახლის ჩაბნელებულ ოთახში გამოიკეტნენ. მაგიდის გარშემო კუშტი სახით ისხდნენ ძაძებით მოსილი ქალები და ჩურჩულით აწყობდნენ მომავალი დანაშაულის გეგმებს.

— ცუდად არის საქმე, — ეუბნებოდა მარიამი გარინდებულ დებს, — პროკურორმა გადაჭრით მითხრა, რომ ძიებით დავადგინეთ, გივი ჩახტაურისა და ლამარა ბერიაშვილს არავითარი დანაშაული არ მიუძღვით ნანის წინაშეო...

— აკი ვამბობდი, ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ-მეთქი ჩვენს მიცვალებულს...

— სისხლი უნდა დაიღვაროს, სისხლი!...

— ნანის საფლავს ზედ უნდა დავაკლათ, ვინც ხელი შეუწყო მის გაუბედურებას, ვისთვისაც თავი დაიღუპა მან!.. — გველივით სისინებდა რუსუდანი.

— სისხლი უნდა დაიღვაროს! — თანხმობის ნიშნად მუშტი შემოჰკრა მაგიდას მარიამმა. — ჩვენი ნანის სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ მის დამღუპველებს მალე მასავით დავუბნელოთ მზე...

იორამაშვილების ჩაბნელებულ ოთახში იმ ღამეს ძნელად დასაჯერებელი ამბავი გადაწყდა. კატუნიას ქალებმა, რომლებმაც თავიანთი გულქვაობით სიცოცხლეს გამოასალმეს ქალიშვილი, მტკიცედ შეჰფიცეს ერთმანეთს რომ „შური ეძიათ" ნანისათვის, ვინმე ბოროტმოქმედი დაექირავებინათ და გივი ჩახტაური და ლამარა ბერიაშვილი მოეკვლევინებინათ.

თავიანთი გადაწყვეტილება დებმა რამდენიმე თვის შემდეგ ჯარიდან დაბრუნებულ შორეულ ნათესავს ზურაბ ზუროშვილს გაანდეს, რომელმაც პირველ ხანებში შორს დაიჭირა ასეთ საზიზღარ საქმეში გარევა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც კატუნიას ქალებმა ზურაბს თავიანთი სახლის ქვედა სართულის დამტკიცება აღუთქვეს, ზუროშვილი მოტყდა და თანხმობა განაცხადა მკვლელობის მოწყობის ხელმძღვანელობა ეკისრა.

— მარტო ვერაფერს გავხდები, — ჩაფიქრებით უთხრა ზუროშვილმა გახარებულ ქალებს, — ამ საქმის მოსაგვარებლად რამდენიმე კაცი და ბევრი ფული იქნება საჭირო!..

— უკან არაფერზე დავიხევთ, ზურაბ!..

— სახლსა და მამულს გავყიდით, თუკი საჭირო იქნება!..

— ყველაფერს გავაკეთებთ, ოღონდ ჩვენი ნანის დამღუპველების სისხლი დავგვანახე დაქცეული! — ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ ბოროტი ჟინით აცახცახებული დები.

რამდენიმე კვირის შემდეგ ზუროშვილმა იორამაშვილის ქალებს სოფლის უქნარები — ტოლიკა და ოთარ ოსიაშვილი შეახვედრა, რომლებიც მზად იყვნენ ფულის გულისათვის ყოველგვარი დანაშაული ჩაედინათ.

იორამაშვილების კარგამოხურულ მარანში დიდხანს გაგრძელდა გაცხარებული ვაჭრობა ფულზე, რომელიც უდანაშაულო ადამიანების სისხლის საზღაურად უნდა მიეღოთ ამ ნაძირალებს.

ოთარ ოსიაშვილს დები ათას ექვსას მანეთის გადახდაზე შეუთანხმდნენ, ტოლიკას კი, რომელიც მანქანის შეძენის გულისათვის დათანხმდა მონაწილეობა მიეღო ამ მკვლელობაში, დებმა, ოსიაშვილის ჩუმად, ცოტა მეტი თანხის მიცემა აღუთქვეს.

* * *

მკვლელობის მოსაწყობად თითქმის ყოველგვარი სამზადისი უკვე დამთავრებული იყო, როდესაც გივი ჩახტაური მოულოდნელად საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს.

რამდენიმე თვის შემდეგ კატუნიას ქალებს ლამარა ბერიაშვილიც გამოეცალათ ხელიდან; იგი ნაფარეულში გათხოვდა და ქმართან გადავიდა საცხოვრებლად.

ამ ამბებმა კიდევ უფრო მეტად გაახელა ქალები, ადამიანის სისხლს მოწყურებული დები ერთხელ კიდევ ჩაიკეტნენ ჩაბნელებულ ოთახში და ისევ გაცხოველებით დაიწყეს დავა ახალი მზაკვრული გეგმების დასაწყობად.

— ის ვაჟბატონი დროზე გაერიდა აქაურობას და, ალბათ, კარგა ხანი აღარ დაბრუნდება სოფელში...

— ნურაფრის ფიქრი ნუ გექნება. — ამშვიდე-





ბდა მარიამს გულხელდაკრეფილი ზინა, — სამი წლის შემდეგ ჩამოვა ჯარიდან და მაშინ მოვუღებთ ბოლოს.

— ჩვენი ბიჭები უკვე კარგა ხანია რაც ფეხდაფეხ დასდევენ ლამარას და მაინც ვერსად მოიხელთეს ღამე მარტო გამოსული... ახლა კიდევ სხვა სოფელში გადავიდა საცხოვრებლად, ის არდასაცალებელი და როდისღა უნდა დაადგეს საშველი იმისი მზის დაბნელებას?..

— დაადგება, მარიამ, მაგასაც მალე დაადგება!

— მაშ არა, და, დაადგება!.. ამდენი მოცდა განა კიდევ შეუძლია ჩემს საცოდავ გოგონას, რომელიც ყოველ ღამე თვალცრემლიანი მეცხადება ძილში...

— უნდა მოკვდეს ვინმე! — მოულოდნელად წამოიძახა მარიამმა და სიბნელეში გაბოროტებული თვალები მიმოავლო დებს, — გივისა და ლამარას მოკვლა თუკი ჯერჯერობით შეუძლებელია, მაშინ, ლამარას ძმა ნოდარ ბერიაშვილი უნდა გამოვასალმოთ სიცოცხლეს...

ზინა და რუსუდანი თავისდაუნებურად წამოდგნენ ფეხზე

— ნოდარი რა შუაშია?

— როგორ თუ რა შუაშია? განა ჩვენ კი შუაში ვიყავით, როცა მაგისმა დამ ნანი შილდაში დასაკლავი ცხვარივით მიჰგვარა გივი ჩახტაურს? თქვენ გეკითხებით, განა ჩვენ კი რამე შუაში ვიყავით-მეთქი?

მარიამი შეჩერდა, ხელადიდან წყალი მოსვა და ისევ შემპარავად განაგრძო:

— ჩვენი ნანი და ლამარა გულითადი მეგობრები იყვნენ და მაგ გოგომ ნანის ყველა საიდუმლო იცოდა... გესმით, უბედურებო, ადვილი შესაძლებელია, რომ ლამარამ ნანის თავისმოწამვლის განზრახვაც იცოდა და მაინც არაფერი გაგვაგებინა... ვიდრე ნოდარის სიკვდილით ლამარა და მისი მშობლები ჩვენსავით არ დაიწვებიან და არ დაიდაგებიან, მანამდე არც ნანი მოისვენებს საფლავში და არც ჩვენ დაგვიდინჯდება გული...

დები რამდენიმე წუთი ჩაფიქრებულები იყვნენ მაგიდის გარშემო.

— მარიამი მართალს ამბობს!..

— გივისა და ლამარას მოკვლამდე, ჯერ ნოდარ ბერიაშვილი უნდა გამოვასალმოთ სიცოცხლეს!.. — ბოლოს თავდახრილი რუსუდანიც დაეთანხმა დებს...

* * *

კატუნიას ქალებმა თავიანთი განზრახვის განსახორციელებლად, ზუროშვილის რჩევით, სოფლის კიდევ ერთი უქნარა ჩაითრიეს საქმეში, რომელსაც ბერიაშვილის ნდობა უნდა მოეპოვებინა და შემდეგ მოსაკლავად გაეტყუებინა იგი.

თეიმურაზ სისაურმა „პირნათლად“ შეასრულა ეს დავალება. ორიოდე კვირაში იგი ისე მიეტმასნა ნოდარს, რომ მიამიტი ახალგაზრდის ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა.

მკვლელობის წინა ღამეს ბიჭები იორამაშვილების მარანში შეიკრიბნენ; ამ საიდუმლო თათბირზე მათ საბოლოოდ უნდა დაეზუსტებინათ ბერიაშვილის მოკვლის გეგმა.

გულმოდგინე აწონ-დაწონის შემდეგ გადაწყდა, რომ თეიმურაზ სისაური მეორე დღეს კინოში დაპატიჟებდა ნოდარს, ფილმის დამთავრების შემდეგ კი, ვითომდა მსხმოიარე ვენახის დათვალიერების მიზნით, დიდშარების თავშესაყართან მიიყვანდა მას.

კენჭისყრის შემდეგ ნოდარისათვის თოფის სროლა ტოლიკას ერგო წილად. კატუნიას ქალების რჩევით ტოლიკამ გადაწყვიტა ზედმეტი სიფრთხილე გამოეჩინა: თავზე ზურაბ ზუროშვილის ყურებიანი ქუდი ჩამოეფხატა, მხრებზე კი მონაცვლის მუქი ფერის ლაბადა წამოესხა, რომლის ქვეშ ადვილად შეიძლებოდა მეზობელ სოფელში საგანგებოდ ნაშოვნი ლულებგადაჭრილი თოფის დამალვა.

ბოროტგანმზრახველები აქვე შეთანხმდნენ, რომ ბერიაშვილის მოკვლის შემდეგ ერთმანეთში უნდა შეეწყვიტათ სიარული, თავი მორიდებით დაეჭირათ და ჯერჯერობით არავითარ საეჭვო საქმეში აღარ გაერიათ ხელი.

მეორე დღეს, ზუსტად წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით მოხდა ყველაფერი: კინოფილმის დამთავრების შემდეგ სისაურმა ეშმაკურად აითრია ფეხი, თავის მსხვერპლთან ერთად უკანასკნელი გამოვიდა კლუბიდან და მოღიღინე ნოდარს ვენახის დასათვალიერებლად წასვლა შესთავაზა.

ზუროშვილმა და ოსიაშვილმა, რომლებიც ტოლიკასთან ერთად ბერიაშვილის ვენახთან იყვნენ ჩასაფრებულები, დაინახეს თუ არა მათკენ მომავალი ბიჭები, დაბურულ მაყვლიანს შეაფარეს თავი, მობუდნული ტოლიკა კი დიდშარების გზაჯვარედინთან თოფმომარჯვებული გადაუდგა წინ ნოდარს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტოლიკამ ზურგში ვერაგულად ესროლა ტყვია ბერიაშვილს. მომაკვდავი ნოდარი ფეხით გადმოაბრუნა გულაღმა, რათა დარწმუნებულიყო ცოცხალი იყო თუ არა, შემდეგ იქვე დაგდებულ ფანარს დასწვდა და მაყვლიანში გაქცეულ ზუროშვილსა და ოსიაშვილს დაედევნა...

* * *

მკვლელობის ადგილზე დამნაშავეებს არავითარი საეჭვო კვალი არ დაუტოვებიათ. ვერც შემდეგ მოხერხდა ძიებისათვის რაიმე მამხილებელი მასალის მიგნება.

მართალია, სისაური მეტად ოსტატურად ასრულებდა დაზარალებული ადამიანის როლს, მაგრამ პროკურორის თანაშემწეს მაინც დაებადა ეჭვი, როდესაც ნოდარისა და თეიმურაზის მოულოდნელი დამეგობრების ამბავი დაადგინა.

ივანე ქრისტესიაშვილმა გულმოდგინედ შეისწავლა მკვლელობის ადგილი. ფეხდაფეხ მიჰყვა სისაურის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეგობრის დაკარგვით აცრემლებული ეს ახალგაზრდა კაცი შეიძლება რაღაც დამნაშავე ყოფილიყო ნოდარის მკვლელობაში.

ივანე ქრისტესიაშვილმა იცოდა, რომ ბერიაშვილის დაჭრის შემდეგ სისაურმა ისე გაირბინა რამდენიმე კომლი, რომ არავისათვის არ უთხოვია დახმარება. ეს ამბავი შეიძლება გასაგები ყოფილიყო ძიებისათვის: მართლაც მომხდარი ამბით თავზარდაცემულმა სისაურმა შეიძლება ისე დაჰკარგა გონება, რომ უკვე არავითარ კონტროლს ვეღარ უწევდა საკუთარ მოქმედებას. მაგრამ შემთხვევის ადგილზე მარო გიგილაშვილის დაგვიანებით მისვლა ისევ რაღაც ეჭვს იწვევდა ,ჭანეს გულში.

შეშფოთებულ სისაურს, თუკი მას მართლაც რაიმე გარკვეული მოსაზრება არ ედო გუნებაში, თავისთავად ცხადია, გიგილაშვილების ოჯახში მისვლის მერე მალევე უნდა ეთქვა დიდშარებთან მომხდარი უბედურების ამბავი. სისაურის ასეთი გაუგებარი მოქმედება კი ქრისტესიაშვილის წინაშე ერთხელ კიდევ აყენებდა რაღაც საწინააღმდეგო მოსაზრებას ეჭვმიტანილის მიმართ.

სისაურის დაპატიმრებამ ივანე ქრისტესიაშვილს საიმედოდ მისცა ხელში ძაფის ის დაკარგული წვერი, რომელიც შემდეგ თანდათან ამოსწია მან და მთელი ჩახლართული გორგალი გამოხსნა.

ამ გორგალში მხოლოდ ერთი პატარა ნასკვი დარჩა გამოუხსნელი: ქრისტესიაშვილმა ვერ შეძლო დაედგინა სად გაქრა ტოლიკას ეზოში შენახული „დამბაჩა“ და ტყვიები, რომელთა გადამალვას ტოლიკა დროებით საპატიმროში დაწერილ წერილში სთხოვდა ზუროშვილსა და ოსიაშვილს.

* * *

ივანე ქრისტესიაშვილის წინ ქაღალდებით გატენილი რამდენიმე ვარდისფერყდიანი ტომი იდო.

ეს იყო საქმე № 12484, რომლის ძიება უკვე დაასრულა პროკურორის თანაშემწემ.

უკან დარჩა რამდენიმე თვის გულმოდგინე შრომა, მომქანცველი ფიქრი, ვარაუდი...

ამ ქაღალდებმა საბოლოოდ გააშიშვლა მარიამ, ზინა და რუსუდან იორამაშვილების სახე, სააშკარაოზე გამოიტანა მათი შემაზრზენი და თავზარდამცემი საქციელი.

ივანე ქრისტესიაშვილი ორიოდე დღის შემდეგ ამ ტომებს სასამართლოს გადასცემდა, მალე სახალხო სამსჯავროს წინაშე წარსდგებოდნენ ზუროშვილი, ოსიაშვილი, სისაური, ტოლიკა და დამსახურებულ მკაცრ სასჯელს მიიღებდნენ...

მაგრამ სასჯელის რა ზომა, ჩადენილი დანაშაულის რა საწყაული უნდა მიეზღათ იორამაშვილის ქალებისათვის, რომლებმაც თავიანთი არაადამიანური გულქვაობით ბედნიერება წაართვეს ნანისა და გივის, თვითმკვლელობამდე მიიყვანეს ცხრამეტი წლის სიცოცხლით სავსე ქალიშვილი!

სასჯელის რა ზომა, ჩადენილი ბოროტების რა საწყაული უნდა მიეზღათ ამ გონებადაბნელებული მკვლელებისათვის, რომლებმაც რაღაც აკვიატებული, ყოვლად უსაფუძვლო „შურისძიების“ მიზნით სიცოცხლე მოუსწრაფეს ოცდახუთი წლის ვაჟკაცს — ნოდარ ბერიაშვილს!

სასჯელის რა ფორმა უნდა გამოენახათ ამ ნაძირალებისათვის, რომლებმაც ფულით დაახარბეს უქნარა ახალგაზრდები და მკვლელებად გადააქციეს ისინი.

ახალგაზრდა პროკურორის თანაშემწეს მიაჩნდა, რომ არ არსებობდა სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც დაღუპული სიყვარულის, დაქცეული ოჯახებისა და ორი უდანაშაულო ახალგაზრდის სიკვდილის საწყაულს მიუზღავდა იორამაშვილის ქალებს.





# ეს სიმღერაც შემინახავს

### ილია აროსია

ნუღარ მკითხავ — რისთვის მინდა,
რისთვის მინდა შენი ნახვა,
შენი ნახვის, ვიცი, წმინდა
აღტაცება შემინახავს;
შემინახავს, ამ მიწაზე
მომანატრებს მრავალ დილას,
ზღვიდან მაღლა ამიტაცებს,
სადაც ტრფობით ჩავვარდნილვარ;
მომაწყურებს, მომაშიებს,
დამცემს, თანაც ამამაღლებს
და ხანდახან რომ მაშინებს,
თითქოს ესეც მაამაყებს...
...მისით ვარ და შვებით ვსუნთქავ,
ეს ასეა დიდი ხნიდან,
რა ოცნება შემისრულდა,
როცა მექცა იგი ხიდად;
ციდან ცამდე სანავარდოდ,
სასიცოცხლოდ, საარსებოდ,
მას არც ძალუძს — არ ამანთოს,
თითქოს მითხრა აგავსებო...
...რაზე მეტყვი — შენ ვინა ხარ,
როცა მინდა შენი ნახვა,
ეს სურვილი შემინახავს,
ეს სიმღერაც მშვენის ახლა:
შენი ნახვა მსურდეს მარად
და თან ხილვას არ ვჩქარობდე,
ახლა თუნდაც გძულდე — კმარა, —
სხვის საქებრად არ მცალოდეს.
შენი ელვა ისე გამკრავს,
რომ არ ვიცი რა ვიღონო,
გეკითხები, გისმენ — რა ვქნა?
მოპასუხე — გავიგონო!
რაზე მკითხავ — რისთვის მინდა,
რისთვის მინდა შენი ნახვა,
შენი ნახვის, ვიცი, წმინდა
აღტაცება შემინახავს.



ნ. დუმბაძე „მე ვხედავ მზეს" (ფრონტისპისი).



მარიჯანი. „მამიდა თეთის მარანი" (ილუსტრაცია).

შარლ პერო. „მძინარე მზეთუნახავი" (ილუსტრაცია).






კინოპლაკატი.



ემელიან ბუკოვი. „ანდრიეში" (ილუსტრაცია).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვა მთაში.

ფოტო თ. არჩვაძისა



# იმედის გაცრუება

**თომას მანი**

უნდა გამოგიტყდეთ, ერთი უცნაური კაცის ნაამბობმა სულით ხორცამდე შემაძრწუნა და ვშიშობ იქნებ ახლაც ვერ შევძლო იმგვარად გადმოვცე მისი მონათხრობი, რომ სხვებიც ჩემსავით ააღელვოს. შესაძლოა იმ უცნაურმა გულახდილობამ იმოქმედა, რაც სრულიად უცნობმა კაცმა გამოიჩინა.

ორიოდე თვის წინ, შემოდგომის მშვენიერ დილას ის უცნობი პირველად შევნიშნე პიაცა სან მარკოზე. ვრცელ მოედანზე ცოტა ხალხი იყო. დიდებული ნაგებობის თავზე, რომლის მდიდრული, ზღაპრული კონტურები და ოქროს სამკაულები თვალწარმტაცად ელვარებდნენ ნაზი ფირუზისფერი ცის ფონზე, მსუბუქი ზღვაური დროშებს აფრიალებდა. მთავარ შესასვლელთან პატარა გოგონა საკენკს უყრიდა ირგვლივ მორიალე მტრედებს. მტრედები ყოველი მხრიდან მოისწრაფვოდნენ. საოცარი, შეუდარებელი, საზეიმო სანახაობა იყო.

აქ შევხვდი პირველად იმ უცნობ ადამიანს და ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, საკვირველი სიცხადით მიდგას იგი თვალწინ. უცნობი საშუალო სიმაღლის ძლივს იქნებოდა. დადიოდა სწრაფად, წელში მოხრილი, ორივე ხელში ჩაბღუჯული ჯოხი ზურგსუკან ეჭირა. ეხურა შავი ღრმა ქუდი, ეცვა მუქზოლებიანი შარვალი და ღია ფერის წამოსასხამში იყო გახვეული. მე იგი რატომღაც ინგლისელად მივიჩნიე. უცნობი შეიძლება ოცდაათი წლის ყოფილიყო, შეიძლება ორმოცდაათისაც. ჰქონდა მიმქრალი, ნაცრისფერი თვალები, მომსხო ცხვირი და სუფთად გაპარსული სახე. ბაგეზე უცვლელად დასთამაშებდა გაურკვეველი, შეცბუნებული კაცის ღიმილი. იგი დროდადრო წარბებს ასწევდა, ირგვლივ მიმოიხედავდა, შემდეგ ისევ მიწას დააშტერდებოდა, რაღაცას ჩაიბურტყუნებდა, თავს გაიქნევდა და გაიღიმებდა.

იმ დღიდან მოყოლებული უცნობს თვალს არ ვაშორებდი. მას ეტყობოდა სხვა საქმე არ აწუხებდა და ყოველთვის მოედანზე სეირნობდა. დარსა და ავდარში, შუადღისას თუ ნაშუადღევს, ყოველთვის მარტო, ყოველთვის უცნაურად მომღიმარე, ორმოცდაათჯერ მაინც ჩაისეირნებდა პიაცა სან მარკოზე.

იმ დაუვიწყარ საღამოს მოედანზე სამხედრო ორკესტრი უკრავდა. მე კაფე ფლორიანის ერთ-ერთ მაგიდასთან ვიჯექი, რომელიც პირდაპირ მოედანზე გამოეტანათ; კონცერტი რომ დამთავრდა, შეჯგუფებულმა ბრბომ დაშლა იწყო. უცნობი, როგორც ყოველთვის, უმიზეზოდ მომღიმარე, ჩემს გვერდით, ახალგანთავისუფლებულ მაგიდას მიუჯდა.

დრო გადიოდა. ირგვლივ თანდათან მყარდებოდა სიჩუმე. კაფე დაცარიელდა. მოედანზე აქა-იქ თუ გაიჭაჭანებდა ვინმე. დიდებული სიმშვიდე გამეფდა, ცა ვარსკვლავებით მოიჭედა და სან მარკოს მდიდრული თეატრალური ფასადის თავზე ნახევარმთვარე დაეკიდა.

მე, ჩემი მეზობლისაკენ ზურგშექცეული, გაზეთს ვკითხულობდი. ის იყო წასვლა დავაპირე, რომ სულმა წამძლია და მისკენ ოდნავ შემოვბრუნდი. უცნობი, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა, მოულოდნელად ალაპარაკდა.

— თქვენ პირველად ხართ ვენეციაში, ბატონო ჩემო? — მომმართა დამტვრეული ფრანგულით. სანამ მოვახერხებდი ინგლისურად მეპასუხა, მან სუფთა გერმანულ ენაზე გააგრძელა ლაპარაკი. უცნობს ჩახლეჩილი, დაბალი ხმა ჰქონდა და ყელის ჩასაწმენდად ხშირად ახველებდა.

— თქვენ ყველაფერ ამას პირველად ხედავთ? ამართლებს იგი თქვენ მოლოდინს? იქნებ მეტსაც ელოდით? ჰა! თქვენ ეს უფრო ლამაზად არც გქონდათ წარმოდგენილი? ასეა ხომ? — ამას მხოლოდ იმიტომ არ ამბობთ, რომ თქვენი ბედნიერება შეშურდეთ? ეჰ! — უცნობი უკან გადაიხარა და თან მაკვირდებოდა. რაღაც გაურკვეველი გამომეტყველება ჰქონდა და თვალებს სწრაფად ახამხამებდა. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. უკვე აღარ ვიცოდი ეს უცნაური საუბარი როგორ უნდა გაგრძელებულიყო და წამოდგომა ხელახლა დავაპირე. უცნობი მოულოდნელად ჩემსკენ გადმოიხარა:

— იცით თუ არა, ბატონო ჩემო, რა არის იმედის გაცრუება? — შემეკითხა იგი წყნარად და დაჟინებით, თან თავის ჯოხს ორივე ხელით დაეყრდნო. — პატარა, უმნიშვნელო ხელის მოცარვა კი არა, დიდი, საერთო იმედის გაცრუება, რომელსაც ცხოვრება ადამიანს უმზადებს! ეს თქვენ არ გეცოდინებათ. მე კი ახალგაზრდობიდან მისი მეგზური ვარ და ამან ეული, უბედური და, უნდა გამოვტყდე, ცოტა უცნაურიც კი გამხადა.

შეგიძლიათ კი გამიგოთ, ბატონო ჩემო? მაგრამ, ალბათ, ორიოდე წუთით ყურადღებას არ დამამადლით. ორიოდე წუთით, რადგან გულგატეხილობის გამოხატვას, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, დიდი დრო არ დასჭირდება.

ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ გავიზარდე პატარა ქალაქში, პასტორის ოჯახში. ჩვენი სახლის ზედმეტად სუფთა ოთახებში ძველმოდური პედანტური სწავლულობის ოპტიმიზმი სუფევდა. იქ ყველაფერი სუნთქავდა საეკლესიო კათედრისათვის დამახასიათებელი რიტორიკით, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით სიკეთესა და ბოროტებაზე, მშვენიერებასა და სიმახინჯეზე. როგორ მძულს ყველაფერი ეს, რადგან, ალბათ, მხოლოდ ამ სიტყვებს მიუძღვის ბრალი ჩემს ტანჯვაში.

ჩემთვის ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ამ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებისაგან შედგებოდა, რადგან წუთისოფლის არაფერი გამეგებოდა, გარდა ხელშეუხებელი, ბუნდოვანი წარმოდგენისა, რომლებსაც ჩემში ეს სიტყვები იწვევდნენ. ადამიანებისაგან მოველოდი მხოლოდ ღვთიურ სიკეთეს ან შემაძრწუნებელ ბოროტებას. მე მოველოდი ცხოვრებისაგან ზეალმტაც სიმშვენიერეს ან უკიდურეს სიმახინჯეს და შემიპყრო ყოველივე ამის დაწაფების დაუოკებელმა წყურვილმა, შემიპყრო შიშნარევმა სწრაფვამ სინამდვილისაკენ, განცდისაკენ, სულ ერთი იყო ეს ნათელი ბედნიერება იქნებოდა, თუ ენით აუწერელი, წარმოუდგენლად საშინელი ტანჯვა.

ბატონო ჩემო, მე მაგონდება, პირველი იმედის გაცრუება ჩემს ცხოვრებაში. გთხოვთ გამიგოთ, რომ ეს არ ყოფილა რაიმე მშვენიერი იმედის გაქარწყლება. ეს იყო დიდი უბედურების დასაწყისი. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა მამისეულ სახლში ღამით ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი მთელს შენობას მოედო, დაიწვა პირველი სართული, სადაც იყო ალი კიბესაც შთანთქავდა. მე პირველმა შევნიშნე ცეცხლის ენები და მახსოვს მთელი სახლი ყვირილით შევძარი: იწვის! იწვის!

ზუსტად მახსოვს ეს წამოძახილი, ვიცი რა გრძნობაც ედო მას საფუძვლად, თუმცა მაშინ მასში გარკვევის თავი არ მქონდა. „ეს არის ცეცხლის სტიქიონი, — შევიგრძენი მე უნებურად — აი, უკვე განვიცდი მას, მაგრამ... ნუთუ ხანძარი ამაზე საშინელი არ არის, ნუთუ სულ ეს არის?“

ღმერთმა ხომ იცის, რომ ეს უბრალო ამბავი არ ყოფილა. მთელი სახლი დაიფერფლა. ოჯახი ძლივს გადარჩა ხიფათს, ხოლო მე საკმაოდ დავშავდი. სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ჩემს ფანტაზიას მშობლიური სახლის დაწვა უფრო შემაძრწუნებლად ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე სინამდვილეში მოხდა, მაგრამ ჩემს არსებაში ჩასახული იყო გაურკვეველი წინათგრძნობა, უსხეულო წარმოდგენა რაღაც უფრო მეტი საშინელებისა და მასთან შედარებით სინამდვილემ ყოველგვარი ძალა დაკარგა. ხანძარი იყო ჩემი პირველი დიდი განცდა, რომელმაც გააქარწყლა საშინელების მოლოდინი.

არ შეშინდეთ, ბატონო ჩემო, არ ვაპირებ ყოველი ჩემი გაწბილების სათითაოდ ჩამოთვლას, საკმარისია ვთქვა, რომ მე, დაუოკებელი ეჭვით შეპყრობილმა, პოეტების ნაწარმოებებიდან შევითვისე ცხოვრებისაგან რაღაც დიდის მოლოდინი. ეჰ, მე შემძულდნენ ეს პოეტები, რომლებიც თავიანთ მაღალფარდოვან სიტყვებს აბნევენ ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ, ხოლო რომ შეეძლოთ, ვეზუვში ჩაწებული ყალმით ცის კაბადონზეც მიაწერდნენ თავიანთ სიბრძნეს, ეს მაშინ, როცა მე არ ძალმიძს ყოველი ასეთი სიტყვა დიდ სიცრუედ ან ბოროტ დაცინვად არ მივიჩნიო. აღფრთოვანებულმა პოეტებმა მიმღერეს, ადამიანის ენა ღარიბიაო. არა, ბატონო ჩემო! ენა, ჩემი აზრით, მდიდარია, აუწერლად მდიდარი, ცხოვრების შეზღუდულობასა და უმწეობასთან შედარებით. ტკივილს აქვს თავისი საზღვრები: ფიზიკურს — გულის წასვლამდე, სულიერს — სიგიჟემდე, ბედნიერებაც ასევეა. ადამიანთა ურთიერთგაგებინების მოთხოვნილებამ კი ბგერები გამოიგონა, რომლებსაც მოტყუებით გავყავართ ამ საზღვრებს მიღმა. განა მე მიდევს ბრალი, რომ ეს სიტყვები ზურგის ტვინამდე ჩამსდევს და ისეთი რამის წარმოდგენებს მიღვიძებს, რაც საერთოდ არ არსებობს?

მე ამ ყბადაღებულ ცხოვრებაში შევიჭერი, ჩემი წინათგრძნობების შესატყვისი განცდების წყურვილით სავსე. ღმერთო მიშველე, ეს განცდები ბედმა როდი მარგუნა. მე დავხეტიალობდი დედამიწის ქებული ადგილებისა და ხელოვნების ქმნილებათა სანახავად, რომელთა წინაშე მოწიწებით ქედს იხრის კაცობრიობა. მე ვმდგარვარ ამ ქმნილებათა წინ და მითქვამს: მშვენიერია! და მაინც: ნუთუ არ არსებობს ამაზე მეტი მშვენიერება? ნუთუ ეს არის ყველაფერი?

მე არაფერი გამეგება ფაქტობრიობისა, ალბათ, ის ყველაფერს ხსნის. ერთხელ, სადღაც, უძირო უფსკრულის პირას ვიდექი. კლდეები შიშველი და ციცაბო იყო, ძირს კი წყალი ეხეთქებოდა ლოდებს. ვიცქირებოდი ქვევით და ვფიქრობდი: რა მოხდება, რომ გადავვარდე-მეთქი. ეს რომ მომხდარიყო, ჰაერში ალბათ ჩემს თავს ვეტყოდი: აი, ვვარდები. ახლა ეს ფაქტია! მერე რა?!

დამიჯერებთ თუ არა, მე საკმაოდ ბევრი უბედურება გადავიტანე იმისათვის, ასეთი საუბარი რომ შემძლებოდა? დიდი ხნის წინ მიყვარდა გოგონა, ნაზი და უმანკო არსება. თუკი მოისურვებდა, თვალისჩინივით გავუფრთხილდებოდი, სიკვდილამდე მფარველობას გავუწევდი, მაგრამ მას არ ვუყვარდი. არაფერია აქ საკვირველი, სხვას ერგო წილად მისი სიყვარული. არსებობს განა ამ ვნებათაღელვასთან გადაჯაჭვულ გულისტკივილზე გამანადგურებელი რამ? რამდენი ღამე გამითენებია თეთრად და ყველაზე სამწუხარო, ყველაზე საწამებელი მაინც ერთი აზრი იყო: ეს მართლაც უდიდესი ტკივილია! და, აი, მე განვიცდი ამ ტკივილს! — მაგრამ... კაცმა რომ თქვას, რა არის მერე ეს?

განა ღირს, ჩემს ბედნიერებაზედაც მოგითხროთ? ბედნიერებაც განმიცდია, მაგრამ აქაც გამიცრუვდა მოლოდინი. ამის მოყოლა არც არის საჭირო, რადგან ეს უხეში მაგალითები ვერ აგიხსნის ცხოვრების არსს, მის მდორე, უინტერესო და უფერულ რბოლას, რამაც იმედი გამიცრუა, იმედი!

„რა საბრალოა ადამიანი, ეს განდიდებული ნახევარღმერთი, წერს ერთგან ახალგაზრდა ვერთერი, — განა ადამიანს სწორედ იქ არ ღალატობს ძალები, სადაც ყველაზე მეტად სჭირდება მხნეობა, და როცა იგი სიხარულითაა შეპყრობილი, ან ვნებებშია ჩაძირული, და უსასრულობის განცდაში ჩაკარგვისაკენ მიისწრაფვის, განა სწორედ მაშინ არ უბრუნდება ყრუ, ცივ განსჯას?“

მაგონდება ის დღე, როცა პირველად ვიხილე ზღვა. იგი უზარმაზარია, უკიდეგანო. ჩემი მზერა გასცდა ნაპირს და იმედი დამებადა ხსნისა, მაგრამ შორს, ჰორიზონტმა უზარმაზარი ზღვაც შემოფარგლა. რად მინდოდა ჰორიზონტი, როცა ცხოვრებისაგან უსასრულობას მოველოდი?!

შეიძლება ჩემი ჰორიზონტი უფრო ვიწროა, ვიდრე სხვა ადამიანებისა? მე გითხარით, რომ მაკლია ფაქტების გაგების უნარი; ან შეიძლება განდიდებული აზრი მაქვს მასზე, იქნებ მალე მეცლება ძალა, იქნებ მალე მთავრდება ჩემთვის ყველაფერი? ნუთუ ბედნიერებასა და ტკივილს მხოლოდ უმდაბლეს ხარისხში, მხოლოდ დაკნინებულ მდგომარეობაში ვიცნობ?

მე ეს არ მჯერა; არც იმ ადამიანებისა მჯერა, რომლებიც ცხოვრებასთან პირისპირ დგომისას პოეტების ამაღლებულ სიტყვებს ეფარებიან, — ეს სიმხდალეა და სიცრუე!

ბატონო ჩემო, ალბათ, შეგიმჩნევიათ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ისე მედიდურნი არიან, ისე მოწყურებულნი ღრმა პატივისცემას და სხვებში მეშურნეობის გაღვიძებას, რომ თავს დებენ, თითქოს მხოლოდ უდიდესი ბედნიერება განუცდიათ და არასოდეს დატანჯულან.

ბნელა და თქვენ ძლივსლა მისმენთ, დღეს კიდევ ერთხელ მინდა ვაღიარო, რომ მეც მქონდა შემთხვევა ასეთ ადამიანებთან სიცრუე მეთქვა, რომ საკუთარი თავისათვის და სხვებისათვის თავი ბედნიერად მომეჩვენებინა, მაგრამ კარგა ხანია დამემსხვრა პატივმოყვარეობა და სულ მარტო დავრჩი, უბედური და ცოტა უცნაურიც კი გავხდი.

ახლა ღამით ცაზე ვარსკვლავებს ვაკვირდები. ეს ჩემი საყვარელი საქმიანობაა. განა ეს საუკეთესო საშუალება არ არის ამქვეყნიური ცხოვრებისაგან მოსაწყვეტად? განა არ მეპატიება, რომ შესაძლებლობას ვიტოვებ, ჩემი წარმოდგენები მაინც შევინარჩუნო, ვიოცნებო თავისუფალ ცხოვრებაზე, სადაც სინამდვილე ჩემი ფანტაზიის შესაბამისად, გულგატეხილობის მტანჯავი ნაშთის გარეშე ხორციელდება, იმ ცხოვრებაზე, სადაც აღარ არსებობს ჰორიზონტი?

ვოცნებობ ამაზე და ველი სიკვდილს. ეჰ, კარგად ვიცი, რომ ეს იქნება ჩემი უკანასკნელი იმედის გაცრუება. მჯერა, უკანასკნელ წუთებში ვეტყვი ჩემს თავს: ეს არის სიკვდილი? აი ესეც! კაცმა რომ თქვას, რა არის მერე ეს?

მაგრამ მოედანზე აცივდა, ბატონო ჩემო! მადლობა ღმერთს, ამის შეგრძნება მაინც ძალმიძს, ხე, ხე! ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ.

თარგმანი დ. კოკაია-ფანჯიკიძისა



**გიორგი ხუჭუაშვილი**

# ხალხის თვალი

სინჯავენ ახლად გამოშვებულ პროდუქციას.

ეს ადამიანები მუდამ ცხოვრების შუაგულში არიან, ისინი კარგად გრძნობენ თავიანთი რაიონის მაჯისცემას, მის რიტმულად აწყობილ ცხოვრებას და მუდამ იმის ცდაში არიან ეს მაჯისცემა შეუფერხებელი იყოს ყოველ უბანზე, ყოველ საწარმოში.

ჩვენ ვლაპარაკობთ თბილისის 26 კომისრების რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მუშაკებზე. კომიტეტში ხუთიოდე კაცია, მაგრამ ისინი მარჯვედ უძღვებიან საქმეს. რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელი იქნებოდა, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლს ირგვლივ შემოკრებილი რომ არ ჰყავდეს მშრომელების დიდი არმია — კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიოები. ეს ადამიანები გაერთიანებული არიან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დამხმარე ჯგუფებში, რომლებიც რაიონის ყველა კუთხე-კუნჭულს სწვდებიან. მათმა რიცხვმა უკვე 314 მიაღწია, საგუშაგოებმა კი — 1.100-ს; ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც ეს ჯგუფები შეიქმნა, მაგრამ მათ უკვე ბევრი მეტად საჭირო და კეთილშობილური საქმე გააკეთეს.

ამ კომიტეტს ენერგიულად ხელმძღვანელობს გრ. წამალაძე.

* * *

მსუბუქმა მანქანამ სახწავლო-საწარმოო კომბინატისაკენ გადაუხვია.

ამას წინათ კომბინატში დოკუმენტური რევიზია ჩაატარეს, ბევრი ნაკლი თუ ხარვეზი გამოიტანეს სააშკარაოზე, მათ შესახებ იმსჯელეს კომიტეტის სხდომაზე, კომბინატის ზოგიერთ მუშაკს მიუთითეს და საქმის გამოსწორების გზა უჩვენეს, პერსპექტივა დაუსახეს.

შოფრის გვერდით გარინდებული ზის რევიზორ-ბუღალტერი ნადია მელაძე; ის ახლა იმაზე ფიქრობს, შესძლეს თუ არა კომბინატში იმ მითითებების შესრულება? გამოასწორეს თუ არა ხარვეზები? ნადიას უკან ზის დავით ფანცხავა, რომელიც მშრომელთა წინადადებებისა და საჩივრების განყოფილებას ხელმძღვანელობს; მის გვერდით შავგვრემანი სახის სერგო ავაქოვი გულმოდგინედ კითხულობს გაზეთს, ხოლო ბუღალტერი მერი ჭიჭინაძე მანქანის სარკმლიდან გასცქერის ქუჩას.

— ვნახოთ... თუ მოიწადინეს, კიდევაც შესძლებდნენ საქმის გამოკეთებას, — მოულოდნელად წარმოთქვა ნადიამ, თითქოს ისევ თავის ფიქრებს განაგრძობსო.

— შეუძლებელი არაფერი დაგვივალებია მათთვის! — ღიმილით ჩაილაპარაკა დავითმა.

— ჩემი აზრით, სჯობია საგალანტერეო საამქროდან დავიწყოთ. — დუმილის შემდეგ დაბალი ხმით ჩაურთო სერგო ავაქოვმა.

— არა, უმჯობესია ჯერ რეზინის საამქრო ვნახოთ, — ურჩია ფანცხავამ.

კომბინატის დირექტორი ახლა უკვე სხვაგვარი შეხვდა სტუმრებს. მართო ამითაც მიხვდებოდა კაცი, რომ საქმე ცუდად არ იყო. ეს დირექტორის ლაპარაკსაც კი შეეტყო, იგი ხალისიანად აძლევდა პასუხებს შეკითხვებზე.

— ეს დაზგები, ალბათ, კარგად გახსოვთ? — შეჩერდა ერთ ადგილას.

— დიახ, ორი თვის წინ უსაქმოდ იდგნენ.

— ახლა კი... — დირექტორმა კვლავ გადახედა დაზგებს და დაიწყო...

სერგომ და ნადიამ ამ დაზგაზე დამზადებული ქიმიური პროდუქცია დაათვალიერეს... როცა ადრე, კომიტეტის სხდომაზე კომბინატის მუშაობის საკითხს იხილავდნენ, დირექტორს ბევრი მწარე სიმართლე მოახსენეს, წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ აემოქმედებია ეს ძვირფასი მანქანები... დახეთ, როგორ მოხდენია საქმეს მაშინდელი ცხარე საუბარი; კი არ ესაყვედურებიან, ახლა გახარებულები ართმევენ ხელს დირექტორს და წარმატებას ულოცავენ. „იზომ—500"-ის ორი დანადგარი უკვე მწყობრშია და კარგა ხანია ძვირფას ქიმიურ ნაწარმს ამზადებენ. კომბინატმა წელს ათასობით გამოუშვა საოჯახო ნივთები: თასები, ფინჯნები, ჯამები, შიფერი...

ნადიას ირგვლივ ისხდნენ კომიტეტის წევრები და ინტერესით ადევნებდნენ თვალს რევიზორის მიერ ჩამოწერილ ციფრებს. როცა ყველაფერი შეაჯამეს, ფეხზე წამოდგნენ და დირექტორს ღიმილით შეხედეს.

— ჰო, ამჯერად ყველაფერი რიგზეა.

* * *

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დამხმარე ჯგუფმა, რომელსაც ალექსი კლემენტიევი ხელმძღვანელობს, მთელ რაიონში გაითქვა სახელი.

ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანი უმადლის ამ ჯგუფის წევრებს. № 86 სახლმმართველობაში საცხოვრებელი ბინების სწორად განაწილებას კონტროლს უწევენ დამხმარე ჯგუფის წევრები: ვასილ შაქერდაშვილი, გრიგოლ გრიგორიანი და ავაქ პოლოსიანი. ეს ხანში შესული ადამიანები სამაგალითო ენერგიას იჩენენ. თვალუწვდენი მასივის ყველა კორპუსი მათ ფეხით აქვთ შემოვლილი. ისინი ადიან სართულიდან სართულზე, ირკვევენ ბინების ხანგრძლივად გამოკეტვის მიზეზებს... მასივის კეთილმოსაწყობად მათი ინიციატივით ეწყობა შაბათობები.

დამხმარე ჯგუფის წევრებს დიდი ენერგია დასჭირდათ, რომ დაეზუსტებინათ თუ რა მიზეზით იყო წლობით გამოკეტილი ბინები მესამე მასივში, გამოევლინებინათ ბინის ქირის ურჩი გადამხდელები. 26 კომისრების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ალექსანდრე კორშია ყურადღებით ეპყრობა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დამხმარე ჯგუფების მუშაობას. მან ბევრი საინტერესო საკითხი პრეზიდიუმის მსჯელობის საგნად გახადა, ხოლო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ჯონი იაშვილი და საბინაო სამმართველოს უფროსი რევაზ ქადეიშვილი ხშირად იმყოფებიან მესამე მასივში, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ჯგუფის წევრებთან ერთად ამოწმებენ უპატრონოდ მიტოვებულ ბინებს, აფრთხილებენ ურჩ გადამხდელებს, აწესრიგებენ მასივის კომუნალურ მომსახურებას.

მესამე მასივში, დამხმარე ჯგუფის წევრების სისტემატური კონტროლის შედეგად მაღაზიები მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. მაღაზია № 118-ს ამას წინათ მომხმარებელთა კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის რაიონის გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დამხმარე ჯგუფის თვითეული წევრის გამოჩენა სიხარულს იწვევს პატიოსან ადამიანებში; ეს სიყვარული და ავტორიტეტი მათ თავიანთი პირუთვნელობითა და სიმტკიცით მოიპოვეს. ისინი მარტო მოხსენებითი ბარათების დაწერით როდი იხდიან მოვალეობას: გულმოდგინედ ამოწმებენ, მოითხოვენ, კეთილ რჩევას აძლევენ ადამიანებს, შეუპოვრად ებრძვიან ბიუროკრატებსა და ჩინოვნიკებს.

პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლი, ეს ხალხის თვალი და ყური ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას.

## ვარსკვლავ-ბიჭუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ოთარ შალამბერიძე**

ყრმაო,
რომელიც ჯერ არ შობილხარ,
მინდა დაგარქვა ვარსკვლავ-ბიჭუნა.
და როს
სამყაროს
მოევლინები,
ჩვენი ცხოვრების აღმართ-დაღმართებს
განსჯი,
განავრცობ,
გაამზეურებ,
მწამს:
პირველ სათქმელს იტყვი ხმამაღლა,
რომ ღირსეულად გვეჭირა თავი
ქვეყნად ყველაზე მღელვარე დროში.

ყრმაო,
რომელიც ჯერ არ შობილხარ,
გელტვიან ჩემი ხელნაწერები,
ვით უდაბნოში ცისფერ მირაჟებს
ელტვიან
წვრილ და გრძელ ნაკადებად
ბედუინების ნაფეხურები.

ყრმაო,
რომელიც ჯერ არ შობილხარ,
დუმილით გელის ჩემი არქივი,
და როს
სამყაროს
მოევლინები,
შენ იმ დუმილში ფესვებს გაიდგამ,
რომ დავიწყების ფლატეებს შორის
ამოვიზარდო ნისლისფერ ძეგლად!

ყრმაო,
რომელიც ჯერ არ შობილხარ,
მინდა დაგარქვა ვარსკვლავ-ბიჭუნა.
შენი სიზმრები იქნება მშვიდი
და კანქვეშ სისხლიც მშვიდად იბრუნებს.
არ შეგაშფოთებს ფიქრი თავნება,
რომ შესაძლოა,
ადრე თუ გვიან
დიდ, სოკოს მაგვარ ღრუბელს შეხედო,
რათა დაბრმავდე საშვილიშვილოდ!

ყრმაო,
რომელიც ჯერ არ შობილხარ,
მე შენ გენდობი შობილზე მეტად,
რადგან წარსული ვიქნები შენთვის,
ოდეს სამყაროს მოევლინები
და იდუმალი სევდით გადაშლი
ფერგამკრთალ რვეულს,
სადაც დაგხვდება
შენს მოლოდინში დაცლილი გული!

## ხალიჩა

**მარი გველესიანი**

ხახვის ფოჩში თუ ენდროს ძირებში,
ღებავენ ხევსურთ ქალები ბაწარს,
რადგან არ უყვართ ცივი ფერები,
ხეთა სიფითრე — თოვლის ზეწარი...
შუბლზე ჩამოაქვთ მზის ჭავლი თმები,
შავი თვალების მოსაჩრდილებლად
და ქსოვენ, ქსოვენ ჭრელ-ჭრელ ჩაჭიჭებს,
ქსოვენ ღამემდე, ქსოვენ დილამდე...
და იფერება მზით ჭიუხები,
მწვანე ფერდობებს ნისლი ედება,
მხედარს ალვიძებს ცხენის ჭიხვინი,
აკვნებს არწევენ ხევსურთ დედები...
და ჯუბაჭრელი ზაფხული დგება
ჯამრეჯ მარჯვენით დედაბოძების —
შორს, ფაბრიკებში, დიდი დაზგები
ცდილობენ ხევსურთ ქალებს მიბაძონ.
ლაღი ფერებით თვალს ახალისებს
ამაყი სული — კლდე-ხევსურული
და გაუხუნარ ხევსურთ ხალიჩებს
ჩამოაქვთ მთის და ხევის სურნელი...

ხახვის ფოჩში თუ კაკლის წენგოში
ღებავენ ხევსურთ ქალები ბაწარს...



ვიქტორ დოლიძე.

# კომპოზიტორის საუნჯე

ვასილ გვეგაძე

არქივში ჩარჩენილი ქაღალდი ხშირად ცოცხალი ადამიანივით ამეტყველდება ხოლმე. შემოქმედი მიდის, ტოვებს ქვეყანას და განუხორციელებელი რჩება ბევრი რამ. მისი სიხარული თუ ტკივილი, ფრთაშეუსხმელი თუ ფრთაშესხმული ოცნება აქ ცოცხლობს, არქივის ფურცლებშია მიმალული. აიღებ ქაღალდს და თითქოს ადამიანის გულში ჩაიხედავ, დაინახავ რა აღელვებდა მას, რით ცოცხლობდა, რით ხუნთქავდა იგი, რას ელტვოდა, რისკენ ისწრაფოდა.

სწორედ ამას ვფიქრობდი, როცა ვეცნობოდი კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის არქივს მისი დის — მწერალი ქალის ნინო დოლიძის ბინაზე.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა სურათმა, რომელსაც აქვე ვათავსებთ. ეს სურათი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო. ვიქტორი ვიოლინოზე უკრავს ტყეში. უკრავს ყველასაგან განმარტოებული, უკრავს საოცარი გატაცებით. გარშემო ტყეა და სიჩუმე, და ეს ნამდვილად იგრძნობა სურათზე.

ეს სურათი გადაღებულია კეხობში, წალვერის ახლოს, „ქეთო და კოტეს“ დადგმიდან რაღაც თვეების შემდეგ. თავისი ჩვეულებისამებრ, მაშინაც ტყეში, მყუდრო ადგილას განმარტოებულა ვიქტორი. მაგრამ ამჯერად ეს შეუნიშნავი არ დარჩენიათ იოსებ გრიშაშვილსა და კომპოზიტორის დას. ჩუმად მიპარვიან, ფოტოგრაფი წაუყვანიათ და გადაუღიათ ეს სურათი.

აი კიდევ ერთი ეპიზოდი ვიქტორის ცხოვრებიდან.

თბილისის საოპერო თეატრის იმდროინდელი დირექტორის ალექსანდრე წუწუნავას კაბინეტში შედის ახალგაზრდა კაცი... შედის და მაგიდაზე უსიტყვოდ დებს გაზეთში გახვეული ნოტების მოზრდილ შეკვრას.

— რა არის ეს? —ეკითხება წუწუნავა ახალგაზრდა კაცს და გაოცებით უცქერის.

— ეს ჩემი ოპერაა, — მიუგო ჭაბუკმა. — აქ არის შეკინძული ჩემი ოპერის პარტიტურა, დაორკესტრება, ხელით გადაწერილი პარტიები.

— რაო, ოპერაო?! რას ამბობ, ყმაწვილო, — ახლა მართლაც შეცბა დირექტორი. — ოპერას კი არა, რომანსს თუ ვინმე წერს, ერთი წლით ადრე ვიცით. შენ კი ოპერა დაგწერეო, მეუბნები.

ის იყო ოთახში ვანო სარაჯიშვილიც შემოვიდა. მან ადრევე იცოდა ყველაფერი. იქვე, წუწუნავას თვალწინ შეასრულა რამდენიმე არია ახალი ოპერიდან.

ის ოპერა იყო „ქეთო და კოტე“, რომელიც დასადგმელად ასე უხმაუროდ წარადგინა ოცდაშვიდი წლის ვიქტორ დოლიძემ.

დაიწყო ოპერაზე მუშაობა. მისი დადგმა თვითონ ალექსანდრე წუწუნავამ ითავა. მუშაობა მიდიოდა დაძაბულად, გენერალური რეპეტიციაც ჩატარდა. ჩატარდა იგი დუნედ, მოსაწყენად. ვიქტორს ამან გული როდი გაუტეხა. პირიქით, ეს კარგიაო, ამბობდა, სამაგიეროდ, პრემიერას არაჩვეულებრივი წარმატება ექნებაო.

და აი, პრემიერის დღეც. ოპერა სავსეა ხალხით. ბენუარის მერვე ლოჟა მთლიანად ნათესავებს უჭირავთ.

პირველი მოქმედება... სცენიდან წყაროსავით მოჩქეფს ანკარა და ცოცხალი მელოდიები. ისმის სიმღერა: „დავცალოთ ყანწები, დავცალოთ ჭიქები“. თავად ლევანთან ნადიმია. სტუმრები ლხინობენ, კინტოები ცეკვავენ. დაეშვა ფარდა. მეორე მოქმედებამ კიდევ უფრო მეტი წარმატება ხვდა. დარბაზში ტაში ქუხს. მაყურებელი მოითხოვს კომპოზიტორს. აი, ისიც გამოვიდა სცენაზე ალექსანდრე წუწუნავასთან ერთად.

სცენაზე იდიმებოდა ვიქტორი და ქვევით, სიხარულისაგან ტიროდა მისი დედა მელანო.

პირველ ქართულ კომიკურ ოპერას მართლაც არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად.

„ქეთო და კოტე“ პირველად დაიდგა 1919 წლის 11 დეკემბერს; ეს იყო რიცხვით მესამე ეროვნული ოპერა დიმიტრი არაყიშვილის „შოთა რუსთაველისა“ და ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ შემდეგ.

„ქეთო და კოტეს“ წერის დროს, შესვენების წუთებში, ვიქტორი ხეირნობდა თავის ეზოში, კაკლის ხისა და აკაციის ქვეშ. კომპოზიტორის საყვარელი კაკალი და აკაცია ახლა ჩელუსკინელებისა და კლარა ცეტკინის ქუჩების გადაკვეთაზეა, ზედ კინოთეატრ „კოლმეურნის“ წინ. ეს ხეები აქ, თავისი პატარა სახლის ეზოში, თვითონ ვიქტორმა დარგო.

შემდეგ, ქუჩის გაფართოების გამო, სახლი დაინგრა, ხეები კი გადარჩნენ.

ვიქტორ დოლიძე და გალაკტიონ ტაბიძე ახლო მეგობრები იყვნენ. ერთხელ ისინი ბაკურიანში შეხვდნენ ერთიმეორეს. ვიქტორს გალაკტიონისათვის უთხოვია — შენი საღამო მოვაწყოთო. მეორე დღესვე საღამოც გაუმართავთ. კონფერანსიე ვიქტორი იყო, მას თვითონვე უმღერია და დაუკრავს ფორტეპიანოზე. გალაკტიონს წაუკითხავს თავისი ლექსები. ბოლოს კი, ამ ორიგინალური საღამოს გვირგვინად, ვიქტორს უმღერია გალაკტიონის ტექსტზე წინა დღით დაწერილი რომანსი „შავი ყორანი“. სამწუხაროდ, ეს რომანსი დაიკარგა და კომპოზიტორის არქივში არა ჩანს.

კომპოზიტორის არქივში ინახება მისი ოპერების — „ლეილას“, „ციცინას“, „ზამირას“ პარტიტურა. საყურადღებოა სიმფონიური ნაწარმოებები „ივერიადა“, „ოსური სიუიტა“, „აზერბაიჯანი“, „ათი წელი“. აქვეა მისი პირველი ქართული საფორტეპიანო კონცერტი, დაწერილი 1932 წელს, რომელიც დღემდე არ შესრულებულა და სავსებით უცნობია ფართო საზოგადოებრიობისათვის.

დაბეჭდილ რომანსებთან ერთად („მარტო ვარ ველზე“, „ახ, ტურფავ, შენი ჭირიმე, შენი“, „შეეჩვია“, „რა კარგი ხარ“, „ახალ ხოფელში“, „მარად ვმღერი“, „მშვენება ხარ“, „ზღვასთან“, „მჭედელნი“, „შენ ხარ ღვთაება“), არქივში გვხვდება დაუბეჭდავი რომანსებიც: „ჭვრის ქალი“, „სიმები გრგვინავენ“, „იქ, სადაც ზღვა მარად ღელავს“, „ოქტომბერი“, „თეატრის ბალში“, „მიხაკნი მიმოზებით“.

ამ რომანსებში მქრის მძაფრი პოეტური სული. მელოდიები თბილი და სურნელოვანია.

ოჯახიდან გაბნეულა და მოსაძებნია რამდენიმე პარტიტურა: „ზამირას“ უვერტიურა, ოსური ცეკვა „ალაგირ“, „კინტოური“, „მოხისხლენი“ (მუსიკალური სცენა მთიელთა ცხოვრებიდან), „მთიულური ფანტაზია“ (ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის), ქართული გამარჯვების მარში „ტარიელი“, „ხუთი მინიატურა“, „ესპანელი ქალი“, „ცრემლები“ და სხვ.

1965 წელს სრულდება სამოცდათხუთმეტი წელი ვიქტორ დოლიძის დაბადებიდან. კარგი იქნება, თუ ამ თარიღისათვის დაიბეჭდება სპეციალური კომისიის მიერ რედაქტირებული „ქეთო და კოტე“.

ამ ნაწარმოებმა ფართო სახელი მოუხვეჭა არა მარტო ავტორს, არამედ მთელს ქართულ საოპერო ხელოვნებასაც. იგი იდგმება არა მარტო საბჭოთა კავშირის სცენებზე, არამედ სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებშიც. ოპერამ დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოეთში. ამერიკიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან მოდის უამრავი თხოვნა „ქეთო და კოტეს“ დაბეჭდილ ეგზემპლარებზე.

საჭიროა აღვადგინოთ ვიქტორ დოლიძის მეორე ოპერა „ლეილაც“, რომელიც უმართებულოდ არის დავიწყებული. მუსიკათმცოდნეები ამ ნაწარმოებს მაღალ შეფასებას აძლევენ, კერძოდ, მარგარიტა ვაჩნაძე თავის მონოგრაფიაში ვიქტორ დოლიძეზე, ამბობს, „რომ „ლეილას“ მუსიკალური ენა, „ქეთო და კოტესთან“ შედარებით, ჰარმონიულად უფრო რთულია, რიტმული ნახაზიც უფრო საინტერესოა. ორკესტრიც უფრო ძლიერად და სავსებით ხმოვანებს“.

...„ლეილაში“, — წერდა თავის დროზე „ზარია ვოსტოკა“, — უფრო სერიოზული ამოცანაა დასახული — ოპერა გმირულია. აქ გვხვდება უფრო რთული მუსიკალური დახასიათებანიც, მასობრივი ხალხური სცენები, სიმფონიური სურათი და დრამატული სიტუაციები... საერთოდ, „ლეილა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან წინსვლას“.

მაშ, რატომ არ უნდა იდგმებოდეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე „ლეილა“?

მეტად მდიდარი არქივი დაუტოვებია კომპოზიტორს. მისი ხელით გადაწერილი პარტიტურები ამომკითხველს მოელიან. საერთოდ, ამ არქივში არის ბევრი რამ უაღრესად საინტერესო ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიისათვის.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



## როგორ იპოვნეს დაკარგული შვილი

1944 წლის შემოდგომის ერთ ღამეს ბუდაპეშტში ფაშისტებმა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შეიპყრეს. მათი წლინახევრის ქალიშვილი ჟუჟიკა ბედისანაბარად მიტოვებული აღმოჩნდა. როცა ომი დამთავრდა, მშობლები ჟუჟიკას ძებნას შეუდგნენ, მაგრამ ამაოდ. გავიდა კიდევ თოთხმეტი წელი და აი, მათ წინაშე წარსდგა დაკარგული ქალიშვილი. ვერც მშობლებმა და ვერც შვილმა ვერ იცნეს ერთმანეთი. დედ-მამას ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს გოგონა მათი ქალიშვილი იყო. ან რა საფუძველზე უნდა ეღიარებინათ იგი თავიანთ დაკარგულ პირმშოდ? საჭირო იყო რაღაც ურყევი და ეჭვმიუტანელი საბუთი. და აი, ბუდაპეშტის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში მშობლებს მტკიცედ და დარწმუნებით უთხრეს: დიახ, ეჭვი არ არის, ეს თქვენი შვილიაო.

რა ხერხით დაადგინეს უნგრელმა მეცნიერებმა დაკარგული შვილისა და მისი მშობლების ნათესაობა? — დაქტილოსკოპიით! დიახ, თითების ანაბეჭდის მეოხებით. ეს ერთ-ერთი უძველესი ხერხია. ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ ამ მეთოდს იყენებდნენ ბაბილონელები, ჩინელები, ინდოელები. თიხის ფირფიტა თითების ანაბეჭდით, ალბათ, უძველესი „პირადობის მოწმობა“ იყო. დაქტილოსკოპიას შეუძლია დაამტკიცოს ის, რომ ადამიანი, რომელმაც დატოვა თავისი თითის ანაბეჭდი რაიმე საგანზე, სწორედ ესა და ეს პიროვნებაა და არა სხვა. ან პირიქით, სულაც არ არის ის, ვიზეც მანამდე ფიქრობდნენ. მაგრამ ნათესაური კავშირის დადგენა?

ეს მართლაც საკვირველია, რადგან შთამომავლობისათვის თითების ნახაზის გადაცემის ფაქტი აქამდე მეცნიერების მიერ არ იყო ზუსტად შესწავლილი.

მართალია, ჯერ კიდევ 1923 წელს ნორვეგიელი მეცნიერი ბონევი ცდილობდა თითების ანაბეჭდის ხაზოვანი ნახატებით ეპოვა კავშირი მშობლებსა და ბავშვებს შორის, მაგრამ მისი მეთოდიც მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იძლეოდა პასუხს.

ახლა კი უნგრელი პროფესორის შანდორ ეკრეშის მეოხებით, რომელიც ბუდაპეშტის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს, დაქტილოსკოპია განვითარების ახალ გზას დაადგა. ეკრეში თერთმეტი წლის განმავლობაში აგროვებდა და სწავლობდა მშობლებისა და ბავშვების თითების ანაბეჭდებს. ამ ხნის მანძილზე ყველაზე მიყრუებულ ადგილებში „საიმედო“ 8-10 ბავშვიანი ოჯახების ძებნაში მან მთელი უნგრეთი შემოიარა.

პროფ. შ. ეკრეშმა შეკრიბა მსოფლიოში უმდიდრესი კოლექცია დაქტილოსკოპური დიაპოზიტივებისა ე. წ. დვრილისებური ხაზებით შექმნილი უცნაური ნახატების მთელი ოკეანე.

პროფ. ეკრეშმა იპოვა ამ ნახატების წარმოშობის კანონზომიერება, გამოყო ძირითადი ნახატების 60 ტიპი და შეადგინა ტაბულა. მან დაამტკიცა, რომ მოხატულობა, რომელიც შექმნილია ბავშვის თითის დვრილოვანი ხაზებით, შეიცავს როგორც დედის, ისე მამის თითების მოხატულობის შემადგენელ ნაწილს.

თითების ანაბეჭდთა ტაბულის გაანალიზებით პროფ. ეკრეში უტყუარად ადგენს ნათესაური კავშირის არსებობას მოცემულ პირთა შორის.

ამიტომ არის რომ ბედნიერი ბუდაპეშტელი მშობლები ხშირად ამბობენ: „შვილი თითებმა გვაპოვნინესო!“

## მიცვალებული, რომელიც ფეხით დაბრუნდა შინ

ეს ამბავი ჰონკონგში მოხდა: არავის არ გაჰკვირვებია. როცა ღრმად მოხუცი, ოთხმოცდათერთმეტი წლის ქალი გარდაიცვალა. როგორც წესი მოითხოვდა, ოცდაოთხი საათის განმავლობაში სახლში ესვენა, ხოლო დამარხვის წინ ბუდისტურ მონასტერში დაასვენეს.

და აი, ახლობლები უკვე ეთხოვებოდნენ თავიანთ ბებიას, დასტიროდნენ მას, როცა უცნაური ამბავი მოხდა; მიცვალებულმა გაახილა თვალები, მიმოიხედა და უცებ წამოჯდა კუბოში; ხალხს თავზარი დაეცა, შეიქნა ერთი აურზაური, მერე ყველა ნელ-ნელა დაწყნარდა და გონს მოეგო. ყოფილი მიცვალებული ფეხით დაბრუნდა შინ, ჭირისუფლებთან ერთად. სახლში მისვლისთანავე მან ყავა მოითხოვა.

მოხუცი ახლაც ცოცხალია და ძველებურად შეექცევა თავის საყვარელ ყავას.

(„დეილი უორკერი“)



## მშვიდობის ტაძარი



მეთვრამეტე საუკუნეში ბირმა-ტაილანდის ომის დროს ბირმის ჯარები ტაილანდის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და ციხე-სიმაგრე ნანს გარს შემოერტყნენ. მაგრამ ქალაქის აღება გაჭიანურდა. ორივე ქვეყნის არმიებში გამოჩნდა ომის დამთავრების მრავალი მომხრე. მაშინ მოწინააღმდეგეებმა გადაწყვიტეს — ომის მაგივრად, რომ განვაგრძოთ საომარი მოქმედება, მშენებლობაში შევეჯიბროთო. თვითეულ მოწინააღმდეგე მხარეს უნდა აეგო თორმეტი მეტრი სიმაღლის ტაძარი. ის არმია, რომელიც ადრე გაართმევდა ამ საქმეს თავს, ჩაითვლებოდა გამარჯვებულად, მისი მოწინააღმდეგე კი მშვიდობიანად დაიხევდა უკან.

ტაილანდის ჯარებმა ტაძარი ააშენეს შვიდ დღეში და მოიპოვეს უსისხლო გამარჯვება. ბირმის არმიამ შეასრულა მშვიდობიანი „ბრძოლის“ პირობები და უკან დაიხია.

რა ბედნიერება იქნებოდა დღეს კაცობრიობისათვის, ყველა სადავო საკითხი სახელმწიფოებს შორის ასე მშვიდობიანი შეჯიბრით რომ წყდებოდეს!

## საფოსტო მარკა წამლის ნაცვლად

ეს ამბავი 1908 წელს მოხდა. პეტერბურგში მთელი აურზაური ატყდა. პოლიციის აპარატი დაუყოვნებლივ ფეხზე დადგა, ტელეფონებმა ჟანდარმერიის სამმართველოს გადასცეს მეფის საიდუმლო ბრძანება ვინმე ტომილინის დაუყოვნებლივ მოძებნისა და დაპატიმრების თაობაზე.

ამ ალიაქოთის მიზეზი უბრალო შემთხვევა იყო. ცოტა ხნით ადრე იაპონიის ნაციონალურმა ბანკმა რუსეთიდან მიიღო წერილი, რომელშიც ვიღაც ტომილინი ორასი ათასი მანეთის შენახვას თხოულობდა. ბანკის მესვეურები, ცოტა არ იყოს, დააეჭვა ასეთმა დიდმა თანხამ, მიღებული წერილის შესახებ მათ დაუყოვნებლივ აცნობეს რუსეთის მეფეს.

მთელს იმპერიაში გაფაციცებით დაიწყო უცნობი მილიონერის — ტომილინის ძებნა. არავინ იცოდა თუ საიდან შეიძინა მან ესოდენ აურაცხელი სიმდიდრე.

ბოლოს და ბოლოს, პოლიციამ იპოვნა და დააპატიმრა ტომილინი, რომელიც ერთ-ერთი მანუფაქტურული მაღაზიის ღატაკი ნოქარი აღმოჩნდა. დაკითხვაზე ტომილინმა აღიარა, რომ იაპონიის გარდა, მან რუმინეთის ნაციონალურ ბანკსაც გაუგზავნა ანალოგიური შინაარსის წერილი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ტომილინი საფოსტო მარკების დიდი მოყვარული ყოფილიყო. ხელმოკლეობის გამო მას არ შეეძლო უცხოური მარკები შეეძინა. ღარიბმა ნოქარმა ეშმაკურ ხერხს მიმართა: იაპონიისა და რუმინეთის ნაციონალურ ბანკებს მან ხელსაყრელი შინაარსის წერილები გაუგზავნა, ამ ქვეყნებიდან გამოგზავნილ პასუხებს კი, ცხადია, ტომილინისათვის სასურველი მარკები უნდა მოჰყოლოდა თან.

დიდი განსჯისა და აწონ-დაწონის შემდეგ ტომილინი „მარკების სიყვარულით დაავადებულ ადამიანად“ ცნეს და პატიმრობიდან გაანთავისუფლეს.

* * *

„მარკების სიყვარულით დაავადებულ ადამიანთა“ რიცხვს ეკუთვნოდა დიდი რუსი მეცნიერი ივანე პავლოვიც.

ერთხელ, ავადმყოფობის დროს, პავლოვმა მთელი სერიოზულობით განუცხადა ექიმს:

— ჩემს ჯანმრთელობაზე ახალი მარკები უფრო კარგად მოქმედებს, ვიდრე თქვენი ბრომი.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ავსტრიელი ექიმი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ კოლექციების შეგროვებას გარკვეული სამკურნალო თვისებებიც ახლავს თან. რამდენიმე წლის შემდეგ იგივე მოსაზრება გაიმეორა ინგლისელმა ექიმმა ბეროფმა, რომლის განცხადებას დაცინვით შეხვდნენ მისი თანამემამულენი.

კოლექციების შეგროვების საკითხს დღეს უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ექიმები. ინგლისის, შვეციისა და ამერიკის გაზეთებში მედიცინის მუშაკები წერდნენ, რომ სხვადასხვა ფსიქიური და ნერვიული დაავადებების დროს „მარკებით მკურნალობას“ მეტად კარგი შედეგი აქვსო.

„მარკების თერაპიის“ მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფში გამოვიწვიოთ მარკების შეგროვების, დახარისხებისა და გაცვლა-გამოცვლის ინტერესი. ამგვარი საქმიანობა მეტად დამამშვიდებლად მოქმედებს ავადმყოფებზე, ხელს უწყობს უფრო იოლად გადალახონ აპატია და ნერვიული გადაღლა.

* * *

საბჭოთა საელჩომ ინდოეთში ამას წინათ წერილი მიიღო ირკუტსკიდან. წერილის ავტორს ელენე ტულუგუროვას ადრეც, რაღაც შემთხვევის გამო მიწერ-მოწერა ჰქონია საელჩოსთან. ამჯერად კი ქალი მადლობას უთვლიდა საელჩოს მუშაკებს. იგი ატყობინებდა მათ: ჩემი თერთმეტი წლის ბიჭი ძლივს გადაურჩა ხანძარს, ძალზე აწუხებდა სიდამწვრე და მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო.

„...მოულოდნელად გამახსენდა, რომ ჩემს ბიჭუნას მარკების შეგროვება უყვარდა, — წერდა ტულუგუროვა, — ბავშვს საავადმყოფოში მივუტანე ალბომი. როცა ალბომის ფურცლებზე ინდოეთის ახალი მარკები გამოჩნდა, ბიჭუნა შეტოკდა, თვალებში სიცოცხლის სხივი აუკიაფდა, რამდენიმე კვირის მანძილზე მხოლოდ ახლა გაიღიმა პირველად.

მე არ ვიცი რამდენად მართალია ეს, მაგრამ ექიმები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ამ დღიდან ბავშვის ჯანმრთელობამ მკვეთრად დაიწყო გაუმჯობესება“...

როგორც ვხედავთ, ხანდახან საფოსტო მარკაც შეიძლება გამოდგეს წამლად, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა პაციენტი ადრე, ავადმყოფობამდე გატაცებული იყო ფილატელიით, ანუ საფოსტო მარკების შეგროვებით.

საინტერესო თემაზე

# სიტყვა

ალ. სიგუა

ქართულ მჭევრმეტყველებას, ორატორულ ხელოვნებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი სათავეები შორეულ წარსულში იკარგება. ცოტა რამ არის მოღწეული იმ წარსულიდან, მაგრამ ესეც საკმარისია, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი წინაპრების ორატორულ ხელოვნებაზე. ყოველივე ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ნ. კანდელაკის წერილი „ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიიდან“, რომელიც წამძღვარებული აქვს „ლიტერატურა და ხელოვნების“ მიერ ახლახან გამოცემულ წიგნს „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები“ (შემდგენელი ნიკოლოზ დავითაია).

ორატორულმა ხელოვნებამ განსაკუთრებით მაღალ მწვერვალს მიაღწია მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები სასამართლო პროცესებშიაც გამოდიოდნენ მშრომელთა ინტერესების დამცველებად. აღსანიშნავია აკაკი წერეთლის სიტყვა, წარმოთქმული აჯანყებული სვანი გლეხების დასაცავად, რომლებსაც ასამართლებდნენ ქუთაისში, 1876 წელს; აკაკიმ ამ სიტყვაში მოგვცა მძაფრი და გამანადგურებელი მხილება მეფის რეჟიმისა, რომელიც სულს უხუთავდა ხალხებს.

ინტერესმოკლებული არ იქნება აქ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის აზრი აკაკის ორატორულ ხელოვნებაზე. 1882 წელს თელავში წარმოთქმულ აკაკის სიტყვის გამო ილია აღნიშნავდა: „ამაზე მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზე. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით თუ რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორული ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ „ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიონ დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია“.

ქართველი ადვოკატების ორატორული ხელოვნების შემცველი მრავალი მჭევრმეტყველური სიტყვა დაიკარგა სასამართლო სხდომათა დარბაზებში. ზემოხსენებული კრებულის სარედაქციო კოლეგია შენიშნავს, რომ ცნობილ საბჭოთა იურისტს მალაქია მესხიშვილს არ დარჩენია წერილობითი ტექსტები მის მიერ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვებისა.

მაგრამ მარტო მესხიშვილის სიტყვები როდი დაიკარგა; ასევე ითქმის ლ. ანდრონიკაშვილის, პ. ქავთარაძის, ი. ბარათაშვილის და სხვათა სიტყვებზე.

ქართულ ენაზე ჯერ არ გამოცემულა ადვოკატების სამოსამართლო სიტყვები; ეს კრებული პირველი ნაბიჯია ამ სფეროში და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. კრებულში წარმოდგენილია ოცდაერთი საბჭოთა ადვოკატი. თვითეული ეს სიტყვა თავისი შინაარსით და ფაქტების ანალიზით, მეტად საინტერესოა. „სახელმწიფო და საზოგადოებრივ ბრალმდებლებთან ერთად, — როგორც ამას წიგნის წინასიტყვაობაში ა. პაიჭაძე ამბობს, — ადვოკატის დაცვითი სიტყვას სასამართლო სამსჯავრო პროცესში უდიდესი იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ადვოკატი ენერგიულად ეძებს გზებსა და საშუალებებს, რათა კანონიერი დახმარება გაუწიოს სწორი გზიდან შემთხვევით აცდენილ ადამიანებს“. ჩვენი ადვოკატები თავიანთ სიტყვებში ამჟღავნებენ საბჭოთა სამართლის ღრმა ცოდნას და, ამავე დროს, დამაჯერებელ ანალიზს უკეთებენ იმ საქმეს, რომლის განხილვაზეც გამოდიან.

კრებული ღრმა ინტერესით იკითხება. ამ წერილში შეუძლებელია დაწვრილებით გადმოვცეთ ამა თუ იმ გარჩეული საქმის შინაარსი, მაგრამ აიღეთ თუნდაც შ. მესხიშვილის სიტყვა სტოლერმანის საქმეზე; აქ მთელი ადამიანური ტრაგედიაა და ადვოკატი მას განიხილავს ადამიანის სულის ღრმა ცოდნით და ჩაწვდომით. ასევე საინტერესოა ანდრო გელოვანის სიტყვა კილაძის საქმეზე. ეს მართლაც უდიდესი დახმარება იყო სასამართლოსადმი, რომელიც ცდილობდა დაედგინა ჭეშმარიტება. კილაძეს ბრალად ედებოდა არუთინოვის მკვლელობა და დაკითხვის დროს თვითონაც აღიარა დანაშაული, მაგრამ ადვოკატმა ეს ჩვენება დამაჯერებლად არ მიიჩნია და ჭეშმარიტი ფაქტების მოშველიებით სასამართლოს წინაშე ნათელი გახადა, რომ კილაძე უდანაშაულო იყო. და მართლაც, უდანაშაულო კაცი, ჩვიდმეტი წელიწადი რომ ჰქონდა მისჯილი, უმაღლესმა სასამართლომ გაანთავისუფლა და ნამდვილი მკვლელი მოძებნა.

ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს ბ. ბარათაშვილის, შ. გვათუას, ა. საგინაშვილის, ვ. სიდამონიძის, ვ. კაკელიას, ნ. კველიშვილის და სხვათა სიტყვები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი კარგად შეასრულებს იმ დანიშნულებას, რომელიც გამომცემლებს დაუსახავთ მიზნად — გააცნონ მკითხველს ადვოკატის როლი სამართალში მიცემულთა ინტერესების ობიექტურად დაცვის საქმეში, ხოლო ახალგაზრდა ადვოკატებს დაეხმარონ იმ რთული საკითხების გარკვევაში, რომელიც ხშირად წამოიჭრება ხოლმე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

# ერთი დღე თბილისის დინამოელებთან



ავთანდილ ღოღობერიძე და მიხეილ იაკუშინი.

ფეხბურთის სეზონის დაწყებამდე, ლისელიძის სპორტულ ბაზაში თბილისის „დინამოელებთან“ ერთი დღე-ღამე გავატარეთ.

ჩვენი ბლოკნოტი სწრაფად აივსო საკუთარი თვალით დანახული და მოყოლილი ამბების ჩანაწერებით.

ეს ჩანაწერები, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებისათვის, რომლებსაც სურთ ყველაფერი იცოდნენ თავიანთი საყვარელი გუნდის შესახებ.

## თბილისის „დინამოს“ ჩემპიონები

მართალია, თბილისის „დინამოელები“ ჯერ არასოდეს არ გამხდარან ჩემპიონები, მაგრამ ეს ხელს როდი უშლის მათ, რომ თავიანთი ჩემპიონები ჰყავდეთ.

ზაურ კალოევმა უკვე კარგა ხანია, რაც საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა თავით ბურთების გატანაში. შეიძლება ზოგიერთმა გულშემატკივარმა დღემდე არც კი იცოდეს, რომ ჩვენმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბურთების სამოცდაათ პროცენტზე მეტი თავით გაიტანა.

თბილისის დინამოში ყველაზე მაღლა — 175 სანტიმეტრზე სერგო კოტრიკაძე ხტება, ყველაზე სწრაფად სლავა მეტრეველი დარბის, ნალჩიკის „სპარტაკიდან“ ახლახან გადმოსულ ალექსანდრე აფშევს კი ვერ იქნა და ვერავინ აჯობა სიმძიმეების აწევაში.

ყველაზე ძლიერ მოჭადრაკედ გუნდში შოთა იამანიძე ითვლება, რომელსაც მეგობრებმა ამას წინათ ერთსულოვნად მიანიჭეს ჭადრაკში თბილისის „დინამოს“ ოსტატობის კანდიდატის საპატიო წოდება.

ბილიარდში ჩემპიონობა, როგორც ეტყობა, ჯემალ ზეინკლიშვილს საშვილიშვილოდ აქვს ხელში ჩაგდებული, გურამ პეტრიაშვილმა კი შარშან გამართულ ასპარეზობაში სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია: თერთმეტ დაძაბულ წუთში თერთმეტი ოქროს ქულა ჩაიწერა და შაშში თბილისის „დინამოს“ აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაიმკვიდრა.

სიმღერაში ჩემპიონის ტიტული, თუკი ოდესმე შეიძლება ასეთი ტიტული დააარსონ, რაღა თქმა უნდა, რომ პირველ რიგში მურთაზ ხურცილავას ეკუთვნის. ოცდაორი წლის სახელგანთქმული მცველი მურთაზ ხურცილავა თბილისის „დინამოში“ ყველაზე მეტსა და ყველაზე გატაცებით მღერის, მღერის და ტკბილ მეგრულ „ოდოიაში“ ხშირად აფრიკულ და იტალიურ ჰანგებსაც გამოურევს ხოლმე...

— რაც შეეხება სწავლას, — ღიმილით ამთავრებს ჩემპიონების ჩამოთვლას თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ალიოშა კოტრიკაძე, — ჩვენი ბიჭები ყველანი სწავლობენ, ანდა უკვე დაამთავრეს უმაღლესი. მიუხედავად ამისა, გივი ჩოხელმა მაინც შეძლო „ზეჩემპიონი“ გამხდარიყო და ასპირანტურაში წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები...

## ბუცი № 44

დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა.

კუიბიშევის ცენტრალური სტადიონი გუბეებით იყო მოფენილი.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა თავგანწირულ თამაშსა და მოწინააღმდეგის კარის განუწყვეტელ იერიშებს არავითარი შედეგი არ მოჰქონდა.

ორი ქულის მოპოვება კი ისევე აუცილებელი იყო თბილისელებისათვის, როგორც თევზისთვის წყალი.

თამაშის დამთავრებას თითქმის უკვე აღარაფერი აკლდა, როდესაც ჯემალ ზეინკლიშვილმა ცენტრში გრძლად ჩაწოდებული ბურთი მიიღო, ოდ-

ნავ წინ გადაინაცვლა და მოულოდნელი ბურთი გაგზავნა მოწინააღმდეგის კარისაკენ.

მძლავრად დარტყმულმა ბურთმა შხუილით ჩაუარა მცველებს, ნახევარწრე მოხაზა ჰაერში და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" კარის ბადეში გაეხვია.

იმ დღიდან მოყოლებული, ზუსტად ერთი წელი, ჯემალ ზეინკლიშვილს გასარეცხად აღარ გაუმეტებია თავისი ბუცი, ზუსტად ერთი წელი ძვირფასი რელიქვიასავით ინახავდა კუიბიშევის ტალახში ამოგანგლულ ბუცს, რომელმაც ორი ქულა და 1959 წლის მესამე საპრიზო ადგილი მოუტანა გუნდს.

ჯემალ ზეინკლიშვილის ასეთმა მოქმედებამ ახალი საზრუნავი გაუჩინა თბილისის „დინამოს" გუნდის მნეს, რომელიც სპორტული ბაზის ერთი საწყობიდან მეორე საწყობში დარბოდა და მოთმინებით დაეძებდა ძნელად საშოვარ № 44 ბუცებს.

— სხვათა შორის, ჩვენს ჯემალს გუნდში ყველაზე დიდი ფეხი აქვს, — ისევ ღიმილით გვეუბ-



თბილისის „დინამოს" „ფრთები".

ნება ალიოშა კოტრიკაძე, — თბილისის „დინამოს" ჩემპიონთა სიას, რომელიც თქვენ წელან ჩაიწერეთ, თავისუფლად შეგიძლიათ კიდევ ერთი „ჩემპიონის" ეს ახალი გვარიც დაუმატოთ.

## ხუთი საუკეთესო

— თქვენ მეკითხებით, რა მიმაჩნია თბილისის „დინამოს" თავისებურებად, რომელიც მას სხვა გუნდებისაგან განასხვავებს, ასეა არა?

— დიახ.

მიხეილ იაკუშინი ჩაფიქრდა. კედელთან მიდგმულ მოგრძო მაგიდასთან ჩამომსხდარ ავთანდილ ღოღობერიძესა და ალიოშა კოტრიკაძეს შეავლო თვალი და დინჯად გვიპასუხა:

— თბილისის „დინამოს", შეიძლება ითქვას, რომ სხვა გუნდებზე უფრო მეტად ახასიათებს ეგრეთ წოდებული არასტაბილურობა; ჩვენი ფეხბურთელები ზოგიერთ თამაშში ანდა მთელი რიგი მატჩების სერიაში ბოლომდე ვერ ინარჩუნებენ მებრძოლ სულისკვეთებას, არ ჰყოფნით ფიზიკური და ტაქტიკური წრთობა.

ზოგიერთ მატჩებს კი, როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოელები" დიდი ალმავლობით ატარებენ. მათ თამაშში იგრძნობა სამხრეთული ტემპერამენტი, ურთიერთშეთამაშება, მაღალი ტექნიკა და ტაქტიკური მახვილგონივრულობა. ასეთ შემთხვევაში ჩვენს ფეხბურთელებს ძნელად თუ დაუდგება წინ რომელიმე გუნდი. მთელი ჩვენი გულისყური ახლა ძირითადად იქით არის მიმართული, რომ თბილისის „დინამოელებში" რაც შეიძლება განვამტკიცოთ ის საუკეთესო მხარეები, რომლებიც მათი დიდი გამარჯვებების საწინდარი უნდა გახდეს...

— რა შეგიძლიათ გვითხრათ თბილისის „დინამოს" მომავალზე, მის რეზერვზე?



შ. იამანიძე და ს. მეტრეველი ვარჯიშის დროს.

— სათადარიგო შემადგენლობაში წელს რამდენიმე ახალი ნიჭიერი ფეხბურთელი მივიღეთ. მათი ვინაობა ჯერჯერობით არ მინდა დავასახელო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უახლოეს ხანში ისინი თვითონვე იტყვიან თავიანთ გვარებს.

— გთხოვთ დაგვისახელოთ ხუთი ფეხბურთელი, რომლებიც, თქვენი აზრით, საბჭოთა კავშირში ყველაზე საუკეთესო თავდამსხმელები იყვნენ.

— სიამოვნებით, — მიხეილ იაკუშინი იღიმება, — ჩვენი ქვეყნის ხუთ საუკეთესო თავდამსხმელად მე ყოველთვის მიმაჩნდა: სერგეი ილინი, გიორგი ფედოტოვი, ბორის პაიჭაძე, ალექსეი გრინინი, ვასილ კარცევი.

— ჩვენ გვინდა კიდევ ორი შეკითხვა მოგცეთ: ვინ მიგაჩნიათ ყველაზე ობიექტურ მსაჯად და რა



შოთა იამანიძე.

გინდათ უთხრათ თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებს?

— პირველ შეკითხვაზე უყოყმანოდ შემიძლია გიპასუხოთ, რომ ყველაზე ობიექტურ მსაჯად ბალტიისპირელ ანძიულისს ვთვლი; რაც შეეხება მეორე შეკითხვას, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებისათვის ჩვენ ერთი მეტად საგულისხმო და ჩამაფიქრებელი ფაქტი გვაქვს შემონახული. დაე, ამ ფაქტიდან ზოგიერთმა ვაიგულშემატკივარმა თვითონვე გააკეთოს სათანადო დასკვნა.



მ. მესხი და მისი პატარა მეგობრები.

## დაე, თვითონ გააკეთონ დასკვნა

თბილისის „ქარიშხალას" სტადიონზე ერთმანეთს ხვდებოდნენ კიშინიოვის „მოლდავასა" და თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობები.

ჩვენი გუნდის მარცხენა გარემარბმა ვეკუამ ოსტატურად მოატყუა მცველი, მეკარის პირისპირ გავიდა და... ბურთი ააცილა კარს.

სტადიონის ტრიბუნებზე გამაყრუებელი სტვენა გაისმა. აღშფოთებულ გულშემატკივართა ნაწილი დაჟინებით მოითხოვდა, რომ „დამნაშავე" ფეხბურთელი დაუყოვნებლივ გაეძევებინათ მინდვრიდან.

ასეთმა რეაქციამ, რა თქმა უნდა, შეაშფოთა ვეკუა, საკუთარ თავში რწმენა დაუკარგა და თანდა-



მურთაზ ხურცილავა.

თან მოადუნა თამაში. გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, იგი მართლაც გაეყვანა მინდვრიდან.

რამდენიმე კვირის შემდეგ მოსკოვში, „ტორპედოს" დუბლშემადგენლობასთან თამაშის დროს, თითქმის ზუსტად განმეორდა იგივე შემთხვევა: ვეკუამ ისევ ოსტატურად მოატყუა მცველი, ისევ პირისპირ გავიდა მეკარესთან და ისევ ააცილა ბურთი კარს.

თბილისელთა მარცხენა გარემარბი რამდენიმე წა-

გარეკანის პირველ გვერდზე: საყვარელი წიგნი. ფოტო თ. ფურცხვანიძისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე — სცენა სპექტაკლიდან „რომეო და ჯულიეტა". რომეო—ო. კობერიძე, ჯულიეტა—მ. ჯაფარიძე. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV-64 წ. გამომც. № 53, ქაღ. ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 811, უე 04225

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



სერგო კოტრიკაძე.

ში გაოგნებული იდგა მინდორზე, მაგრამ მისთვის ამჯერად არავის დაუწყია სტვენა. ვეკუამ სწრაფად მოიკრიფა მხნეობა, დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად მთელი ძალით ამოქმედდა და სახიფათოდ დაიწყო მოწინააღმდეგის კარზე განუწყვეტელი იერიშების მიტანა.

ეს მატჩი თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 4 : 2. გატანილი ოთხი ბურთიდან, ორი ბურთი, ფეხბურთელთა ენით რომ ვთქვათ, ვეკუას მიერ იყო „გაკეთებული“.

## გზა მშვიდობისა!

თბილისის „დინამოელები“ ცხრის ნახევარზე უკვე მინდორში არიან გასული. დილის ვარჯიშს საუზმე და დასვენება მოსდევს, მერე კი ისევ იწყება ორსაათიანი გულმოდგინე წვრთნა, ორმხრივი თამაში, თეორიული მეცადინეობა, თამაშისწინა თათბირი და თამაშის მომდევნო გარჩევები...

აი ახლაც, ჩვენი ფეხბურთელები მინდვრისაკენ მიეშურებიან. ყველაზე უკან, როგორც ყოველთვის, საქვეყნოდ სახელგანთქმული მეთერთმეტე ნომერი გარბის. გარბის მიხეილ მესხი, რომლის ვირტუოზულ ოსტატობას აღფრთოვანებით უკრავენ ტაშს თბილისსა და მოსკოვში, პარიზსა და ლონდონში.. იგი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მშვენება და სიამაყეა!

ჩვეული ოსტატობით ურტყამს კარში სლავა მეტრეველი — ფეხბურთის ჯადოქარი და გროსმაისტერი, როგორც მას სამართლიანად შეარქვეს ფეხბურთის მოყვარულებმა.

აი მუდამ ხალისიანი, ღრმა რეიდების ოსტატი შოთა იამანიძე, „ცარიელი ტექნიკა“ — ვლადიმერ ბარქაია. ჩვენი ზაურ კალოევი და ჩვენი სერგო კოტრიკაძე

საიმედო მცველებად დამდგარან კართან ბორის სიჭინავა და მურთაზ ხურცილავა, დაუღალავად „მუშაობენ“ ჯემალ ზეინკლიშვილი, ილია დათუნაშვილი, გურამ პეტრიაშვილი...

ყველანი, უკლებლივ ყველანი, როგორც იტყვიან, საუკეთესო ფორმაში არიან და ამიტომ, მოდით, ვიქონიოთ იმედი, რომ წლევანდელ სეზონში...

მაგრამ აქ სიტყვა მინდა დავუთმო ერთ ხანში შესულ გულშემატკივარს, რომელიც სტადიონზე ვნახე ის ამბობდა:

— თმაში უკვე ჭაღარა გამერია. თითქმის ყველა ოცნება შემისრულდა, მაგრამ ვერ იქნა, ჯერ კიდევ ვერ ველირსე ბავშვობისდროინდელი ერთი ტკბილი ოცნების შესრულებას...

მოდით, ბიჭებო, რაც იყოს, იყოს, ამ გულდაწყვეტილ კაცს წელს მაინც შეუსრულეთ ბავშვობისდროინდელი ტკბილი ოცნება, მოდით ბიჭებო. თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებს წელს მაინც გვაგემეთ არნახული ოქროსფერი სიხარული!

გზა მშვიდობისა, ჩვენო ოქროს ბიჭებო!

ოთარ სეხნიაშვილი



ზაურ კალოევი.

ჯემალ ზეინკლიშვილი.





ალექსანდრე კოტრიკაძე, გურამ ცხოვრებოვი და ალექსანდრე აფშევი.

საუზმის შემდეგ.



ვლადიმერ ბარქაია.



ფოტო. ო. თურქიასი

ИНДЕКС 76056



ეროვნული
ბიბლიოთეკა